# აკაკი ჩხენკელი - 150

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები

# AKAKI CHKHENKELI - 150

MATERIALS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# AKAKI TCHKHENKELI - 150

MATÉRIEL DE LA CONFÉRENCE SCIENTIFIQUE ET PRATIQUE

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
SOKHUMI STATE UNIVERSITY

CONSEIL SUPRÊME DE LA RÉPUBLIQUE AUTONOME D’ABKHAZIE
UNIVERSITÉ D’ÉTAT DE SOUKHOUMI



# აკაკი ჩხენკელი – 150

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები

# AKAKI CHKHENKELI – 150

MATERIALS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# AKAKI TCHKHENKELI – 150

MATÉRIEL DE LA CONFÉRENCE SCIENTIFIQUE ET PRATIQUE


თბილისი – TBILISI – TBILISSI

2024

სარედაქციო საბჭო: **ჯემალ გამახარია (რედაქტორი), დოდო ჭუმბურიძე, ზურაბ ჯგუბურია, ლია ახალაძე, ნანა კვარაცხელია**
მთარგმნელები: **ქეთევან ჩიგოგიძე, მარიამ კვესელავა**
ტექნიკური რედაქტორი: **ლევან თითმერია**
კომპიუტერული დამუშავება: **ოლგა ქავთარია**

გამომცემლობა „**საარი**“
ISBN 978-9941-509-45-2

Editorial Board: **Jemal Gamakharia (editor), Dodo Chumburidze, Zurab Jguburia, Lia Akhaladze, Nana Kvaratskhelia**
Translators: **Ketevan Chigogidze, Mariam Kveselava**
Technical Editor: **Levan Titmeria**
Computer Processing: **Olga Kavtaria**

Edition „**SAARI**“
ISBN 978-9941-509-45-2

Comité rédactionnel: **Jemal Gamakharia (rédacteur), Dodo Chumburidze, Zurab Jguburia, Lia Akhaladze, Nana Kvaratskhelia**
Traducteurs: **Ketevan Chigogidze, Mariam Kveselava**
Rédacteur technique: **Levan Titmeria**
Traitement informatique: **Olga Kavtaria**

Maison d'édition „**SAARI**“
ISBN 978-9941-509-45-2

სარჩევი

რედაქტორისაგან ........................................................................................................................ 7-10

აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – არდასავიწყებელი ღვაწლი და თავდადება საქართველოსთვის. დაბადებიდან 150 წელი
(დოდო ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) ....... 17-53

აკაკი ჩხენკელი და აფხაზეთი – პირველი ნაბიჯები დიდ პოლიტიკაში. დოკუმენტები (ჯემალ გამახარია – ისტორიის დოქტორი) .................................. 54-99

„ქართველი ვარ, სოხუმიდან!“. აკაკი ჩხენკელის 150 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების შესახებ. საფრანგეთი, პარიზი – ლევილი
(ზურაბ ჯგუბურია) ......................................................................................................... 100-120

## TABLE OF CONTENTS

From the Editor .......... 11-13

Akaki Chkhenkeli (1874-1959) -

Merit and Dedication to Georgia, Never to be Forgotten. 150 years after the birth (Dodo Chumburidze - history Doctor of Sciences, Professor) .......... 17-53

Akaki Chkhenkeli and Abkhazia - The First Steps in Big Politics. Documents (Djemal Gamakharia - doctor of history) .......... 54-99

«I am Georgian, from Sukhumi!». About the Anniversary Event Dedicated to the 150th Anniversary of Akaki Chkhenkeli. France, Paris - Leville (Zurab Dzguburia) .......... 100-120

## SOMMAIRE

Editorial .......... 14-16

Akaki Chkhenkeli (1874 – 1959)

Le mérite et le dévouement inoubliable pour la Géorgie. 150ème anniversaire (Dodo Choumbouridzé – historien, docteur en science, professeur) .......... 17-53

Akaki Chkhenkeli et l'Abkhazie – Les premier pas dans la politique. Documents (Jemal Gamakharia – Docteur en histoire) .......... 54-99

«Je suis Géorgien, de Soukhoumi !» – A propos des évènements dédiés à 150ème anniversaire d'Akaki Chkhenkeli. La France, Paris – Leuville (Zourab Jgoubouria) .......... 100-120

# რედაქტორისაგან

2024 წლის 10 ივნისს ჩატარდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც აფხაზეთის – ოქუმის მკვიდრის, გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის აკაკი ჩხენკელის 150 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეცნიერებმა, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, აფხაზეთის მთავრობისა და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლებმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აკაკი ჩხენკელის შთამომავლები.

კონფერენციამ მოისმინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დოდო ჭუმბურიძის საკმაოდ ვრცელი და საფუძვლიანი მოხსენება „აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – არდასავიწყებელი ღვაწლი და თავდადება საქართველოსათვის“. როგორც ცნობილია, მომხსენებელს ეკუთვნის აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური მონოგრაფია. პროფესორ დოდო ჭუმბურიძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ აკაკი ჩხენკელი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ--ერთი შემოქმედთაგანია. სხვადასხვა დროს ის იყო IV მოწვევის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი, საქართველოს ელჩი ევროპასა და საფრანგეთში, პოლიტიკური ემიგრანტი და დიდი პატრიოტი. დ. ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ „დიდი ადამიანები გამოირჩევიან და ეროვნულ გმირებად იქცევიან ერთი მთავარი ნიშნით: რამდენად დაეხმარა მათი მოღვაწეობა და ნააზრევი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, რამდენად არიან ისინი თავიანთი მაგალითით თანადროულნი და აქტუალურნი, რა გააკეთეს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ქართველი ხალხის თავისუფლებისა და მისი სწორი მომავლის გააზრებისათვის. რადგან ყველა დროსა და ყველა ერის ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა მთავარი ღირებულებაა, აკაკი ჩხენკელმა კი ამ მიმართულებით ბევრი იღვაწა; მისი პიროვნული მაგალითი, ქვეყნისთვის თავდადების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად იქცა და ქართული საზოგადოებისგან მუდმივი ხსოვნა და პატივისცემა დაიმსახურა.

ისტორია მარტო წარსული როდია. ის გაკვეთილია, რომელსაც, მართალია, ხშირად არ სწავლობენ, მაგრამ ის თავად გვახსენებს თავს, რადგან მისი ცალკეული მოვლენები მეორდება და ამ მოვლენებში ჩართული ადამიანების გამოცდილება ბრძოლის იარაღად იქცევა, განსაკუთრებით პატარა ერებისათვის.

აკაკი ჩხენკელი იყო კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს თავისუფლებისა და გადარჩენისათვის ბრძოლას, ჰუმანური და დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, ვინც არ ყოფილა ჩაკეტილი პარტიულ და იდეოლოგიურ ჩარჩოებში და ვისთვისაც ღირებულებები იყო ყველაზე მთავარი. თავის თანამოაზრეებთან ერთად, ის ყველაფერს აკეთებდა საქართველოს ევროპული მომავლისათვის, „ილიას გზის“ პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ეროვნული იდეის გარშემო საზოგადოების კონსოლიდა-

ციისთვის და იმ დაპირისპირებათა განეიტ-რალებისთვის, რაც, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების სხვადასხვა წრეში მუდმივად იჩენდა თავს და ხელს უშლიდა მთავარი ეროვნული მიზნის განხორციელებას“.

თავის მოხსენებაში პროფესორმა დ. ჭუმ-ბურიძემ განიხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა „აკაკი ჩხენკელის მიერ განვლილი ცხოვრების გზა“; „საქართველოს დამოუკი-დებლობის იდეა აკაკი ჩხენკელის ნააზრევ-ში“; „ეროვნული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობის თემა – საპოლემიკო საკითხი პარტიათა შორის“; „აკაკი ჩხენკე-ლი და ნოე ჟორდანია ეროვნული საკითხის შესახებ“; „ერი, კაცობრიობა და საზოგადო-ება – ა. ჩხენკელის ნააზრევში“; „როგორ ესმოდა ნაციონალური სახელმწიფო აკაკი ჩხენკელს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე (1915 წელს)“; „ტერიტორიის საკითხი ეროვნული თვითმმართველობის პროგრამაში“; „როგორ ამტკიცებდა აკაკი ჩხენკელი ეროვნული საკითხისა და სახელ-მწიფოებრიობის მნიშვნელობას ევროპული მაგალითით“; „რას ნიშნავდა ა. ჩხენკელის-თვის საქართველოს თვითმმართველობა“; „როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველო-ბა: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი“; „როგორი უნდა ყოფილიყო, ა. ჩხენკელის აზრით, საქართველოს ეკონომიკის გან-ვითარების გეზი“; „აკაკი ცხენკელი – რუ-სეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი“; „ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებ-ლობისათვის რუსეთის იმპერიის დანგრე-ვის შემდეგ. წერილი-გაფრთხილება ნოე ჟორდანიას ბათუმიდან – თბილისში. 1915 წლის 15 მაისი“; „საქართველოს ევროპუ-ლი ორიენტაციის საკითხი აკაკი ჩხენკელის პოლიტიკურ ნააზრევსა და დიპლომატიურ მოღვაწეობაში“; „აკაკი ჩხენკელი ქართულ პოლიტიკურ წრეებში არსებული პოლარი-ზაციის წინააღმდეგ, დაპირისპირებულ მხა-რეთა შემარიგებელი“.

კონფერენციამ მოისმინა ასევე ამ სტრი-ქონების ავტორის მოხსენება თემაზე „აკაკი ჩხენკელი და აფხაზეთი – პირველი ნაბიჯე-ბი დიდ პოლიტიკაში“. მოხსენება წარმოად-გენს საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივსა და კ. კეკელიძის სახელობის საქარ-თველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოძიებული ისტორიული დოკუმენტების მიმოხილვას სამურზაყანოში ჩხენკელების ოჯახის დამკვიდრებისა და იქ მათი მოღვა-წეობის შესახებ. დოკუმენტები შესაბამისი კომენტარებით აქვე ქვეყნდება ორიგინალის ენაზე. აღნიშნული მასალების მიხედვით, აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა წმინდა მღვდელმთავარმა გაბრიელმა (ქიქოძე) 1869 წლის 26 აგვისტოს თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეკლესიის დიაკონი და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედა-გოგი იოანე პეტრეს ძე ჩხენკელი ოქუმის ხა-რების ეკლესიის მეორე მღვდლად დანიშნა. იმავე მღვდელმთავარმა 1880 წლის 2 აპრილს იოანე ჩხენკელი სამურზაყანოს მთავარხუცე-სად დაამტკიცა. სწორედ სამურზაყანოს მა-შინდელ ცენტრში – დაბა ოქუმში 1874 წლის 19 მაისს ჩხენკელების ოჯახს ვაჟიშვილი შე-ეძინა, რომელსაც აკაკი დაარქვეს.

წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტე-ბი ქრონოლოგიურად მოიცავენ XIX – XX სა-უკუნეების მიჯნას. ისინი ასახავენ იოანე და აკაკი ჩხენკელების მოღვაწეობას აფხაზეთში იმ ეტაპზე, როდესაც იქ მიმდინარეობდა ნამდ-ვილი ბრძოლა იმპერიული ასიმილატორული პოლიტიკის, სკოლებში ქართული ენის სწავ-

ლების აკრძალვის წინააღმდეგ. აღნიშნული დოკუმენტები შეიცავენ ცნობებს ჩხენკელების მრავალშვილიანი ოჯახის წევრების შესახებაც. მნიშვნელოვანია იოანე ჩხენკელის, როგორც სამურზაყანოს მთავარხუცესისა და სამაზრო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარის დამსახურება ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართულ ენაზე განათლების უფლების დაცვის საქმეში. აკაკი ჩხენკელი ახალგაზრდობიდანვე ჩაება რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში და მალევე გახდა იმპერიული ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ქართულ პარტიად მონათლულ ინტელიგენტთა ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი.

ე. წ. ქართული პარტია მიზნად ისახავდა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაცვას ასიმილაციისაგან, ამ მიზნით მშობლიურ ენაზე ღმრთისმსახურებისა და სწავლების შენარჩუნებას. სოხუმელ საზოგადო მოღვაწესთან – თედო სახოკიასთან, სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელ ბესარიონ ხელაიასთან – წმინდა აღმსარებელ ამბროსისთან და სხვა პატრიოტებთან ერთად აკაკი ჩხენკელმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მოძრაობას აფხაზეთში. ამის გამო შეშფოთებულმა კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ გამოიძია ქართული მოძრაობის ანუ „ქართული პარტიის“ აქტიური წევრების საქმიანობა და შესაბამისი მასალები მთავარმართებლის საბჭოს წარუდგინა. 1904 წლის 1 მაისს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის ოკრუგის – აფხაზეთის „ქართული პარტიის“ წევრების, მათ შორის აკაკი ჩხენკელის კავკასიიდან სამუდამოდ გასახლების შესახებ, რადგანაც ისინი „ეწინააღმდეგებოდნენ ოკრუგის მოსახლეობის გარუსებისკენ მიმართულ სამთავრობო ღონისძიებებს“.

1905 წლის რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში განხორციელებულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა აკაკი ჩხენკელი გადასახლებას გადაარჩინა. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, სწორედ აფხაზეთში ყალიბდება ეროვნულ და პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელიც საკუთარ ხალხს ასიმილაციისაგან, რუსიფიკაციისაგან იცავდა. თანაპარტიელებისაგან (სოციალ-დემოკრატებისაგან) განსხვავებული მისი პოლიტიკური შეხედულებები, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში, ნასაზრდოები იყო აფხაზეთ-სამურზაყანოში არსებული უკიდურესად მძიმე ვითარებით, რომელსაც აკაკი ჩხენკელი ასე ენერგიულად უპირისპირდებოდა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა უმაღლესი საბჭოს წევრი, ოქუმის მკვიდრი ზურაბ ჯგუბურია. ოქუმში დღემდე ახსოვთ და დიდი პატივით მოიხსენიებენ ჩხენკელების ოჯახს, განსაკუთრებით აკაკის. ასე იყო საბჭოთა პერიოდშიც კი, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების ხსენებაც დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ბატონმა ზურაბმა ისაუბრა მიმდინარე წლის 17-23 მაისს საფრანგეთში, კერძოდ, ლევილში უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მიერ განხორციელებული ვიზიტის შესახებ. დელეგაციამ მოინახულა და პატივი მიაგო აკაკი ჩხენკელის საფლავს, რომელზეც დამაგრდა ზურაბ ჯგუბურიას მიერ ოქუმელთა სახელით თბილისიდან ლევილში ჩატანილი მემორიალური დაფა წარწერით: „ქართველი ვარ სოხუმიდან“. მემორიალური დაფა დამზადდა სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის” დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის, ოქუმის მკვიდრის ედიშერ ჯანჯულიას მხარდაჭერით. ლევილში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ საფრანგეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, ასევე აკაკი ჩხენკელის შვილიშვილი ქალბატონი თამარ ჩხენკელი. კონფერენციაზე ბატონმა ზურაბ ჯგუბურიამ მოახდინა მის მი-

ერ მოძიებული საინტერესო ფოტომასალის დემონსტრირება, რომლის დიდი ნაწილი პირველად აქვე ქვეყნდება.

წარმოდგენილი მოხსენებების გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ ხუბუამ, დეპუტატებმა თეიმურაზ მჟავიამ, ელგუჯა გვაზავამ, პროფესორებმა ვაჟა კიკნაძემ, კახა კვაშილავამ, უმაღლესი საბჭოს აპარატის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა რიტა ცინდელიანმა.

კონფერენციის მუშაობის შეჯამებისას ამ სტრიქონების ავტორმა მადლობა გადაუხადა პროფესორ დოდო ჭუმბურიძეს საინტერესო მოხსენებისთვის და ისაუბრა სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად სამომავლოდ დაგეგმილ სხვა კონფერენციებზე, რომლებიც ასევე აფხაზეთის პრობლემას უკავშირდება; ხაზი გაესვა ასეთი ღონისძიებების მნიშვნელობას აფხაზეთში და მის გარშემო დღეს არსებული პრობლემების უკეთესად და უფრო ღრმად გააზრებისთვის.

## FROM THE EDITOR

On June 10, 2024, a Joint Practical Conference of the Supreme Council of Abkhazia and Sukhumi State University was held. It was dedicated to the 150th anniversary of Akaki Chkhenkeli, a resident of Abkhazia − Okumi, a prominent State and political figure.

Well-known scientists, deputies of the Supreme Council, representatives of the Government of Abkhazia and the displaced community took part in the work of the Conference. Descendants of Akaki Chkhenkeli also attended the event.

At the Conference was presented a rather extensive and thorough report by Doctor of Historical Sciences, Professor Dodo Chumburidze − «Akaki Chkhenkeli (1874-1959) – Merit and Dedication to Georgia, Never to be Forgotten». As it is known, the speaker is the author of a fundamental monograph dedicated to the mentioned topic. Professor Dodo Chumburidze rightly believes that Akaki Chkhenkeli is one of the creators of the recent history of Georgia. At different times, He was a deputy of the Russian State Council of the 4th convocation, the chairman of the Government of the Transcaucasian Federal Democratic Republic and the minister of foreign affairs, the first minister of foreign affairs of the Democratic Republic of Georgia, the ambassador of Georgia to Europe and France, a political emigrant and a great patriot. D. Chumburidze noted that «Great people stand out and become national heroes by one main sign: how much their work and thinking helped the progress and development of the country, how much they are contemporary and relevant with their example, what they did for the Georgian Statehood, freedom of the Georgian people and understanding of its proper future. Because at all times and in the life of all nations, statehood and independence are the main values, and Akaki Chkhenkeli did a lot in this direction; His personal example became one of the best examples of dedication to the country and earned him permanent memory and respect from the Georgian society".

History is not only the past. It is a lesson that is not often learned, but it reminds us of itself, because its individual events are repeated, and the experience of the people involved in these events becomes a weapon of struggle, especially for small nations.

Akaki Chkhenkeli was a man who dedicated his whole life to the struggle for the freedom and salvation of his homeland, to the propagation of humane and democratic ideas, who was not locked in party and ideological frameworks and for whom values were the most important. Together with his associates, he did everything for the European future of Georgia, for the practical implementation of the «Ilia Road», for the consolidation of the Society around the national idea and for the neutralization of the conflicts that, unfortunately, constantly appeared in different circles of the Georgian society and prevented the realization of the main national goal.

In her report, Professor D. Chumburidze discussed such issues as «Akaki Chkhenkeli's life path»; «The idea of Independence of Georgia in the Reflections of Akaki Chkhenkeli»; «The National issue and the issue of Georgia's independence − a polemical topic between the parties»; «Akaki Chkhenkeli and Noe Zordania about the National issue»; «Nation, Humanity and Society − In A. Chkhenkeli's Reflections «;»How Akaki Chkhenkeli understood the National State before the restoration of Georgian Statehood (in 1915)»; «Terri-

torial issue in the program of National self-government»; «How Akaki Chkhenkeli proved the importance of the National issue and Statehood with a European example»; «What did Self-government of Georgia mean for A. Chkhenkeli»; «How Self-government is to be organized:

“Centralism or Decentralism»; «What should have been, the way to develop the economy of Georgia», according to A.Chkhenkeli; «Akaki Chkhenkeli, – Deputy of the State Duma of Russia»; «The struggle for Georgia's independence after the collapse of the Russian Empire. Warning Letter to Noe Zordania from Batumi to Tbilisi. May 15, 1915»; «The issue of the European orientation of Georgia in the political thought and diplomatic work of Akaki Chkhenkeli»;

At the conference was also presented the report of the author of these lines on the topic «Akaki Chkhenkeli and Abkhazia – the first steps in big politics». The report is an overview of up to eleven historical documents about the establishment of the Chkhenkeli family in Samurzakano and their activities there. These documents were found in the Central State Historical Archive of Georgia and K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts.

Documents with the appropriate comments are being published here in the original language. According to the mentioned materials, on August 26, of the year of 1869, the ruler of the Diocese of Abkhazia, Holy High Priest Gabrieli (Kikodze), a graduate of the Tbilisi Theological Seminary, a deacon of the Kutaisi Classical Gymnasium Church and a teacher of the Kutaisi Theological School, appointed the son of Peter, Ioane Chkhenkeli as the second priest of the Okumi Church of the Annunciation. On April 2, of the year of 1880, the same High Priest confirmed Ioane Chkhenkeli as the Archpriest of Samurzakhano. On May 19, of the year of 1874, in the then center of Samurzakhano – Okumi, to the Chkhenkeli family was born a son, who was given a name – Akaki.

The presented historical documents chronologically cover the turn of the 19th – 20th centuries. They reflect the activities of Ioane and Akaki Chkhenkeli in Abkhazia at the stage where a real struggle was ongoing against the imperial assimilationist policy – the ban on teaching the Georgian language at schools. The mentioned documents also contain information about the members of the large family of the Chkhenkelis. The merit of Ioane Chkhenkeli, as the archpriest of Samurzakhano and the Chairman of the educational council, is important in strengthening the Christian faith and protecting the right to education in the Georgian language. Akaki Chkhenkeli was involved in the struggle against the policy of Russification from his youth and soon became one of the leaders of the group of intelligentsia baptized by the Imperial Government as the Georgian Party of Abkhazia.

The so-called Georgian party aimed to protect the Georgian population of Abkhazia from the assimilation, and namely, for this purpose, was decided to preserve church service and teaching in their native language. Together with the Sokhumi public figure – Tedo Sakhokia, Sokhumi Cathedral priest Besarion Khelaia – Holy Confessor Ambrose and other patriots, Akaki Chkhenkeli laid the foundation of the Georgian national movement in Abkhazia. Being concerned about this, the Russian administration of the Caucasus investigated the activities of the active members of the Georgian movement or the «Georgian Party» and submitted relevant materials to the Council of the Governor. On May 1, 1904, the council made a decision to permanently evict the members of the «Georgian Party» of Sokhumi District – Abkhazia,

including Akaki Chkhenkeli, from the Caucasus, because they were «against the government measures aimed at the Russification of the District population".

As a result of the revolution of 1905, the democratic transformations implemented in the Russian Empire, including the Caucasus, saved Akaki Chkhenkeli from exile. Precisely in Abkhazia he developed into a national and political figure who protected his people from assimilation and Russification and it happened, when he was still quite a young man. His political views, different from those of his fellow party members (social democrats), especially in the national issue, were nurtured in conditions of the extremely difficult situation having place in Abkhazia-Samurzakano, which Akaki Chkhenkeli confronted so energetically.

Zurab Jguburia, a member of the Supreme Council, resident of Okumi, gave a speech at the conference. In Okumi, they still remember and treat the Chkhenkeli family with a great respect, especially Akaki. This was the case even in the Soviet period, when even the mention of the leaders of the Democratic Republic of Georgia was associated with the great danger. Mr. Jguburia spoke about the visit made by the delegation of the Supreme Council to France on May 17-23 of this year, in particular to Leville. The delegation visited and paid respect to the grave of Akaki Chkhenkeli, on which a memorial plaque with the inscription «I am a Georgian from Sukhumi», having been brought from Tbilisi to Leville, was attached by Zurab Jguburia The memorial plaque was made with the support of Edisher Janjulia, a resident of Okumi, the founder and general director of the construction company «Ivertmshen».The event held in Leville was attended by the representatives of the Embassy of Georgia in France, as well as Akaki Chkhenkeli's granddaughter Mrs. Tamar Chkhenkeli. At the conference, Mr. Zurab Jguburia demonstrated the interesting photographs discovered by him, most of which are being published here for the first time.

First Deputy Chairman of the Supreme Council Tamaz Khubua, MPs Teimuraz Tsanya, Elguja Gvazava, Professors Vazha Kiknadze, Kakha Kvashilava, Head of the Library of the Supreme Council Office Rita Tsindeliani took part in the discussion around the presented reports.

Summarizing the work of the Conference, the author of these lines expresses his gratitude to Professor Dodo Chumburidze for her interesting report and talked about other conferences planned in the future in cooperation with Sokhumi State University, which are also related to the problems of Abkhazia; The importance of such events for a better and deeper understanding of the current problems in Abkhazia and its surroundings was given a special emphasis.

# ÉDITORIAL

Le 10 juin 2024, a eu lieu une conférence commune du Conseil suprême de la République Autonome d'Abkhazie et de l'Université d'Etat de Soukhoumi, dédiée au 150ème anniversaire d' Akaki Chkhenkeli, un originaire d'Abkhazie – d'Okoumi, le célèbre homme d'Etat et politique.

De célèbres scientifiques, des députés du Conseil suprême, les représentants du gouvernement d'Abkhazie et de la société déplacée ont participé au travail de la conférence. Les descendants d'Akaki Chkhenkeli étaient également présents à cet évènement.

La conférence a présenté une exposée assez vaste et fondamentale de Dodo Choumbouridzé, Docteur en sciences historiques et Professeur - «Akaki Chkhenkeli (1874 – 1959) – le mérite et le dévouement inoubliable pour la Géorgie». Dodo Choumbouridzé est connu par une monographie fondamentale dédiée à ce sujet. Le professeur Dodo Choumbouridzé considère légitimement qu'Akaki Chkhenkeli est un des concepteurs de l'histoire moderne de Géorgie. À différente période, il était le député du Douma russe de IV convocation, le Président du gouvernement de la République Fédérale Démocratique du Caucase du Sud et le ministre des affaires étrangères, le premier ministre des affaires étrangères de la République démocratique de Géorgie, l'Ambassadeur de Géorgie en Europe et en France, immigré politique et un grand patriote. D. Choumbouridzé a souligné que «de grandes personnalités se distinguent et deviennent héros nationaux par un caractéristique majeur: à quel point leur activité et leur pensée a contribué au progrès et au développement du pays, à quel point sont-ils modernes et actuels avec leur exemple, qu'est-ce qu'ils ont fait pour l'Etat géorgien, pour l'indépendance du peuple géorgien et la prise de conscience de son avenir correct. Car, dans tous les temps et la vie de tous les peuples, l'Etat et l'indépendance sont des valeurs majeures, et Akaki Chkhenkeli a beaucoup œuvré dans cette direction; son exemple personnel, est devenu un des meilleurs exemples du dévouement pour son pays et a mérité un reconnaissance et un respect éternel de la société géorgienne.

L'histoire n'est pas seulement le passée, c'est une leçon que certes, on n'apprend pas souvent, mais elle nous rappelle elle-même son existence, car certains évènements se réitèrent et l'expérience des personnes impliquées dans ces évènements devient une arme de combat, surtout pour les petits peuples.

Akaki Chkhenkeli était un homme qui a consacré toute sa vie à la lutte pour l'indépendance et la sauvegarde de son pays, à la propagande des idées humaines et démocratiques, qui n'était pas enfermé dans les limites idéologiques ou de parti et pour qui les valeurs passaient avant tout. Avec ses partenaires, il faisait tout pour l'avenir européen de la Géorgie, pour la réalisation pratique de «la voie d'Ilia», pour la consolidation de la société autours de l'idée nationale et pour la neutralisation des confrontations, qui, malheureusement, surgissaient constamment dans différents milieux de la société géorgienne et empêchaient la réalisation de l'essentiel objectif national».

Dans son exposée, le professeur D. Choumbouridzé a abordé des questions comme «la vie d'Akaki Chkhenkeli»; «l'idée de l'indépendance de Géorgie dans la pensée d'Akaki Chkhenkeli»; «la question nationale et le sujet de l'indépendance de Géorgie – le sujet de polémique entre les partis»; «Akaki Chkhenkeli et Noé Jordania

au sujet de la question nationale»; «la nation, l'humanité et la société – dans la pensée d'A. Chkhenkeli»; «comment Akaki Chkhenkeli percevait l'Etat national avant le rétablissement de l'Etat géorgien (en 1915)»; «la question du territoire dans le programme de l'auto gouvernance nationale»; «comment Akaki Chkhenkeli prouvait l'importance de la question nationale et de l'Etat avec l'exemple européen»; «ce que signifiait pour Akaki Chkhenkeli l'auto gouvernance de Géorgie»; «comment organiser l'auto gouvernance: centrisme ou décentralisme»; «quel devrait être, selon Akaki Chkhenkeli, l'itinéraire du développement économique de Géorgie»; «Akaki Chkhenkeli – le député du Douma National de Russie»; «la lutte pour l'indépendance de Géorgie après la chute de l'empire russe. La lettre – avertissement à Noé Jordania de Batoumi à Tbilissi. Le 15 mai 1915»; «la question de l'orientation européenne de Géorgie dans la pensée politique et l'activité diplomatique d'Akaki Chkhenkeli»; «Akaki Chkhenkeli contre la polarisation existante dans les milieux politiques géorgiens, le conciliateur des parties confrontées».

La conférence a également présenté l'exposée de l'auteur de ces lignes au sujet: «Akaki Chkhenkeli et l'Abkhazie – les premiers pas dans la politique». L'exposée représente un aperçu des onze documents historiques recherchés dans les Archives historiques centrales de Géorgie et le Centre Nationale des manuscrits K. Kekelidzé de Géorgie concernant l'établissement de la famille Chkhenkeli à Sanourzakano et leur activité là-bas. Les documents avec les commentaires respectifs sont publiés ici-même en langue de l'original. Selon ces documents, le gouverneur de l'éparchie de l'Abkhazie, le saint archiprêtre Gabriel (Kikodzé) a nommé le diplômé du séminaire théologique, le diacre de l'église du gymnase classique de Koutaïssi et le professeur de l'école théologique de Koutaïssi, Ioané Chkhenkeli comme second prêtre de l'église de l'Anonciation d'Okoumi, le 26 août 1869. Le 2 avril 1880, le même archiprêtre a nommé Ioané Chkhenkeli comme le prêtre principal de Samourzakano. C'est au centre de Samourzakano – au village Okoumi qu'est né le fils de la famille Chkhenkeli, le 19 mai 1874 et on l'a nommé Akaki.

Les documents historiques présentés comprennent chronologiquement la période de la fin du XIX et du début du XX siècle. Ils représentent l'activité d'Ioané et Akaki Chkhenkeli en Abkhazie à l'époque où une vraie lutte est déclenchée contre la politique impériale assimilatrice interdisant l'enseignement de la langue géorgienne dans les écoles. Ces documents comprennent des informations concernant les membres de famille des Chkhenkeli. Il est à souligner le mérite d'Ioané Chkhenkeli, en tant que prêtre principal et le président du conseil pédagogique régional, dans le renforcement de la religion chrétienne et la protection du droit à l'éducation en langue géorgienne. Akaki Chkhenkeli a rejoint dès sa jeunesse la lutte contre la politique de russification et est devenu très vite un des leaders du group des intellectuels baptisé par le gouvernement impérial comme le parti géorgien d'Abkhazie.

Ce soi-disant parti géorgien avait comme objectif la protection de la population géorgienne d'Abkhazie de l'assimilation, et dans ce but la sauvegarde du service liturgique et l'enseignement en géorgien. Avec une personnalité publique de Soukhoumi – Tedo Sakhokia, le prêtre de la cathédrale de Soukhoumi, Besarion Khelaïa – le Saint Ambrosi et autres patriotes, Akaki Chkhenkeli a fondé le mouvement national en Abkhazie. Pour cette raison, l'administration russe du Caucase indignée a mené une enquête sur l'activité des

membres actifs du mouvement géorgien, donc du «parti géorgien» et a présenté le dossier au Conseil du gouverneur. Le 1 mai 1904, le Conseil a pris la décision de déporter à jamais du Caucase les membres du «Parti géorgien» d'Abkhazie – de l'Okroug de Soukhoumi, entre autre Akaki Chkhenkeli, car ils contrariaient «les mesures gouvernementaux visant la russification de la population de l'Okroug».

Après la révolution de 1905, les transitions démocratiques au sein de l'Empire Russe, y compris dans le Caucase, ont épargné Akaki Chkhenkeli de déportation. Encore très jeune, il se forme justement en Abkhazie, en tant qu'une personnalité nationale et politique qui protégeait son peuple de l'assimilation, de russification. Ses visions politiques différentes de celles des membres de son parti (sociale-démocrates), surtout sur les questions nationales, étaient nourries d'une situation particulièrement grave en Abkhazie – Samourzakano, qu'Akaki Chkhenkeli confrontait aussi énergiquement.

Le membre du Conseil Suprême, l'habitant d'Okoumi, Zourab Jgoubouria a tenu un propos à la conférence. A Okoumi, on se souvient même aujourd'hui et garde un grand respect pour la famille des Chkhenkeli et particulièrement pour Akaki. C'était également le cas pendant la période soviétique, quand il était très dangereux même mentionner les leaders de la république démocratique. Monsieur Zourab a parlé de la visite de la délégation du Conseil Suprême en France, notamment à Leuville, le17-23 mai de l'année en cours. La délégation a visité et a honoré la tombe d'Akaki Chkhenkeli, ou ils ont déposé un tableau mémorial apporté de Tbilissi à Leuville par Zourab Jgoubouria au nom des habitants d'Okoumi, sur lequel on peut lire «Je suis un Géorgien de Soukhoumi». Le tableau mémorial a été fait avec le soutien du fondateur et directeur général de la compagnie de construction «Ivermsheni», l'habitant d'Okoumi, Edisher JanJoulia. A cet évènement à Leuville, étaient présents les représentants de l'Ambassade de Géorgie en France, ainsi que la petite-fille d'Akaki Chkhenkeli, Madame Tamar Chkhenkeli. A la conférence, Zurab Jgoubouria a présenté la documentation photo intéressante qu'il a recueillie, dont une grande partie est publié ici-même.

Dans la discussion organisée autours les exposées présentées, ont participé le premier adjoint du président du Conseil Suprême, Tamaz Khouboua, les députés, Teimouraz Mjavia, Elgouja Gvazava, les professeurs, Vaja Kiknadzé, Kakha Kvashilava, le responsable de la bibliothèque de l'appareil du Conseil Suprême, Rita Tsindeliani.

Lors de la conclusion du travail de la conférence, l'auteur de ces énoncés a remercié le professeur Dodo Choumbouridzé pour son exposée intéressante et a abordé le sujet des futures conférences programmées en collaboration avec l'Université de Soukhoumi, qui sont également liées aux problèmes d'Abkhazie; il a été souligné l'importance de ce genre d'évènement pour la meilleurs perception des problèmes pertinents en Abkhazie et autours d'elle.

**დოდო ჭუმბურიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

# აკაკი ჩხენკელი (1874-1959), – არდასავიწყებელი ღვაწლი და თავდადება საქართველოსთვის

## დაბადებიდან 150 წელი

ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს IV მოწვევის დეპუტატი, ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი, საქართველოს ელჩი ევროპასა და საფრანგეთში, ემიგრანტი მოღვაწე და დიდი პატრიოტი – აკაკი ჩხენკელი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი შემოქმედთაგანია. მას, სულ ახლახან, დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა.

დიდი ადამიანები გამოირჩევიან და ეროვნულ გმირებად იქცევიან ერთი მთავარი ნიშნით: რამდენად დაეხმარა მათი მოღვაწეობა და ნააზრევი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას, რამდენად არიან ისინი თავიანთი მაგალითით თანადროულნი და აქტუალურნი, რა გააკეთეს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ქართველი ხალხის თავისუფლებისა და მისი სწორი მომავლის გააზრებისათვის. რადგან ყველა დროსა და ყველა ერის ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა მთავარი ღირებულებაა, აკაკი ჩხენკელმა კი ამ მიმართულებით ბევრი იღვაწა; მისი პიროვნული მაგალითი, ქვეყნისთვის თავდადების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად იქცა და ქართული საზოგადოებისგან მუდმივი ხსოვნა და პატივისცემა დაიმსახურა.

ისტორია მარტო წარსული როდია. ის გაკვეთილია, რომელსაც, მართალია, ხშირად არ სწავლობენ, მაგრამ ის თავად გვახსენებს თავს, რადგან მისი ცალკეული მოვლენები მეორდება და ამ მოვლენებში ჩართული ადამიანების გამოცდილება ბრძოლის იარაღად იქცევა, განსაკუთრებით პატარა ერებისათვის.

აკაკი ჩხენკელი იყო კაცი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს თავისუფლებისა და გადარჩენისათვის ბრძოლას, ჰუმანური და დემოკრატიული იდეების პროპაგანდას, ვინც არ ყოფილა ჩაკეტილი პარტიულ და იდეოლოგიურ ჩარჩოებში და ვისთვისაც ღირებულებები იყო ყველაზე მთავარი. თავის თანამოაზრეებთან ერთად, ის ყველაფერს აკეთებდა საქართველოს ევროპული მომავლისათვის, „ილიას გზის" პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ეროვნული იდეის გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციისთვის და იმ დაპირისპირებათა განეიტრალებისთვის, რაც, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების სხვადასხვა წრეში მუდმივად იჩენდა თავს და ხელს უშლიდა მთავარი ეროვნული მიზნის განხორციელებას.

## აკაკი ჩხენკელის მიერ განვლილი ცხოვრების გზა

აკაკი ჩხენკელი აფხაზეთის ქართველობის საუკეთესო წარმომადგენელია. ის უცხოელთა კითხვაზე: სადაური იყო და რა ეროვნების, ყოველთვის ასე პასუხობდა: „ქართველი ვარ, სოხუმიდან". აფხაზეთის ქართველობა ყოველთვის გამოირჩეოდა პატრიოტიზმითა და ქართული ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემით. სწორედ აქ და აქაურ პატრიოტ ქართველთა გვერდით ჩამოყალიბდა მისი ეროვნული ცნობიერება, რამაც შემდეგში ჩხენკელი ძირეულად გამოარჩია თავის თანაპარტიელთაგან: ეროვნული საკითხი მისთვის ყოველთვის იდგა პირველ რიგში და ამ მიმართულებით არ ერიდებოდა თამამი აზრების გამოხატვას.

აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი 1874 წლის 19 მაისს სოხუმის ოკრუგის სოფელ ოქუმში (სამურზაყანოში), მრავალშვილიანი მღვდლის ოჯახში დაიბადა.

მამა – დეკანოზი ივანე პეტრეს ძე ჩხენკელი, წარმოშობით ხონიდან იყო, ხანგრძლივი დროის მანძილზე აფხაზეთში მოღვაწეობდა, უპირისპირდებოდა რუსულ კოლონიურ პოლიტიკას ამ რეგიონში და იცავდა აქაური ქართველების სარწმუნოებრივ და საგანმანათლებლო ინტერესებს.

ხონის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჩხენკელი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც 1893 წელს, სემინარიაში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობის გამო, გარიცხეს. ამ დროიდან გაიტაცა ის სოციალისტურმა იდეოლოგიამ, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ეროვნული საკითხები მუდმივად წინ დაეყენებინა.

1896-1901 წლებში ჩხენკელი რუსეთშია, კიევში, მოსკოვსა და პეტერბურგში სწავლობს იურიდიულ მეცნიერებას. თუმცა აქაც, იმ დროს ასე გავრცელებულ ახალგაზრდულ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმის გამო, გარკვეული დაბრკოლებები შეექმნა და სწავლა გაუწყდა.

1902-1904 წლებში აკაკი ჩხენკელი აფხაზეთში ადვოკატად (ვექილად) მუშაობდა, ებრძოდა რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას საქართველოს ამ რეგიონში, წერდა სტატიებს ქართულ და რუსულ პრესაში, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ***ცხოვრებაში, თედო სახოკიასა და ანთიმოზ ჯუღელთან*** ერთად მოთავეობდა „აფხაზეთის ქართულ პარტიას". მალე ცოლად შეირთო სოხუმელი მაკრინე სიმონის ასული თურქია (1881-1967), რომელმაც ცხოვრების ბოლომდე ნამდვილი მეგობრობა და მეუღლეობა გაუწია მუდამ საზოგადო საქმით დაკავებულ აკაკი ჩხენკელს. სოხუმში დადგმულ ერთ-ერთ სპექტაკლზე მასთან შეხვედრას ჩხენკელი ასე იგონებდა: ***„პირველად სწორედ ამ სპექტაკლზე ვიხილე ახლა უკვე ჩემი მეუღლე მაკრინე, რომელიც შესანიშნავი ოსტატობით თამაშობდა სოხუმის სცენისმოყვარეთა წრეში. სხვათაშორის ჩემს დასთან – ანეტასთან ერთად. მახსოვს, ხალხის ტევა არ იყო დარბაზში, სმენად ქცეული მაყურებელი კი გაოგნებით ადევნებდა თვალს დასს, რომელსაც აღათი შერვაშიძე ხელმძღვანელობდა. მაკრინეს, ანეტას და აღათის შემყურე სიამაყით ვივსებოდი."***

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული იყო ჩხენკელის დამოკიდებულება აფხაზეთისადმი. იქ, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა, პირველი სიყვარული შეიგრძნო და პირველი პროფესიული წარმატებებიც ჰქონდა, მისთვის გამორჩეული იყო და საზღვარგარეთ ყო-

ველთვის იწონებდა თავს სოხუმელობითა და აფხაზეთელი ქართველობით. ევროპულ უნივერსიტეტებში განსწავლულმაც მას მიაშურა და აქტიურად ჩაება აფხაზეთის „ქართული პარტიის" საქმიანობაში. აფხაზეთში მიმდინარე რუსულ შოვინისტურ პოლიტიკას ყველანაირი გზით უშლიდნენ ხელს, როგორც ამ რეგიონში მოღვაწე სასულიერო პირთა ძველი თაობა, ასევე ჩხენკელის თაობის პატრიოტი ქართველობა. ანთიმოზ ჯუღელის, თედო სახოკიას, იონა მეუნარგიას, ივანე და აკაკი ჩხენკელების ღვაწლი აფხაზეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი არაა. ხელისუფლებისგან, როგორც სხვა თანამოაზრენი, ისე იდევნებოდა ჩხენკელების ოჯახი ***(გამახარია 2005)***.

მრავალშვილიანი ოჯახები ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაც იყო და ეროვნული პრობლემებით დამძიმებულ საქართველოში გამორჩეული იმედიც. რვა შვილიან ოჯახში აღზრდილი ჩხენკელისთვის მაღალი მორალური და ყოფითი ჩვევები იმდენად მტკიცე და დახვეწილი იყო, რომ არ შეიძლებოდა ამ ადამიანს სარგებელი არ მოეტანა საზოგადოებისთვის, სწორი ადმიანური თვისებებით არ გაემდიდრებინა ქართული საზოგადოება. ეს დამოკიდებულება – მრავალშვილიანი ოჯახების ძალა და ენერგია, რაც მათ სწორ აღზრდასა, განათლებასა და მაღალ ზნეობაში გამოიხატებოდა, იყო, სხვა რამეებთან ერთად, საქართველოს გადარჩენისა და ილიას ნაციონალური პროექტის განხორციელების შესაძლებლობა.

ოჯახის შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ, აკაკი ჩხენკელი საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად.

როგორც თვითონ წერდა, სამი წელი ცხოვრობდა ბერლინში, ერთი წელი – ვენაში, ერთი წელი – პარიზში, ერთიც – ლონდონში, სწავლობდა და ეცნობოდა სოციალისტურ თეორიებსა და პრაქტიკაში მისი გამოყენების შესახებ დაწერილ შრომებს, ესწრებოდა სოციალისტურ კონფერენციებსა და კონგრესებს.

აკაკი ჩხენკელმა 1907 წელს დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო ჟენევაში. 1908 წელს ჟენევაში ჩატარდა რსდმპ-ს V კონფერენცია, რომელსაც ისიც დაესწრო და სიტყვითაც გამოვიდა. მან აქ პირველად წამოაყენა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი. საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ მის პირად ფონდში (ფონდი 1831) არის თეზისები, სადაც გამოთქმულია თვალსაზრისი საქართველოში თვითგამორკვევის პრინციპების შესახებ, რომელიც ავტორს ქართული საზოგადოების წინაშე ერთ-ერთი გამოსვლისას წაუკითხავს 1908 წლის ბოლოს (სცა, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 1, ფ.1-2).

1909 წლიდან, საქართველოში დაბრუნებული, აქტიურად ჩაება ჟურნალისტურ საქმიანობაში. უმთავრესად, წერდა ეროვნულ და საპარლამენტო-საარჩევნო თემებზე, ქართულ და რუსულ პესაში აქვეყნებდა წერილებს ეროვნულ საკითხებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მისი საპარლამენტო ცხოვრებაზე დაწერილი სტატიები, რამაც სახელი გაუთქვა, როგორც ამ საკითხების კარგად მცოდნესა და კომპეტენციის მქონეს. ***„ბატონი ჩხენკელი გულახდილი მწერალია და ხშირად ამბობს იმას, რის თქმასაც ვერ ჰბედავენ მისი ამხანაგები",*** – წერდა მის შესახებ 1909 წელს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ლიდერი არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე, 1911:246).

1910 წელს ჩხენკელი მასიური დაპატიმრებების დროს დაატუსაღეს და ჯერ მეტეხის

ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი როსტოვში გადაასახლეს, სადაც სხვა ქართველი სოციალ-დემოკრატებიც (ნოე რამიშვილი, ნესტორ ჩხიკვაძე, ზაქარია გურული, უშანგი და ნიკო ელიავები, ანდრო ჭიაბრიშვილი და სხვ.) იყვნენ გადასახლებულნი.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს IV მოწვევის არჩევნების წინ, 1912 წელს, აკაკი ჩხენკელი საქართველოში დაბრუნდა. სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მას დაუპირისპირდნენ „ბატუმსკი ვესტნიკის" რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი და თავადი ალექსანდრე შერვაშიძე. ვოლსკიმ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, ალექსანდრე შერვაშიძე კი ჩხენკელმა დაამარცხა. მან მეტი ხმა მიიღო და გახდა ***დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქებიდან***. შედიოდა სათათბიროს მენშევიკთა ფრაქციაში, ეკავა ცენტრისტული პოზიცია. ის ერთ-ერთი პირველი ქართველი სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას დაუჭირა მხარი. ამ მოთხოვნით იგი სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდანაც კი გამოვიდა, როგორც დეპუტატი.

ჩხენკელი სათათბიროში პოლიტიკურად აქტიურობდა. ცნობილია მისი მწვავე გამოსვლები სოციალურ და ეროვნულ პრობლემებზე, ე. წ. „მოღალატე აჭარლების" პროცესზე. ის გახდა პირველი მსოფლიო ომის დროს სახელმწიფოს ღალატში უსამართლოდ დადანაშაულებული აჭარლების ადვოკატი, ბევრი მათგანი გადაარჩინა სიკვდილით დასჯას, როგორც უმაღლესი ორგანოს დეპუტატი, ეხმარებოდა მათ ოჯახებს, ასევე, პირველი მსოფლიო ომის დროს აჭარიდან ლტოლვილ მოსახლეობას (ჭუმბურიძე 2018:17).

დუმაში გამოსვლებმა აკაკი ჩხენკელს დიდი პოპულარობა მოუტანა. ის თავდადებულად იცავდა დაჩაგრული ერების, მათ შორის ქართველთა ინტერესებს. ეს მისი სიტყვებია ერთ-ერთი გამოსვლიდან: ***„მე თავად მივეკუთვნები ერთ-ერთ დაჩაგრულ ერს, კერძოდ, ქართველი ვარ და ასე ვთქვათ, საკუთარ ტყავზე ვცდი ნაციონალური ჩაგვრის მთელ არაადამიანურობას. რუსეთთან შეერთების შემდეგ, ასზე მეტი წლის განმავლობაში ქართველი ერი იყო ობიექტი სიტყვით გამოუთქმელი დევნისა და დამცირებისა. თქვენ ყურადღებას აღარ შევაჩერებ ქართული ენის არანორმალური დევნის ამოჩემებულ მეთოდზე. მათ თვალში კავკასია სახელმწიფოს თანასწორი ნაწილი კი არ არის, არამედ კოლონია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის სულსა და ხორცზე უკანონოდ ახორციელებენ დაბალი დონის ექსპერიმენტებს." (საითიძე, 2002, №2, გვ.76).***

საკუთარი აქტიურობა და გამოვლენილი ენერგია თავადაც აოცებდა, ერთგან ირონიულად წერს ამ ამბავზე და საკუთარ თავს ერთგვარად დასცინის:

„ახლახანს ჩემმა მეგობარმა, რომლის გვარსაც შეგნებულად არ დავასახელებ, მომაწოდა ცნობები, რომელსაც თვითონაც შემთხვევით გადააწყდა: აკაკი ჩხენკელი IV სათათბიროს 6 მუდმივმოქმედი კომისიის წევრი: 22-ჯერ ხელი მოაწერა სხვადასხვა კითხვას, 49-ჯერ რეპლიკა ესროლა სიტყვით გამომსვლელს, 81-ჯერ შენიშვნა მიიღო სათათბიროს თავმჯდომარისგან, 4-ჯერ დარბაზიდან გააძევეს.

ვერაა მთლად სახარბიელო მონაცემები გაწონასწორებული კაცისთვის, რაზეც პრეტენზია მქონდა ერთ დროს."

1914 წელს აკაკი ჩხენკელი მონაწილეობდა ბრიუსელის თათბირში, რომელიც მოიწვია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა ბიურომ.

იმპერიის დანგრევის შემდეგ იკავებდა საპასუხისმგებლო თანამდებობებს ოზაკომსა

და ამიერკავკასიის კომისარიატში, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში. ის იყო ოსმალეთის იმპერიასთან გამართული ყველა მოლაპარაკების მთავარი მონაწილე, ამიერკავკასიის მთავრობის დელეგაციების ხელმძღვანელი ტრაპიზონსა და ბათუმში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მთავარი პროპაგანდისტი ევროპაში და დიპლომატი, რომელმაც საქართველოს ინტერესების დასაცავად ურთულესი გზა განვლო დიდი ევროპული ქვეყნების დიპლომატებთან მოლაპარაკებებში, რომელმაც ფაქტობრივად აღზარდა ქართველ დიპლომატთა პირველი თაობა,რომლის შემადგენლობაში სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ ჩართულნი.

1921 წლის 25 თებერვალს ის ევროპაში შეხვდა. მძიმე იყო მისთვის რუსული ოკუპაციის ის საშინელი უღელი, რაც ქართველ ხალხს ხელახლა დაედგა, მუდმივად იბრძოდა დამპყრობლის მხილებისა და ევროპის ქვეყნებისაგან მხარდაჭერის მოპოვებისთვის.

არ უჭერდა მხარს 1924 წლის აჯანყებას ერთადერთი მიზეზით: მან ყველაზე კარგად იცოდა, რომ აჯანყებული ქართველი ხალხი წითელ ბოლშევიკურ ტერორს მარტოდმარტო ვერ გაუმკლავდებოდა და ამ აჯანყებას ბევრი ნაღდი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირებოდა.

აკაკი ჩხენკელი მეორე მსოფლიო ომის დროს მკაცრად გაემიჯნა გერმანულ ნაციზმს, ჰიტლერულ რეჟიმს, რადგან მასში კაცობრიობის მტერი დაინახა. მისი განსხვავებული დამოკიდებულება არ ნიშნავდა იმას, რომ საწინააღმდეგო აზრზე მდგარი ქართველობა მცდარ გზას ადგა: ყველა მათგანი საქართველოზე ფიქრობდა და საკუთარი გადაწყვეტილება სამშობლოს საკეთილდღეოდ ჰქონდა მიღებული. აკაკი ჩხენკელი ისე სჯიდა, როგორც თავად ეჩვენებოდა სწორად.

ემიგრაციაში მისი მოღვაწეობა, საზოგადოებრივი თუ თეორიული, ცალკე შესწავლის საგანია: ის იყო ყველგან და ყველასთან, სადაც ქართული საქმე კეთდებოდა, ის შუაში უდგებოდა მუდმივად ერთმანეთთან დაპირიპირებულ პარტიულ და საზოგადოებრივ ჯგუფებს, არიგებდა ერთმანეთთან, აძებნინებდა გამოსავალს და სიცოცხლისთვის თავგანწირულ ქართულ ემიგრაციაში არსებულ პოლარიზაციას თავისი შემრიგებლური პოზიციით ანელებდა. ის იყო დაუღალავი ქველმოქმედი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნამდვილი არქივარიუსი, დოკუმენტაციის შემქმნელიც და შემნახველიც. ამ მხრივ, მას მართლაც აქვს ჩვენი ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი დამსახურება.

სიცოცხლის ბოლომდე წერდა და იღვწოდა, სულ მუშაობდა, მაშინაც, როდესაც უკანასკნელ დღეს, 1959 წლის 5 იანვარს სამუშაო მაგიდიდან წამომდგარს იატაკზე ფეხი გაუცურდა, დაეცა და იმდენად მძიმე ტრამვა მიიღო, რომ რამდენიმე დღეში საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე, მეუღლისა და ვაჟიშვილის გვერდით.

**საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა აკაკი ჩხენკელის ნააზრევში**

ჩხენკელის მოღვაწეობისა და ნააზრევის გაცნობა ცხადყოფს, რომ გამოჩენილი დიპლომატისა და პოლიტიკოსისთვის სამი ძირითადი ფასეულობა იყო მთავარი: 1. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა; 2. ქვეყნის ევროპული ორიენტაცია; 3. ქართული საზოგადოების პოლარიზაციის დაძლევა და გაერთიანება ეროვნული იდეის გარ-

შემო. თუ პოლიტიკოსისა და დიპლომატის ნააზრევში ცალ-ცალკე შევეხებით სამივე ამ ასპექტს, კარგად გამოჩნდება ჩხენკელის პიროვნული დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, ის დიდი ღვაწლი, რაც მან გულწრფელად გაიღო საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. თუ რა იყო მთავარი რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტში განსწავლული პატრიოტი ქართველისათვის, ნათლად ჩანს უკვე დამოუკიდებლობის წლებში ნათქვამი მისი სიტყვებიდან: ***„დამოუკიდებლობა არაა დღეს მარტო ეროვნული საკითხი, ის არის საფუძველი აგრევე ეკონომიური განვითარებისა. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ ჩვენი ყოველმხრივი დაწინაურებისათვის სწორედ დამოუკიდებლობაა საჭირო, რომ საშუალება მოგვეცეს პირდაპირ და მოკლე გზით გადმოვიტანოთ ევროპიდან ჩვენს სამშობლოში ცოდნა, ტეხნიკა, კაპიტალი, შრომის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი. ვინც საქართველოს ისევ რუსეთისკენ აქნევინებს პირს, ის ღალატობს ერის და მშრომელი მასის საქმეს".*** ეს სიტყვები თანამედროვეცაა და დღევანდელი საქართველოსთვის აქტუალურიც. აკაკი ჩხენკელიც თანამედროვე ქართული პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების საუკეთესო მაგალითია.

ისტორია და მისი რჩეული ადამიანები მხოლოდ წარსულს არ ეკუთვნიან, ისინი დღესაც ჩვენ გვერდით დგანან და მომავლისკენ გზას გვასწავლიან.

აკაკი ჩხენკელი კი ნამდვილად არის ის პიროვნება, რომლისგანაც მამულიშვილობა, საქმისკაცობა, ზომიერება და გონიერება ყოველთვის შეიძლება გადმოიღო და გაითავისო. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა იმპერიის პირობებში ძნელად საძიებელი და წარმოსადგენი იყო, თუმცა, მამულიშვილთა მცირე ნაწილი, რომელთა შორის ჩხენკელიც იყო, უკვე 900-იანი წლებიდან აყენებდნენ ქვეყნის კულტურული ავტონომიის იდეას.

აკაკი ჩხენკელი, 1908 წლიდან აყენებდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ფართო თვითმმართველობის იდეას. ამის დასტურია მის პირად ფონდში დაცული მასალა (სცა 1831, აღწერა 2., საქმე 196, ფ.1-2;).

აღმოჩენილი თეზისები საქართველოში თვითგამორკვევის პრინციპების შესახებ, წაკითხულია ქართული საზოგადოების წინაშე 1908 წლის დამლევს და 1909 წლის დასაწყისში.

სწორედ ეროვნული საკითხის ინდივიდუალური გააზრების გამო ემიჯნებოდა ის როგორც საკუთარი პარტიის წევრებს, ასევე, სხვა პოლიტიკოსებს.

აკაკი ჩხენკელი აღიარებდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია და, შესაბამისად, მათი ქართველი თანაპარტიელები, ეროვნულ საკითხში არასწორ პოზიციაზე იდგნენ. ამის ხმამაღლა გამოცხადება იმ დროს და ისეთი ძლიერი პარტიის რიგებიდან, როგორიც სოციალ-დემოკრატია იყო, საკმაოდ გაბედული და პროგრესული ამბავი გახლდათ, მაგრამ ამ მოვლენის მიზეზები თავად პარტიის იდეოლოგიასა და მისი წევრების არასწორად აზროვნებაში რომ მდგომარეობდა, ამას ჩხენკელი არ აღიარებდა, პარტიის ამ გზაზე დადგომას მათ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს აბრალებდა. ამის გამო აკრიტიკებდა ჩხენკელს არჩილ ჯორჯაძე და მას, როგორც სოციალ-დემოკრატთა სკოლაში აღზრდილს, მედიდურობასა და უპრინციპობაში ადანაშაულებდა. მართალია, ჯორჯაძე ამ შეფასებაში ნაწილობრივ ობიექტურიც იყო, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩხენკელის აზროვნებაში უკვე ჩანდა ეროვნული პრობლემისადმი თანაპარტიელებისგან განსხვავებული, უფრო პროგრესული მიდგომა. შემდეგში ეს ხედვა

კიდევ უფრო გაღრმავდა და აკაკი ჩხენკელი ზეპარტიული აზროვნების, საერთო-ეროვნულ ნიადაგზე მდგარ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა. თავად ჯორჯაძემაც საბოლოოდ ამ ნიშნით შეაფასა მისი ნაწერები და გამოარჩია მათი გულწრფელობა და სიღრმე.

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ჩხენკელისთვის რუსეთთან იყო დაკავშირებული. ის გეორგიევსკის ტრაქტატს ორმხრივ და იურიდიულად სრულფასოვან დოკუმენტად აცხადებდა, თვლიდა, რომ რუსეთმა შეცვალა მისი შინაარსი და დანიშნულება და ქვეყანა თავის კოლონიად გადააქცია. მართალია, სიტყვა დაპყრობას ის არ ხმარობდა, მაგრამ მსჯელობას ისე ანვითარებდა, რომ მსმენელს თუ მკითხველს ეგრძნო, როგორ უკანონოდ წაართვა იმპერიამ სახელმწიფოებრიობა დიდი ისტორიის მქონე ქვეყანას და რა რეალობაში აცხოვრებდა მას. მეოთხე სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდან ერთ-ერთი გამოსვლისას ის ამ პრობლემას ამგვარად ხსნიდა: „კონსტანტინოპოლის იმპერიის დაცემის შემდეგ საქართველო კიდევ მრავალი საუკუნე ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, სანამ XVIII საუკუნის დასასრულს ერთმორწმუნე რუსეთის შემადგენლობაში არ შევიდა. ეს შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა, მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ ერთი მეორის მიყოლებით, ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა... საქართველომ სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად დაკარგა ნორმალური ეროვნული განვითარების ელემენტარული გარანტიები. რუსული ბიუროკრატია საკმაოდ ვერაგი იყო, რათა ქართველი ხალხის უფლებების უზურპირება მოეხდინა. მან ტრაქტატში ასახული საკუთარი მონარქის ნებაც კი გააუქმა, ამჟამად ოფიციალურ ლექსიკონში ტერმინი „საქართველოც" კი აღარ გვხვდება, ბიუროკრატიის თვალში იგი უბრალოდ აღარ არსებობს, მართალია, ჯერ კიდევ ამბობენ „საქართველოს ეგზარქოსი", მაგრამ არავინ იცის, რომ ეს ფრაზა ცარიელი სიტყვებია, მხოლოდ ირონიაა. რუსი ეგზარქოსების როლი ქართული კულტურის დანგრევაში იმდენად ფართოდ არის ცნობილი, რომ მასზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია..." (ჭუმბურიძე, 2018: 43).

ქართველი დეპუტატის ეს ვრცელი გამოსვლა რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 1914 წელს დიდი გაბედულების, სამშობლოს სიყვარულისა და მისი ბედის გამო გულისტკივილის შედეგი იყო.

### ეროვნული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობის თემა – საპოლემიკო საკითხი პარტიათა შორის

ძირითადი საპოლემიკო თემა პარტიებსა და ამ პარტიათა წარმომადგენლებს შორის XX საუკუნის 10-იან წლებში ეროვნული საკითხი იყო. განსაკუთრებით ეს თემა 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ გააქტიურდა. ყველა პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია რუსეთსა და საქართველოში გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული პროგრამების შემუშავებასა და სწორად გააზრებას. ამ საკითხზე დაუპირისპირდა აკაკი ჩხენკელი მიხაკო წერეთელს.

როგორც აღვნიშნეთ, ჩხენკელი ეროვნულ საკითხს უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა და გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევდა, ვიდრე მისი პარტიელები. მიუხედავად ამისა, მან არ გაიზიარა მიხაკო წერეთლის თვალსაზრისი ერისა და კაცობრიობის შესახებ და მძაფრად დაუპირისპირდა მას 1912 წელს გამოცემული ნაშრომით. წიგნი აკრიტიკებდა ორი წლით ადრე (1910) გამოცემულ მიხაკო წერეთლის პუბლიკაციას – „ერი და კაცობრიობა". თავისი ნაშრომი ჩხენკელმა უძღვნა იმ დროს ახლად გარდაცვლილ ქართველ მამულიშვილს, მრეწველსა და ქველმოქმედს, დავით სარაჯიშვილს. მიძღვნა ასეთი იყო: „საუკეთესო მამულიშვილისა და მსოფლიო მოქალაქის დავით სარაჯიშვილის ხსოვნას". ეპიგრაფი სავსებით შეესაბამებოდა ავტორის თვალსაზრისს იმაზე, რასაც თავის ნაშრომში აცხადებდა: „ადამიანი, ვინც ღირსეულად ემსახურება საკუთარ ხალხსა და სამშობლოს, იმავდროულად არის ღირსეული მსოფლიო მოქალაქეც" (ჩხენკელი, 2000:26).

ჩხენკელის აზრი წერეთლის ნაშრომზე სრულიად უარყოფითია და მისთვის მიუღებელი. შესავალ ნაწილში – „წინასიტყვაობის მაგიერ", ის ამ თავის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზებს ასაბუთებდა. ძირითადად, მისი კრიტიკა ეფუძნებოდა მარქსისტულ-სოციალისტურ იდეოლოგიას, ამიტომ, ბევრი რამ მისი შენიშვნებიდან, მკვეთრად არგუმენტირებულობის მიუხედავად, დამაჯერებელი არ ჩანს, ზოგიერთი შენიშვნა კი, არცთუ უსაფუძვლოა. ის, რომ მიხაკო წერეთელი მრავალრიცხოვანი უცხოური ლიტერატურის გამოყენებასა და მისი საშუალებით საკუთარი დასკვნების გაკეთებაზე საუბრობს, ამაში არც არაფერი გასაკვირი არაა, რადგან ევროპული აზროვნების მქონე, იქ მცხოვრებ, კარგად განსწავლულ მიხაკო წერეთელს წვდომა ჰქონდა იმ უზარმაზარ საუკეთესო სამეცნიერო ლიტერატურასთან, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა და ძალზე საინტერესო იყო პატარა ერის წარმომადგენელი ემიგრანტისთვის, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მოდით, წინასიტყვაობაში ჩხენკელის მიერ წერეთლისადმი მიცემული შენიშვნები პუნქტობრივად ჩამოვაყალიბოთ:

1. წერეთლის ნაშრომის სათაური („ერი და კაცობრიობა განხილულნი სოციოლოგიური მხრით") მიუთითებს, რომ ის სამეცნიერო გამოკვლევა უნდა იყოს, მაგრამ, ჩხენკელის თვალსაზრისით, ეს ასე არ არის. ამაში ის თავად წერეთელს იმოწმებს, რომელიც თავის ნარკვევს პატარა მოთხრობას არქმევს;

2. წერეთელი თავად მიუთითებს საკუთარ სამ ნაკლზე, რასაც ეთანხმება ოპონენტი: მოთხრობის ფორმა ვერ არის კარგად მოფიქრებული, გაუმართავი ქართულითაა დაწერილი, რაც თავიდან ვერ აიცილა (სხვანაირად ვერ შესძლო) და მესამეც, განზრახ აირჩია განმეორების, გაჭიანურებული თხრობის მეთოდი, რათა მკითხველისთვის „უფრო ნათელეყო" თავისი აზრი. ამით, ჩხენკელის თქმით, მან „კიდევ უფრო დაამძიმა და უინტერესო გახადა თავისი თხზულება";

3. ჩხენკელს არ მიაჩნია სწორად წერეთლის განცხადება, რომ მან ეს თემა იმიტომ აირჩია, რომ მისთვის „ეროვნული საკითხი სამკვდრო-სასიცოცხლოა" და სურდა სხვა ჩაგრული ერებისთვისაც ამ საკითხის სამართლიანობა დაემტკიცებინა. კრიტიკოსის აზრით, ეს ავტორს ხელს უშლის მიუდგომლად, ღრმად და მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებით იმსჯელოს საკითხზე, ამას ვერ ახერხებს, რადგან თემა „სამკვდრო-სასიცოცხლოა", ემოციურია, მას აწუხებს, რომ ავტორმა მეცნიერული ფორმის ნაცვლად მხატვრული არ აირჩია სა-

კუთარი ემოციების („ტრაღიკული სულისკვეთების“) გამოსახატავად;

4. ჩხენკელს მიაჩნია, რომ ავტორის ტონი ხან ტრაგიკულია, ხან პათეტიური, ისტერიულიც და აღშფოთებულიც. „როგორ გნებავთ ანგარიში გაუწიოთ ასეთ შრომას?“ – კითხულობს ჩხენკელი. მას გული წყდება, რომ ის უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა, რასაც იყენებს და ეყრდნობა შრომის ავტორი, დასახელებული არაა, მითითებული არაა უცხო ავტორთა შრომებიდან ადგილები, რაც მეტ წონასა და ღირებულებას მისცემდა მიხაკო წერეთლის გამოკვლევას.

ეს ბოლო შენიშვნა მართლაც აკადემიური ხასიათისაა და მისი არსებობა ამ ერთი საუკუნის წინანდელ ნაშრომს დღესაც კი მისცემდა მეტ სამეცნიერო წონასა და ღირებულებას. სხვა რომ არაფერი, დღევანდელ მკითხველს უფრო ღრმად ჩაახედებდა იმ სოციალურ და სოციოლოგიურ პრობლემებში, რასაც იმდროინდელი ევროპის სამეცნიერო წრეები აქცევდნენ ყურადღებას, გვაჩვენებდა ჩვენთვის უცხო თვალსაზრისებსა და XIX-XX საუკუნეების ეროვნული პრობლემატიკის საკითხებზე მომუშავე დღევანდელ მკვლევართ მეტად დაეხმარებოდა. ასე რომ, აკაკი ჩხენკელის კრიტიკული გამონათქვამი ამ შემთხვევაში მთლად უსაფუძვლო არაა.

**ერი**

აკრიტიკებს რა მიხაკო წერეთლის შეხედულებებს, აკაკი ჩხენკელი აყალიბებს ერის შესახებ საკუთარ მოსაზრებას. ის ამისათვის იყენებს იმ მრავალფეროვან სოციოლოგიურ კვლევებს, რაც XIX საუკუნეში განხორციელდა.

მისი აზრით, წინა საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნეშიც გაგრძელდა ერების ჩამოყალიბების პროცესი. ერებს ის ჰყოფდა დაპყრობილ და დამპყრობელ ერებად. დამონებული ერის წარმომადგენელს, ჩხენკელის თქმით, უნდა აინტერესებდეს ეროვნული პრობლემის პრაქტიკული მხარე, რასაც, მისი აზრით, არ აკეთებდა წერეთელი. წერეთელი ერად მიიჩნევდა გარკვეულ სოციალურ კატეგორიას – საზოგადოებას, მაგრამ მისი განვითარების ცალკეულ საფეხურებს ანგარიშს არ უწევდა. ჩხენკელი გამოყოფდა წერეთლისეული საზოგადოების, ანუ ერის დახასიათების შემდეგ ძირითად ნიშნებს: 1. კვებისა და სხვა ეკონომიკურ საკითხებს; 2. შთამომავლობის გაჩენისა და აღზრდის მოვლენას; 3. ხელოვნების საკითხს; 4. რელიგიურ და მეცნიერულ მოვლენებს – სარწმუნოებისა და ცოდნის საკითხებს; 5. მორალურ, – ზნე-ჩვეულებების საკითხს; 6. იურიდიულ მოვლენას ერში ანუ სამართლის სკითხს; 7. პოლიტიკურ საკითხს; 8. ენას.

ჩხენკელი არ დაეთანხმა წერეთლისეულ ერის განსაზღვრებას: „ერი არის სოციალური სუპერ-ორგანიზმი ან ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვებით), შემდგარი ერთგვარი ან მრავალგვარი ეთნიური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავის ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, – საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა“.

ჩხენკელი ვერ ეგუება ამ განსაზღვრებაში ერისა და საზოგადოების განსხვავებას და მათ იდენტურად მიიჩნევს. მისი აზრით, სა-

ზოგადოება ვითარდება და გარკვეულ ეტაპზე ყალიბდება ერად. ამაში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორისა, მთავარი მისთვის ფსიქოლოგიური ფაქტორია. თვითშეგნება მას ერის ერთ ორგანიზმად შეკავშირების აუცილებელ პირობად მიაჩნია. მისი დასკვნით, „ერი არის ისეთი სოციალური ორგანიზმი, რომლის ხორცშესხმულ არსებობას, როგორც ხელუხლებელ და განყოფილ ინდივიდუალობისას, ინსტიქტიურათ გრძნობენ და ინტელექტუალურათ სჭვრეტენ თვით მისი შემადგენელნი წევრნი" ( ჩხენკელი, 2000:26).

ჩხენკელი განარჩევს წერეთლის ნაშრომის მთავარ პრობლემას: „რა არის კაცობრიობა და რა – ერი", შეეწირება თუ არა პირველს მეორე.

მიხაკო წერეთელი ნაშრომში – „ერი და კაცობრიობა", თვლიდა, რომ ერი არის არსებული კატეგორია თავისი მახასიათებელი ნიშნებით, კაცობრიობა კი – არა, რადგან მას არა აქვს ის ძირითადი ორი მახასიათებელი, როგორიცაა საერთო ენა და სახელმწიფო. ამიტომ, კაცობრიობა უბრალო სოციოლოგიური ცნებაც კი აღარ არის. ავტორი მიუღებლად მიიჩნევს ოპონენტის თეზას: ერი ყველაფერია, კაცობრიობა კი არაფერი. თუმცა მასაც მიაჩნია ერი მისი დროის ყველაზე დიდ სოციალურ ორგანიზმად, მაგრამ თვლის, რომ საბოლოოდ ცივილიზაცია მოიტანს უფრო ფართო და განზოგადებულ სოციალურ ორგანიზმს, და მისი აზრით, ეს კაცობრიობა იქნება. ამ ორგანიზმის ჩამოყალიბებას კალასობრივი წინააღმდეგობანი უშლის ხელს, რასაც იწვევს კაპიტალიზმის არსებობა. ჩხენკელის აზრით, ეს წინააღმდეგობა დაძლეული იქნება სოციალიზმის მიერ. ეს აზრი მან ამგვარად ჩამოაყალიბა: „სოციალიზმი, კლასობრივ წინააღმდეგობათა მომსპობი წესწყობილება, ეს ხორცშესხმული ჰარმონია ცხოვრების მიდრეკილებისა, ერთის მხრივ, და ადამიანთა სოციალურ-ეკონომიურ ინტერესისა, მეორეს მხრით, დაასრულებს იმ პროცესს, რომელსაც საძირკველი კიდევ კაპიტალისტურმა ხანამ ჩაუყარა. კაპიტალიზმმა დაგვანახა ერის ორგანიზმობა, სოციალიზმი დაგვანახებს აგრეთვე ევროპიელების და შემდეგ თვით კაცობრიობის ორგანიზმობას".

ჩხენკელის აღშფოთებას იწვევდა მიხაკო წერეთლის მიერ ერისა და კაცობრიობის სოციოლოგიური ნიშნით განხილვა და ცხოვრების ევოლუციური პროცესების უარყოფა. „მას აინტერესებს სოციალურ მოვლენათა სტატისტიკა და არა დინამიკა", აქედან ასკვნიდა, რომ ანარქისტები და მისი ბელადი – კონსერვატორები იყვნენ. რა თქმა უნდა, მიუხედავად თანაპარტიელებისგან განსხვავებული პროგრესული აზრებისა ეროვნულ საკითხზე, ორთოდოქს მარქსისტ ჩხენკელს, არ შეეძლო არ ეკრიტიკებინა მიხაკო წერეთლის უარყოფითი დამოკიდებულება კოსმოპოლიტიზმისადმი, რომელიც უაზრობას უწოდებდა ამ მოვლენას. ჩხენკელს ნიმუშად ფრანგები მოაქვს, მათი სიტყვა – „ჰუმანიტე", იმავდრულად, კაცობრიობასა და ადამიანსაც ნიშნავსო, მას მიაჩნდა, რომ კოსმოპოლიტიზმსა და ჰუმანიტეს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. ის მსჯელობდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე, თვლიდა, რომ აქედან მოყოლებული, კოსმოპოლიტიზმი შეცვალა ინტერნაციონალიზმმა, „რაც გულისხმობს სამსავე ცნებას: ადამიანს, ერს და კაცობრიობას". „ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტიზმის განვითარებაა და არა მისი უარყოფა" – ირწმუნებოდა იგი. ერისა და კაცობრიობის ჰარმონიას ის ხედავდა პირველ კოსმოპოლიტ-ჰუმანისტთა ინტერნაციონალურ და იმავდროულად ჰუმანისტურ ლოზუნგებში: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა".

მართალია, ჩხენკელმა მიხაკო წერეთლის

შრომისადმი მიძღვნილი სტატია დაუსრულებლად გამოსცა, რაც, როგორც მკითხველისადმი ბოლო მიმართვაში ჩანს, ცენზურას ეხებოდა, მასში მაინც კარგად გამოჩნდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთი ნაწილის ეროვნული შეხედულებები.

**აკაკი ჩხენკელი და ნოე ჟორდანია ეროვნული საკითხის შესახებ**

როგორც უკვე ვთქვით, აკაკი ჩხენკელი იმთავითვე გამოირჩეოდა თანაპარტიელებს შორის თავისი ეროვნული სულისკვეთებითა და ქართველი ერის იდეალებისადმი ერთგულებით. ის პირდაპირ მოუწოდებდა ინტერნაციონალისტ თანამედროვეებს, რომ მეტად განევრცოთ და გაეაზრებინათ ინტერნაციონალიზმის იდეა და მასში დაენახათ ეროვნულის ადგილი.

ეს კარგად ჩანს მის ნაშრომში – „ერი და ჩვენ“, რომელიც „ანჩინ“-ის ფსევდონიმით გამოქვეყნდა 1915 წელს, ქუთაისში (ანჩინი, 1915).

ამ ნაშრომში ის ედავება პუბლიცისტს, რომლის ფსევდონიმია „ან“-ი. ვინ არის ანი? ამ ფსევდონიმის მატარებელი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი. ის ნოე ჟორდანიაა, რომელმაც 1908 წელს გამოსცა თვით მისი ზოგიერთი თანაპარტიელისათვის მიუღებელი, ეროვნულ საკითხში უაღრესად კოსმოპოლიტურ-სოციალისტური შეხედულებებით აღვსილი წიგნი – „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ – ანი (ნოე ჟორდანია, 1908).

ამას მოჰყვა 1909, 1912 და 1913 წლებში რამდენიმე ნაშრომის გამოცემა ნოე ჟორდანიას ავტორობით, სადაც ის ამავე პრობლემას – ერის, სახელმწიფო მოწყობისა და ამ დროისათვის პოპულარული საქართველოს ავტონომიის საკითხებს ეხებოდა ( ჟორდანია 1912:4-9).

ჩხენკელი მისი პარტიის ლიდერსა და დიდი ავტორიტეტის მქონე ნოე ჟორდანიასაც არ ერიდება და მას საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებს.

ვლადიმერ დარჩიაშვილმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთაგან პირველმა, ხმა აღიმაღლა ნოე ჟორდანიასა და ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეხედულებებზე ეროვნულ საკითხში (ამ შემთხვევაში მენშევიკების, რადგან ბოლშევიკები მთლიანად ემიჯნებოდნენ ეროვნულ საკითხს, ამ პერიოდში სტალინის ნაშრომებით გადმოცემული ბოლშევიკური სოციალიზმის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი სრულ კრიტიკას იწვევდა არა მარტო ეროვნული მიმართულების ქართულ პარტიებში, არამედ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაშიც).

ნოე ჟორდანია 1908 წლიდან გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს. თუ მანამდე მის ნაწერებში ეროვნული თემატიკა სრული ინტერნაციონალისტურ-მარქსისტული სულისკვეთებით განიხილებოდა, ამჯერად მისი მსჯელობა უფრო ზომიერი გახდა, თუმცა, სრულიად მიუღებელი მისი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის, კერძოდ, დარჩიაშვილისა და ჩხენკელისათვის. 1909 წელს ჟორდანიამ დასახელებული სტატიის გარდა („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“) გამოსცა ასევე „სადაო კითხვები“და „კიდევ სადაო კითხვები“. 1912 წელს გაზეთ „ჩვენ ცხოვრებაში“ დაიბეჭდა ჟორდანიას სტატია – „ძველი და ახალი“, 1913 წელს კი – „ნაციონალური კითხვა ჩვენში“. ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოვიდა ჯერ ქუთაისში (ქართულად), შემდეგ კი ბაქოში რუსულ ენაზე. სწორედ, ამ ორ უკანასკნელ სტატიას ეძღვნებოდა ჩხენკელის პუბლიკაცია – „ერი და ჩვენ“.

თავის ბოლო ორ სტატიაში ნოე ჟორდანია საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას ნაციონალისტურს უწოდებდა და წერდა: „ჩვენ თავიდანვე კავკასიის თვითმმართველი ერთეულის ნიადაგზე დავდექით და ყოველი კუთხური გამოცალკავება უარვყავით. ჩვენ დღესაც ამ აზრს ვადგევართ და რაც დრო მიდის, ამ აზრს მეტი საფუძველი ეძლევა“ (ჟორდანია 1912: 4-5).

ჟორდანია საქართველოს არ მიიჩნევდა ერთ ეკონომიკურ ერთეულად და ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებლობის შემთხვევაში ის ერთ წელიწადსაც ვერ გასძლებდა, „ქართველ ხალხს აღარ ჰყოფნის თავისი ტერიტორია და ის მიდის სხვადასხვა მხარეს თავის სარჩენათ“, –წერდა იგი. აქედან აკეთებდა დასკვნას: „კავკასიის ეკონომიკური განვითარება ხდება და უნდა მოხდეს ადგილობრივი ერების ერთ უღელში შებმით, მათი საერთო ძალღონითა და ერთიმეორის დახმარებით, მათი იურიდიული კალაპოტი უნდა იყოს ერთი, ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო და ხელის შემწყობი“ ( ჟორდანია 1912:9).

ჩხენკელმა ჟორდანიას ასეთი დამოკიდებულებაც არ მიიღო და არც ფედერალისტების თვალსაზრისი გაიზიარა – საქართველოს სრული ავტონომიის შესახებ.

„ბევრს ჯერეც ვერ დაუღწევია თავი პირველყოფილი კოსმოპოლიტიზმისათვის, რომლისთვის არცკი არსებობდა ცნება „ერი“, ავიწყდებათ, რომ თანამედროვე ინტერნაციონალიზმი შეიცავს მეტს, ვინემ ძველ კომუნისტთა კოსმოპოლიტიზმი. უკანასკნელს საქმე ჰქონდა ორ მოვლენასთან, ადამიანთან და კაცობრიობასთან, მათ შორის რომ გაჩრილი იყო ერთი ახალი მოვლენაც – ერი, ეს შეუმჩნეველი რჩებოდა. დღეს ერი, ეროვნება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ამიტომაც ვეძახით ჩვენს თავს ინტერნაციონალისტებს. ერი აღიარებულია როგორც სოციალური ორგანიზმი, როგორც სუბიექტი უფლებისა, აი, სათავე თვითგამორკვევის პრინციპისა, აი, ბაზა საერთაშორისო განწყობილებისა. სოლიდარობა მშრომელ კლასთა შორის, განურჩევლათ ეროვნებისა, უნდა გარდაიქმნას მომავალში სოლიდარობად თვით ერთა შორის, აი, საითკენ მიგვაქანებს ინტერნაციონალიზმი“ (ჩხენკელი 2000:17).

„სწორათ გაგებული ინტერნაციონალიზმი პირდპირ გვავალებს ჩვენ, რომ ვაწარმოვოთ ეროვნული პოლიტიკაც. ეს კი არაფრათ ეპრიანება ბევრ „ინტერნაციონალისტს“.

ამას იმათ გასაგონად ამბობდა, ვინც IV სახელმწიფო სათათბიროზე სოციალ-დემოკრატთა გამოსვლა და მათ მიერ ეროვნულ-კულტურული თვითმმართველობის საკითხის დასმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ჩხენკელის აზრით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა, საზოგადოების ეს ნაწილი ჩამორჩა ეროვნული საკითხის დაყენებაში, „მან ცნო თავის ეროვნული პროგრამის უკმარისობა და კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობის დროშა ააფრიალა“. მისი რწმენით, სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში სწორედ ამ დროს (1912 წელი) „რუბიკონი გადალახა“.

თავის ძირითადი სათქმელი ჩხენკელმა ასე ჩამოაყალიბა:

1. რსდმპ ეროვნული პროგრამა მიუღებელია ქართველი ერისათვის. მას თავი ვერ დაუღწევია კოსმოპოლიტიზმისათვის, სადაც არ არსებობს ერის ცნება;

2. სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპები უნდა შეუფარდონ ეროვნულს, მეტიც, ინტერნაციონალიზმის პრინციპი ავალებს სოციალ-დემოკრატიას ეროვნული პრობლემის გადაჭრისთვის ზრუნვას;

3. ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ უკვე გადადგა წინ ნაბიჯი ეროვნული პროგრამის დამუშავების საკითხში.

### ერი, კაცობრიობა და საზოგადოება – ჩხენკელის ნააზრევში

ნაშრომის – „ერი და ჩვენ“ – II თავში ჩხენკელი აყალიბებს ერისა და კაცობრიობის, ერისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას, გვაძლევს ამ ტერმინების თავისებურ დეფინიციას.

„როცა ერის შემადგენელი ადამიანთა კრებული გრძნობს თავის ერთობას, ჭირსა და ლხინში განუყრელობას, და ეს გრძნობა გადაქვს აზროვნებაშიც, მაშინ მას შეუძლია თქვას, რომ ის არის ერი თანამედროვე მნიშვნელობით. ბუნება, გვარ-ტომობა, ერთნაირი თავგადასავალი, ხასიათი, ენა, ადათი და ბევრი სხვაც არის ის ელემენტი, რომლისგან იქმნება დროთა განმავლობაში ერი, მაგრამ ამისთვის ნიადაგი უნდა შემზადდეს თვით ცხოვრებაში“ (ჩხენკელი 2000:20).

ჩხენკელი, სტალინისა და სხვა სოციალისტ-დემოკრატთა მსგავსად, მიიჩნევდა, რომ თანამედროვე ერები ნაყოფი იყო და არის ახალი ბურჟუაზიულ-ეკონომიკური წყობილებისა, ანუ რუსეთის იმპერიაში ერთა გაჩენა XIX საუკუნის ბოლოს მიეკუთვნება.

ჩხენკელის აზრით, რუსეთის იმპერიაში დემოკრატიული მმართველობის შემოღება ბევრ ვერაფერ სიკეთეს მოუტანდა ჩაგრულ ერებს. მას იმპერიის ჩაგვრის თავიდან აცილებისა და საკუთარი განვითარებისათვის აუცილებლად ჭირდებოდა კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა. ამ შემთხვევაში ის სტალინს გადაწვდა და მისი საწინააღმდეგო დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი გააკრიტიკა. „კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა არის ყველაზე უმცირესი, მინიმუმი იმისა, რაზედაც უფლება აქვს ერს, არა თუ უფლება, რომლის უმისობა გადაგვარებას მოასწავებს მისთვის. ვინც ამასაც ვერ იმეტებს ერისათვის, როგორც სტალინი, ის, მართალი გითხრათ, თვით უნდა იდგეს გადაგვარების გზაზე“.

ჩხენკელის თვალსაზრისი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ერი და საზოგადოება ერთი და იგივე არ არის, მათ შორის არსებითი გნსხვავებაა; 2. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაციაც კი, მითუმეტეს, თუ ეს სახელმწიფო იმპერიაა, სრულიად არ ნიშნავს ეროვნული საკითხის გადაჭრას; 3. ჩხენკელი მიემხრო სტალინის მოსაზრებას, რომ ერები ბურჟუაზიული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ნაყოფია, მაგრამ გააკრიტიკა იგი ერის თვითმმართველობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის, მისი აზრით, აუცილებელი იყო იმპერიაში შემავალ ერებს მიეღოთ კულტურულ-ნაციონალური თვითმმართველობა.

### როგორ ესმოდა ნაციონალური სახელმწიფო აკაკი ჩხენკელს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე (1915 წელს)

ნაშრომის – „ნაციონალური სახელმწიფო“ – III თავში აკაკი ჩხენკელი გადმოსცემს საინტერესო თვალსაზრისს სახელმწიფოებრიობასა და მის ტიპებზე. პრობლემაზე მსჯელობას ჩხენკელი იწყებს იმით, რომ ერი და სახელმწიფო სრულიად სხვადასხვა ცნებებია: ერი ადამიანთა თავისუფალი კავშირია, სახელმწიფო კი, პირიქით, ადამიანთა ძალდატანებითი გაერთიანება. ერისა და სახელმწიფოს მსგავსებას ის ხედავს იმაში, რომ ორივე საზოგადოების განვითარების, ისტორიული პროცესის პირმშოა, ოღონდ, ერი უფრო ახალია, ვიდრე სახელმწიფო. მოაქვს ამის ისტორიული მაგალითები ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების არსებობიდან, შემდეგ – შუა საუკუნეების აბ-

სოლუტური მონარქიების ცხოვრებიდან და ასკვნის, რომ ამგვარი მონარქიები და დესპოტური ხელისუფლებანი არ ცნობენ ერებსა და მათ უფლებებს. ამ თავში ჩხენკელი საფუძვლიანად აკრიტიკებს ჟორდანიას იმისათვის, რომ მას დიდი ქვეყნების კოლონიების მცხოვრებნი დამპყრობელი სახელმწიფოს ქვეშევრდომებად მიუჩნევია და ისე შეუფასებია ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა ამ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთსა და ინგლისში. ჩხენკელი კი, დიდ განსხვავებას ხედავს დამოკიდებულ ერთა და კოლონიებში მცხოვრებ ხალხს შორის. ამიტომ, ქართველი ხალხი, მისი აზრით, უნდა შებრძოლებოდა რუსეთის მისწრაფებას – კოლონიად ექცია საქართველო და კავკასია. ეს იქნებოდა აქ მცხოვრები ერების დეგრადაცია. „კავკასია რუსეთის ნაწილია და არა სამფლობელო“! – აცხადებდა ჩხენკელი. თუ კოლონიებში ხვდებიან კულტურული ხალხები, რამდენადაც ისინი ერებად ჩამოყალიბდებიან, იწყებენ სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლას. დამოკიდებულმა ერებმა – ასეთად კი მისთვის საქართველო გაიაზრებოდა – უნდა იბრძოლონ პოლიტიკური უფლებებისათვის, გარეშე ძალის ბატონობის წინააღმდეგ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის. აქედან ჩანს, თუ როგორი პროგრესული და წინგადადგმული იყო აკაკი ჩხენკელის აზროვნება ეროვნულ საკითხში მის იმჟამინდელ თანაპარტიელებთან შედარებით. მაშასადამე, ჩხენკელმა მიიჩნია, რომ: 1. ერთი და იგივე არ არის ერი და სახელმწიფო, სახელმწიფო უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე ერი; 2. კოლონიური ქვეყნები და საქართველო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ კოლონიები სრულიად უუფლებონი არიან, არ ითვლებიან დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქეებად (საფრანგეთისა და ინგლისის მაგალითზე), საქართველო და კავკასია კი, დამოკიდებული ქვეყანაა და უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ რუსეთმა არ აქციოს კოლონიად, იბრძოლოს სახელმწიფოებრიობისათვის. ჩხენკელის ეს უკანასკნელი შეხედულება, რა თქმა უნდა, არ არის სწორი, რადგან ყველანაირი თვალსაზრისით, თვით რუსი დიდმოხელეების შეხედულებებითაც, საქართველოს რუსეთის იმპერიული წრეები ყოველთვის კოლონიად განიხილავდნენ და საამისო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ მის მიმართ.

**ტერიტორიის საკითხი ეროვნული თვითმმართველობის პროგრამაში**

ჩხენკელის ნაშრომის – „ერი და ჩვენ“ – IV თავი არის „ტერიტორიის საკითხი“. ავტორი იწყებს ავტონომიაზე მსჯელობით, რაც რუსეთის სინამდვილეში აღარ იყო აკრძალული და გულისწყრომის გამომხატველი სიტყვა. მართლაც, 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტით იმპერატორმა ქვეყანას მისცა სათათბირო ორგანო, სადაც 1906 წელსვე ჩამოყალიბდა ავტონომისტთა დიდი ფრაქცია, რომელიც აღიარებდა კულტურული თვითგამორკვევისათვის ერების მისწრაფების მხარდაჭერას. მასში ბევრი იმდროინდელი გამოჩენილი რუსი მოღვაწე შედიოდა, ჩხენკელის ეს სტატია გვიან იწერებოდა (1915) და, რა თქმა უნდა, მასში თავისუფლად შეიძლებოდა ავტონომიის საკითხზე საუბარი. „ერს სრული უფლება აქვს, რომ მოითხოვოს თვითმმართველობა, ამით ჩვენ ვაღიარებთ ერთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ პრინციპს. როცა ამბობენ, ერს უნდა მიეცეს კულტურულ-ნაციონალური

თვითმმართველობაო, ეს არის ამ პოლიტიკური პრინციპის ერთგვარი განხორციელების წადილი".

აქვე ისმებოდა ტერიტორიის პრობლემა, რაშიც ჩხენკელი აკრიტიკებდა ანის (ნოე ჟორდანიას) თვალსაზრისს. „ანმა ნიშანში ამოიღო ტერიტორია და სცადა მისი გაქარწყლება ერისთვის. წინათ თუ ის გვიმტკიცებდა, არ არსებობს ნაციონალური სახელმწიფოებიო, ახლა გვიმტკიცებს, არც ნაციონალური ტერიტორია არსებობსო. „ძველი თქმულება – ერთი ერი, ერთი მიწა, – არ გამართლდა. მრავალი ერი, ერთი მიწა, – აი, დღევანდელი მდგომარეობა", – ამბობს ან. ის მსჯელობს ასე: „ტერიტორიალური ერთობის ეკონომიური საფუძველი სასოფლო მეურნეობაა, პირადი კავშირების ეკონომიური საფუძველი – მრეწველობა და აღებ-მიცემობაა". რას ნიშნავს ეს? აი, რას: ვინაიდან თანამედროვე ერის მომავლინებელი მიზეზი მრეწველობა და აღებ-მიცემობა არის, ამიტომ ერის ერთობაც „პირად" გამოიხატება, აქედან, ერისათვის ტერიტორია უმნიშვნელო რამაა, ან, თუგინდ მნიშვნელობაც ჰქონდეს მას, სულ ერთია, ეროვნული ტერიტორია არ არსებობს და არარსებულზე ლაპარაკი ხომ მეტაფიზიკაა! ყოველივე ეს, რასაკვირველია, ნებას აძლევს ან.-ს სასტიკი განაჩენი გამოუცხადოს ყელა ჯურის ადამიანებს, ვისი მისწრაფებაც „აგებულია ძველ ურთიერთობაზე, ძველებურ კარჩაკეტილობაზე და ისტორიულ უფლებებზე" (ჩხენკელი 2000:33).

ჩხენკელი ეთანხმება ან-ს იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს ადამიანი მიკრული აღარ არის მიწაზე, თავისუფლად გადადის ახალ საცხოვრებელ ადგილებზე, თუმცა, ამას არ თვლის მისი მსჯელობის საფუძვლად. არ მიაჩნია, რომ ამით ეროვნული ტერიტორია ერებს ხელიდან ეცლებათ. „თანამედროვე ერში, – წერს იგი, – სიმძიმის ცენტრი გადმოდის სოფლიდან ქალაქში, სასოფლო მეურნეობიდან მრეწველობაზე, უძრავი ქონებიდან მოძრავ ქონებაზე, მაგრამ მთელი ეს პროცესი უმთავრესად ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ხდება. ერთათ ბინადრობა ერისა ამით კი არ იშლება, არამედ წარსულზე უფრო მეტად მტკიცდება. განსხვავება ის არის, რომ წინანდელი ერთობა უფრო სუსტი, დღევანდელი კი ძლიერია. თუ წინათ ხევი ხევს, სოფელი სოფელს ვერ იცნობდა, დღეს ისინი გადახლართულნი არიან ერთმანეთზე ათასი ძაფით და ერთი მეორის უმისოთ ვერა სძლებენ" (ჩხენკელი 2000:34).

ჩხენკელს მიაჩნია, რომ ერი ეკონომიკურად როდესაც ძლიერდება, წინანდელზე უფრო მყარად დგას თავის ტერიტორიაზე, ერის ერთი ნაწილის სამშობლოდან წასვლა და სხვაგან დასახლება არაფერს ნიშნავს, რადგან რაც აკლდება ამით ერს, უფრო მეტი ემატება ბუნებრივი ზრდის მეოხებით. ჩამოსახლებულ უცხოელებს კი, თავად ემუქრებათ საფრთხე ადგილობრივებთან ასიმილაციითა და საკუთარი ეროვნული ნიშნების დაკარგვით.

**როგორ ამტკიცებდა აკაკი ჩხენკელი ეროვნული საკითხისა და სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობას ევროპული მაგალითით**

ვინაიდან ყველა დებულებას, რომელიც ეროვნულ საკითხსა და სახელმწიფოებრიობას ეხებოდა, ან-ი, ანუ ნოე ჟორდანია, ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვნული იმპერიის მაგალითზე განიხილავდა, აკაკი ჩხენკელიც დაწვრილებით აცნობდა მკითხველს ამ

ქვეყნის ისტორიულ ვითარებას და იქაური სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს ამ საკითხზე. ის უარყოფდა მოწინააღმდეგის აზრს, თითქოს ავსტრია-უნგრეთში ერები ათქვეფილი იყვნენ ერთმანეთში და საკუთარი ტერიტორია დაკარგული ჰქონდათ. ასევე, უმართებულოდ მიაჩნდა ჟორდანიას აზრი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიაზე, რომელმაც თითქოს ეროვნულ საკითხში სულ უკუაგდო „ტერიტორიალური პრინციპი“ და ხელმძღვანელობდა „პერსონალური პრინციპით“. მას მოაქვს 1899 წელს ბრიუნის ყრილობაზე მიღებული ამ პარტიის პროგრამის მაგალითი, სადაც ხუთი მუხლით იყო განსაზღვრული პარტიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. ეს იყო: 1. ავსტრია უნდა გარდაიქმნეს ეროვნებათა ერთ დემოკრატიულ სახელმწიფო კავშირად; 2. ისტორიული სამეფოებისა და ქვეყნების ნაცვლად, არსდება ეროვნულად შემოფარგლული თვითმმართველი სხეულები, რომელთა კანონმდებლობა და მმართველობა მიენდობა თვითეულის ეროვნულ პალატას, არჩეულს საყოველთაო, თანასწორ და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

სწორედ ეს მუხლები, განსაკუთრებით კი მეორე, მიაჩნდა ჩხენკელს უტყუარ დადასტურებად იმისა, რომ ავსტრია-უნგრეთის სოციალ-დემოკრატია ტერიტორიების საკითხს არ უგულვებელყოფდა, მაგრამ შეგნებულად ებრძოდა ისტორიული სამეფოებისა და ქვეყნების საზღვრების დასახელებას, მაგრამ ეროვნულ საზღვრებს მოითხოვდა. მომდევნო მუხლებით კი მტკიცდებოდა, რომ ინტერნაციონალიზმით განმსჭვალული ეს პარტია უარყოფდა ერთი რომელიმე ერისა და ენის გამორჩევას და მათ თანასწორობას ემხრობოდა. ამ პროგრამის ყველა მუხლის განხილვის შემდეგ, ის ამართლებდა პროგრამის ავტორის – შპრინგერის დამოკიდებულებას იმპერიაში შემავალ ერთა თვითგამორკვევაზე და ოპონენტ პუბლიცისტს –ან-ს – მის მცდარად გაანალიზებას, ქართველი მკითხველის დაბნევას და ცრუ ინფორმირებას საყვედურობდა.

ჩხენკელი ცალკე ქვეთავებს უძღვნიდა რუდოლფ შპრინგერისა და ოტო ბაუერის თეორიების განხილვას, რასაც ეყრდნობოდა თავის ნაშრომში ან-ი და რაც მას არასწორად ჰქონდა კომენტირებული. ჩხენკელი მათ თვალსაზრისებს გადმოსცემდა, ახლებურ კომენტარებს სთავაზობდა მკითხველს და ამ თვალსაზრისებზე დაყრდნობით აკრიტიკებდა ოპონენტს. მისი შეხედულება ამ კამათში ასე გამოიკვეთებოდა: 1. აუცილებელია ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისათვის, რასაც ვერ შეცვლის და ვერ გადაჭრის ვერც ამიერკავკასიის ავტონომია-თვითმმართველობა და ვერც მხოლოდ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. 2. კაცობრიობის განვითარების ბუნებრივი პროცესი მიუთითებს ზოგად ტენდენციაზე, რომ ერთი ერი ქმნის ერთ სახელმწიფოს. 3. მრავალეროვნული სახელმწიფოები უნდა დაიშალონ და ყველა ერმა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა შექმნას.

## რას ნიშნავდა ჩხენკელისათვის საქართველოს თვითმმართველობა

პირველ რიგში, ჩხენკელისთვის მიუღებელია საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ ოპონენტის ნიჰილიზმი, მის მიერ მოტანილი „კავკასიის კალენდრის“ ოფიციალური სტატისტიკა, ასევე იმპერიული სტატუსი ქვეყნი-

სადმი, მისეული დამოკიდებულება ტერმინ „საქართველოს" დეფინიციისადმი. აი, რას წერს ამაზე ჩხენკელი: „საქართველო" შენი მტერია, სახიფათო გახდა ამ სიტყვის ხმარება! და თუ მაინც არ დაგიშლია, გაფრთხილებ მკითხველო, შენ ეგ სიტყვა ფრჩხილებში უნდა ჩასვა! ამით შენ გამოსთქვამ იმ უბრალო და უდავო რამეს, რომ ოდესღაც მართლა არსებულა საქართველო, ხოლო დღეს იგი არ არსებობს".

ის უწუნებს ან-ს იმას, რომ უკრიტიკოდ იღებს ოფიციალურ სტატისტიკას. ჩხენკელის კრიტიკა საკმაოდ ობიექტურია, რადგან ამ სტატისტიკაში ქართველები კუთხურობისა თუ რელიგიური ნიშნით ხშირად არიან დანაწევრებულნი, მაგალითად, როგორც ჩხენკელიც აღნიშნავდა, მაჰმადიანი ქართველები „თათრებად" იყვნენ მოხსენიებულნი. „კავკასიის კალენდარი" შეცდომებს ყოველწლიურად შაბლონურად იმეორებდა.

ჩხენკელი ასკვნის: საქართველოს თვითმმართველობა აუცილებელია, ქართველ ერს აქვს თავისი ტერიტორია, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს მისი უმეტესობა, თითქმის 95 %, მის განაპირა ოლქებში მართალია, ცხოვრობენ არაქართველებიც, მაგრამ ძირითადი ტერიტორია ქართველებს უჭირავს, ამიტომ, საქართველოს თვითმმართველობა სწორედ ამ ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს. ასეთია აკაკი ჩხენკელის თვალსაზრისი იმაზე, თუ სად, რომელ ტერიტორიაზე უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს თვითმმართველობა.

**როგორ უნდა მოეწყოს თვითმმართველობა: ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი**

ეს საკითხი პრინციპულ საკითხად მიაჩნდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს. სოციალ-დემოკრატები ცენტრალიზმის პრინციპს იცავდნენ, ფედერალისტები კი – დეცენტრალიზმს უჭერდნენ მხარს. ან–ი თვლიდა, რომ ეს ტაქტიკის საგანი იყო, ჩხენკელი ამას უარყოფდა და პრინციპულ საკითხად თვლიდა. კერძოდ, რატომ იცავდა და რას ხედავდა მისაღებს ცენტრალიზაციაში აკაკი ჩხენკელი, კარგად ჩანს მის მსჯელობაში: „კაპიტალიზმს ახასიათებს წარმოების განსაზოგადოებრიობა, ერთი მხრით, და საწარმოო ძალთა უმცირესობის ხელში დაგროვება, მეორე მხრივ. ეს ძირითადი მიდრეკილება თანამედროვე ცხოვრებისა გამოიხატება არა მარტო შრომის განაწილებაში, ტექნიკის გაუმჯობესებაში, ან დამზადებული ნივთების ზრდაში, არამედ იმაშიც, რომ მთელი ეს პროცესი რაც შეიძლება მეტ სივრცეს იკავებს, რაც შეიძლება მეტ ხალხს ითრევს საერთო ფერხულში, მოქალაქეთა ურთიერთდამოკიდებულება და მიმოსვლა, რაც დღე გადის, უფრო და უფრო რთულდება, მჭიდროვდება. მათი ეკონომიკური იტერესები ისეა ერთმანეთზე გადაკვანძული, რომ შეუძლებელია და საზარალო მათი ერთმანეთისაგან გამოთიშვა, დაქსაქსვა. ხოლო რაც ცხოვრებაში ხდება, იმას აწესრიგებს ფორმალური უფლებაც: ცენტრალიზაცია ეკონომიკაში იწვევს ცენტრალიზაციას პოლიტიკაშიც. ცენტრი სცემს კანონებს, რომელიც თანაბრად ეხება ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა. აი, მოკლედ ის მთავარი აზრები, რომლითაც ხელმძღვანელობს მარქსისტი-ცენტრალისტი".

ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს ასუსტებდა ის დეცენტრალიზმი, რასაც ფედერალისტები მოითხოვდნენ. ამ შემთხვე-

ვაში კი, არც ჟორდანია ეწინააღმდეგებოდა მათ პრინციპულად, რადგან თვლიდა, რომ ეს მხოლოდ ტაქტიკის საგანი იყო. მისი აზრით, „წარმოუდგენელია სახელმწიფოს არსებობა, თუ ის მოკლებულია მის მთავარ ფუნქციებს, ე. ი. თუ ის არ განსაზღვრავს სუვერენულათ ქვეშევრდომთა როგორც პოლიტიკურ, ისე მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფო მარტო იმისთვის როდია მოვლენილი, რომ უყარაულოს ტერიტორიას, ის მოწოდებულია, გარდა ამისა, რომ შექმნას ის უფლებრივი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ყოველმხრივ აღორძინებას. ეს კი გამოიხატება ქვეშევრდომთა სრულ თანასწორობაში კანონის წინაშე, ერთის მხრით, და თვით კანონის ერთგვარობაში მეორეს მხრით. არ შეიძლება სრულ თანასწორობაზე ლაპარაკი იქ, სადაც ადამიანი სხვადასხვა კუთხეში სულ სხვადასხვა კანონს ემორჩილება... როცა ფედერალისტები მოითხოვენ თვითეული კუთხისათვის კანონმდებლობას სამოქალაქო და სოციალურ დარგებში, ამით ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოს აჭრელებას უფლებრივათ, რაც ასუსტებს კავშირს სხვადასხვა კუთხის მშრომელ მასებს შორის“.

მას მიაჩნდა, რომ ფედერალისტების დეცენტრალიზმი უცილობლად გამოიწვევდა ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებსა და შუღლის გაღვივებას საქართველოს მოსახლეობაში.

ჩხენკელი პასუხობდა ან-ის კრიტიკას და უარყოფდა, რომ ფედერალისტები საქართველოს სახელმწიფოებრიობას უჭერდნენ მხარს, სოციალ-დემოკრატები კი მის თვითმმართველობას. ის ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატებიც უჭერდნენ მხარს სახელმწიფოებრიობას და ეს მცდარი თვალსაზრისი, რასაც ან-ი საყვედურობდა, მისი პარტიის რამდენიმე წევრმა ადრე გამოთქვა, როდესაც საშიშ ტენდენციებს უკავშირდებოდა ამ აზრის მიმხრობა. ჩხენკელი შიშობდა ბურჟუაზიისა და გაბატონებული კლასების ხელში არ გადასულიყო ძალაუფლება და ხალხის ჩაგვრა არ მომხდარიყო, რაც სახელმწიფოსა და ძალაუფლების მარქსისტულ განსაზღვრებას წარმოადგენდა. ეს ბუნებრივიც იყო მარქსისტი ჩხენკელისათვის, მისი ეს შეხედულება მას თანაპარტიელებისგან გამოარჩევდა და გაცილებით ეროვნულ და პროგრესულ მოაზროვნედ აქცევდა...

**როგორი უნდა ყოფილიყო, ჩხენკელის აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარების გეზი**

ჩხენკელი მკითხველს აცნობდა ოპონენტის ეკონომიკურ თვალსაზრისს, კერძოდ, ან-ის მსჯელობას, რომ საქართველო ეკონომიკურად არ იყო ერთი მთლიანი ორგანიზმი. თავადაც ეთანხმებოდა ამას და ფედერალისტებთან შეუთანხმებლობას სწორედ ამ კუთხით ხსნიდა. ის თავს იმართლებდა და ამტკიცებდა, რომ არ უფიქრია ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთისაგან, რასაც ან-ი სწამებდა. მართლაც, ამდროინდელი სოციალ-დემოკრატიის მენშევიკთა ფრთა რუსეთის იმპერიაში საქართველოს კულტურულ-ავტონომიურ თვითმმართველობაზე საუბრობდა და ისიც არა ყველა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ლადო დარჩიაშვილი და აკაკი ჩხენკელი. რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოყოფას, ამას ისინი ამ დროს უარყოფდნენ. ამის შესახებ თვით ამ ტექსტშიც არის საუბარი: „საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ აქვს ან.-ს წარმოდგენილი ამიერკავკასიის თვითმმართველობა, შეიძლება მისი აზრით, ეს თვით-

მმართველობა ამიერკავკასიის ეკონომიურათ რუსეთისგან გამოყოფას მოასწავებს! ასეთი ფარცაკი რამ არც ერთს თანამოაზრეს არ უფიქრია, არა მგონია, რომ ანი ექომაგებოდეს მას“ (ჩხენკელი 2000:76).

ამას მოსდევს მსჯელობა, რომ მისი პარტია არ იყო ცენტრისგან ეკონომიკურად გამოცალკავების მომხრე. ამიტომ უკვირდა ან-ის თვალსაზრისი, თითქოს საქართველოს თვითმმართველობის მომხრეები საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მომხრეებიც იყვნენ. ის მიუთითებს ოპონენტის შეცდომაზე და თავისა და მისი თანამოაზრეების პოზიციას ასე განმარტავს: „არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც მისთვის სიკვდილს მოასწავებდა, არამედ საქართველოს მკვიდრთა თანდათანი გაერთიანება სწორედ ეკონომიკურ ნიადაგზედ – აი, საძირკველი, რომელზეც უნდა აშენდეს მომავალი თვითმმართველობა...“ (ჩხენკელი 2000:78) .

საერთო დასკვნები, აკაკი ჩხენკელის შეხედულებებისა და ჟორდანიასთან მისი უთანხმოებისა, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. აკაკი ჩხენკელმა, ჟორდანიასგან განსხვავებით, შეუძლებლად სცნო ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობის დაარსება; ის მხარს უჭერდა ამიეკავკასიის კულტურულ-ტერიტორიულ ავტონომიას, რაც შეზღუდული იყო იმით, რომ ცენტრიდან იმართებოდა.

2. ჩხენკელი მიიჩნევდა, რომ საქართველოს მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო ავტონომია უნდა მიეღო, თანაც, ეს დარგი უნდა ემართა არა ადგილობრივ, ამიერკავკასიის სეიმს, არამედ ცენტრს, საიმპერიო პარლამენტს. ეს შეხედულება სრულიად განსხვავდებოდა ნოე ჟორდანიას ნაშრომის – „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (ქუთაისი, 1908 წელი) ბოლო სიტყვებისაგან: „ნაციონალური ენა და კულტურა ამიერკავკასიის ყველა ერთა თანხმობითა და ერთი მეორის დახმარებით – აი, ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა.“

3. ჩხენკელმა ამხილა საკუთარი პარტია, რომ ის ეროვნულ საკითხში არასწორ გზაზე იდგა, თუმცა, ეს არ დააბრალა არც იმ იდეოლოგიას, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მიჰყვებოდნენ, არც ამ პარტიის წევრთა ეროვნულ საკითხში არასწორ ცოდნასა და გაუაზრებელ პოლიტიკას, არამედ იდეურ მოწინააღმდეგეებს, რაც ცოტა გაუგებარი მსჯელობა იყო.

4. თავისთავად, ჩხენკელის დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი XX საუკუნის 10-იანი წლების შუა ხანებში პროგრესული იყო თანაპარტიელებთან შედარებით, თუმცა, ბოლომდე ამ საკითხზე ის ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. უფრო სწორად, მას არ შეეძლო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე საუბარი, ამის საშუალებას არც საშინაო და არც საგარეო ვითარება არ იძლეოდა. რუსეთი აღმოსავლეთის ფრონტზე წარმატებებს აღწევდა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაც გამოჩნდა. ამდენად, პროცესის რადიკალიზაცია და ქართველი პოლიტიკოსების მიერ იმპერიიდან გამოყოფის მოთხოვნა ასე პირდაპირ ხელსაყრელი ვერ იქნებოდა. ამისთვის სხვა დროის შერჩევა იყო საჭირო.

აქვე უნდა შევეხოთ მეორე, გაცილებით თამამი სოციალ-დემოკრატის – ლადო დარჩიაშვილის თვალსაზრისს ნოე ჟორდანიას იმავე ნაშრომებზე, რომელთა კრიტიკასაც ეძღვნება აკაკი ჩხენკელის ზემოთ განხილული სტატია.

„ან-მა ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, – წერდა ლადო დარჩიაშვილი, – სადაც ის არკვევს აღნიშნულ საკითხთ. სიმართლე უნდა მივუზღოთ, ეს წერილები უფრო საყურადღებოა და სერი-

ოზული, ვიდრე ყველა ის, რაც კი ხსენებულ საგანზე ქართულ პრესაში დაიწერა ამ ბოლო ხანებს. ან-ი არღვევს ნაციონალური ბრძოლის ზედაპირს, ცდილობს ჩაგვახედოს მის გულის სიღრმეში და გვაჩვენოს, თუ იქ როგორ არის ჩაქსოვილი კლასიური ინტერესები. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ თვალთა ხედვის წერტილს იგი ბოლომდის ლოღიკურად ვერ ატარებს, მას წამდაუწუმ სცდება. ამიტომ, მის წერილებში სწორე და მრუდე შეხედულებები ერთმანეთს სცვლიან და ბოლოს ხელში გვრჩება ყალბი დასკვნები საკითხის როგორც პრინციპიალურ, ისე პრაქტიკულ სფეროში“.

ამის მიზეზად დარჩიაშვილს მოაქვს ის, რომ ჟორდანიას ეს მოსდიოდა „პოლემიკის ჟინიანობით“, ან გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმით, რომელსაც თავი ასპარეზზე გამოსვლისთანავე დააღწია, „მაგრამ იმ ჯგუფმა, რომელმაც ან-ი თითქმის იმ თავიდანვე ხელში აიტაცა საგოგმანებლათ, მაგრათ შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებით“ (დარჩიაშვილი 2001:324).

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ამხედრებამ, დარჩიაშვილის აზრით, ჟორდანია უფსკრულში გადააგდო. მან საქართველო ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილი წარმოიდგინა: ერთი მხრივ იყო ყველა პარტია და მეორე მხრივ – სოციალ-დემოკრატები.

აქედან ჩანს, რომ დარჩიაშვილი და ჩხენკელი თითქმის ერთდროულად მივიდნენ ეროვნული საკითხის პრიმატის გაგებამდე და ინტერნაციონალიზმის სწორედ ეროვნულთან მჭიდრო კავშირში გააზრებამდე.

### აკაკი ჩხენკელი – რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი

აკაკი ჩხენკელი 1912 წელს აირჩიეს რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატად და იქ იცავდა როგორც პარტიულ, ასევე ეროვნულ ინტერესებს, აყენებდა საქართველოს კულტურული ავტონომიის საკითხს. სათათბიროში 1912 წლის 10 დეკემბერს მან წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ქართველი პატრიოტი დეპუტატის სითამამისა და ეროვნული სულის გამოვლენის ნიმუშად არის მიჩნეული. მან ამ სიტყვაში სასტიკად გააკრიტიკა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის საკითხი .

სიტყვიდან ნათლად იკვეთება:

1. სოციალ-დემოკრატი ჩხენკელი, რუსეთის ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის მიუხედავად, წინ წამოსწევს ნაციონალურ საკითხს და ამას ბუნებრივად მიიჩნევს;

2. ჩხენკელი სათანადო მაგალითებით ამხელს რუსეთის ანტიეროვნულ პოლიტიკას, მის დამოკიდებულებას ფინელებთან, პოლონელებთან, ებრაელებთან, ქართველებთან და სხვა პატარა ერებთან;

3. ჩხენკელი თამამად გმობს „რუსთა უპირატსობის“ თეორიას, ეროვნებათა დაპირისპირებისა და მათი კონფლიქტების ხელოვნურ ინსპირაციას;

4. ჩხენკელს სამართლიანად მიაჩნია, რომ „არარუს ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკას მოაქვს უშუალო ზიანი თავად რუსი ხალხისთვის, რადგან აღვიძებს და აღვივებს რა მის შედარებით შეგნებულ ნაწილში თანამედროვე ადამიანისათვის შეუფერებელ ინსტიქტებს, ამით ის ახდენს მისი პოლიტიკური ძალებისა და გაქანების პარალიზებას, ელემენტარული დემოკრატიული უფლებების მოსაპოვებლად“;

5. ჩხენკელი იცავს სკუთარ პარტიულ იდეოლოგიასაც: თვლის, რომ ეროვნული ინტე-

რესების წინ წამოწევა კლასთა ბრძოლის უკანა რიგში გადატანას არ გულისხმობს; მისი აზრით, მის პარტიას გამოარჩევს ამ ორი მხარის თანაბრად დაყენება, რასაც სხვა პარტიები ვერ მოახერხებდნენ;

6. ჩხენკელი საუბრობს საქართველო-რუსეთის კავშირზე; როგორც ზემოთაც აღინიშნა (გვ. 23), ახსენებს გეორგიევსკის ტრაქტატს, თვლის, რომ „საქართველო რუსეთს ნებაყოფლობით შეუერთდა", რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ იქვე აკრიტიკებს შეერთების ფაქტს და მას ძალადობრივად, ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მიიჩნევს. „ეს შეერთება მოხდა განსაკუთრებული, ორივე ქვეყნის მონარქთა მიერ ხელმოწერილი ორმხრივი ტრაქტატის ძალით, რომელიც ქართველ ხალხს ყველა საშინაო საქმეში სრულ ავტონომიას ანიჭებდა. მაგრამ ათი წელიც არ გასულა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უცერემონიოდ, ერთი-მეორის მიყოლებით, ყველა ავტონომია წაართვა, რომელსაც ეს საერთაშორისო აქტი ითვალისწინებდა... საქართველომ, სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, დაკარგა ნორმალური ეროვნული განვითარების ელემენტარული გარანტიები. რუსული ბიუროკრატია საკმაოდ ვერაგი იყო, რათა ქართველი ხალხის უფლებების უზურპირება მოეხდინა. მან ტრაქტატში ასახული საკუთარი მონარქის აშკარა ნებაც კი გააუქმა. ამჟამად, ოფიციალურ ლექსიკონში ტერმინი „საქართველოც" კი აღარ გვხვდება, ბიუროკრატიის თვალში იგი უბრალოდ აღარ არსებობს", – ამბობს ის;

7. ჩხენკელი სრულიად მიუღებლად მიიჩნევს რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში: „მართალია, ჯერ კიდევ ამბობენ „საქართველოს ეგზარქოსი", მაგრამ არვინ იცის, რომ ეს ფრაზა ცარიელი სიტყვებია, მხოლოდ ირონიაა. რუსი ეგზარქოსების როლი ქართული კულტურის დანგრევაში, იმდენად ფართოდ არის ცნობილი, რომ მასზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია";

8. ჩხენკელი ლაპარაკობს რუსეთის მიერ ქართული ენის შევიწროებაზე, ქართული კულტურის დევნაზე, საქართველოს ისტორიული მიწების ხელში ჩაგდებასა და ქართველი გლეხებისა და მუშების დისკრიმინაციაზე; „რუსული ბიუროკრატია არ კმაყოფილდება ქართული ენის სისტემატიური დევნით ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მან სერიოზულ მიზნად დაისახა, ქართველ ერს დააკარგიოს ტერიტორია, მისი არსებობის საფუძველი".

9. ჩხენკელი კავკასიაში მომსახურე რუსულ ბიუროკრატიას მონღოლთა „ბასკაკებს" უწოდებს, აპროტესტებს „ტუზემცებად" მცირე ერების მოხსენიებას, დანაშაულად მიაჩნია თბილისში უნივერსიტეტის გახსნაზე მთავრობის უარი, მითუმეტეს, ეს იყო რუსული და არა ქართული უნივერსიტეტის მოთხოვნა.

10. რუსული პოლიტიკის, „ზოოლოგიური ნაციონალიზმისა" და შოვინიზმის აშკარა გამოვლენად ჩხენკელს მიაჩნია კავკასიაში ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოუღებლობა, ის მოითხოვს ეროვნულ თვითმმართველობას, ძირითადი საკითხების ადგილზე გადაწყვეტას ;

11. ჩხენკელი გაბედულად აყენებს ხელისუფლებისგან აკრძალულ მოთხოვნებს: „ჩვენ გამოვდივართ ეროვნებასთან და აღმსარებლობასთან დაკავშირებული ყველა შემზღუდავი კანონის გაუქმების მოთხოვნით, კერძოდ კი ებრაელთათვის ბინადრობის ადგილის შეზღუდვის გაუქმების, ეროვნებათა თანაბარუფლებიანობისა და მათი თავისუფალი თვითგამორკვევის, მშობლიური ენის ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებაში გამოყენების, თითოეული ერის თა-

ვისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი დაწესებულებების დაარსების მოთხოვნით“;

12. ჩხენკელის მიერ გახმოვანებული მოთხოვნა იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში – IV სახელმწიფო დუმაში პირველად გაცხადებული საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობის მოთხოვნა, რომელიც, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატმა – წამოაყენა. მან ამ სიტყვით რამდენიმე დღით დაასწრო სოციალისტ-ფედერალისტ ვარლამ გელოვანის იმავე მოთხოვნით წარმოთქმულ სიტყვას (ჭუმბურიძე, 2018: 51-53).

განსაკუთრებული სითამამე ეროვნული საკითხის დაყენებაში ჩხენკელმა რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ გამოიჩინა და გადამწყვეტი როლიც ითამაშა რუსეთის იმპერიის მიერ 117 წლის წინ დაპყრობილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

**ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ**

***წერილი-გაფრთხილება ნოე ჟორდანიას ბათუმიდან – თბილისში. 1918 წლის 15 მაისი***

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ საქართველოს ირგვლივ რამდენადაც საბედისწეროდ მოიღრუბლა ცა და რამდენად მეტადაც იმატა საფრთხეებმა, იმდენად წინ წამოიწია ქართველ პოლიტიკოსთა გაბედულებამ საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად, პირდაპირ რომ ვთქვათ, მის გადასარჩენად. აკაკი ჩხენკელის აზროვნებაც სწრაფად ტრანსფორმირდებოდა მშობლიური ქვეყნის, ათასწლოვანი ისტორიის მქონე საქართველოს საშველად. ვინც გაეცნობა ამ გულწრფელი ადამიანის დღიურებს, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე გამართულ დებატებსა და დიპლომატიურ ბრძოლებში მის ჩართულობას, იგრძნობს იმ მსუსხავ ძალას, რასაც აფხაზეთში გაზრდილი, რუსული იმპერიის კულტურული და იდეოლოგიური ექსპანსიით მეხსიერებადამძიმებული პატრიოტი ქართველი გამოსცემდა. ყველაზე მეტად ამ ძალამ მაშინ იფეთქა, როდესაც ქვეყანა ნამდვილი უფსკრულის პირას აღმოჩნდა, მისი პარტია კი, რომელიც მთელ ამიერკავკასიაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, კვლავ რუსეთისკენ მზერას განაგრძობდა, მასთან კომფორმისტულ დიალოგს უჭერდა მხარს და ელოდა უკეთეს, „დემოკრატიულ “ რუსულ ხელისუფლებას, რომელთანაც ძველებურად გაიყოფდა ხელისუფლებას. ეს რომ აღარასოდეს მოხდებოდა, ამას ჩხენკელი ისევე მიხვდა, როგორც იმდროინდელ ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილი და ყველაფერი გააკეთა „გადაბრუნებული ურმის“ წამოსაყენებლად და მისთვის საიმედო გზის მოსაძებნად.

მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ყოყმანობდნენ და ეძნელებოდათ საქართველოს საბოლოოდ გამოყოფა რუსეთისგან, რუსეთის შიშით აყოვნებდნენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ამგვარ პოზიციას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა აკაკი ჩხენკელი. ის იდგა ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეების – ნიკო ნიკოლაძის, ზურაბ ავალიშვილის, სპირდონ კედიას, გიორგი მაჩაბელის და სხვათა გვერდით და დაჟინებით ითხოვდა დამოუკიდებლობის აქტის განხორციელებას. 1918 წლის 15 მაისს

ბათუმში მყოფი ამიერკავკასიის დელეგაციის მეთაურმა აკაკი ჩხენკელმა ისტორიული წერილი გაუგზავნა მისი პარტიის თავმჯდომარეს, რუსული ორიენტაციით გამორჩეულსა და ფრთხილ პოლიტიკოსს – ნოე ჟორდანიას.

ამ ვრცელ და ისტორიული, დიპლომატიური თუ სხვა თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტიდან შეიძლება გამოვყოთ ძირითადი ასპექტები, რასაც ამ ურთულეს, უფრო მეტიც, საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნის პერიოდში სვამს ერთი ქართველი კაცი, იმ პარტიის წევრი, რომლისთვისაც მანამდე ეროვნული საკითხი სასხვათაშორისო იყო, ახლა კი, ეროვნული არსებობის სადავე მის ხელთ აღმოჩნდა. მართალია, აკაკი ჩხენკელი ამ საკითხს ყოველთვის უფრო ფრთხილად, მტკივნეულად აღიქვამდა, ვიდრე მისი პარტიელი ამხანაგები, მაგრამ არა ისე, რომ კაცს არ გაკვირვებოდა მისი სიმამაცე, პრაგმატულობა, საფრთხის წინაშე მდგარი ერის დიდი ნახტომისკენ წაქეზების უნარი, ანდა, ის ნიუანსები, რასაც ის ხედავდა კარსმომდგარი საფრთხეების მიღმა.

15 მაისის დილით ოსმალების ნოტა საქართველოს ტერიტორიაზე ჯარების გაშვების შესახებ ბათუმის კონფერენციაზე მყოფი ამიერკავკასიის სახელმწიფო დელეგაციის ქართველი წევრებისათვის მოულოდნელი არ იყო, ეს შეთავაზება-ულტიმატუმი მათ წინა დღით მიიღეს, მაგრამ უარი თქვეს ფორმალურად, ტაქტიკური მოსაზრებით, რათა ეგრძნობინებინათ ოსმალებისა და გერმანელებისთვისაც, რომ ქართველები ასე ადვილად არ ნებდებოდნენ.

2. ოსმალეთის მთავრობის ამგვარი აგრესიული ულტიმატუმი გერმანიის სახელით გააპროტესტა გერმანიის მისიის მეთაურმა ფონ ლოსოვმაც, მაგრამ ოსმალებს უკან ვერ დაახევინა;

3. ეს ყველაფერი ფორმალური, გარეგნული დეკორის დანიშნულების იყო. სინამდვილეში კი, ქართველებს არაოფიციალურად უნდა მიეცათ ოსმალებისათვის რკინიგზით ჯარის გატარების უფლება, რომ არ მომხდარიყო მათი შეტაკება ქართველების ან სომხების ნაწილებთან (აზერბაიჯანი მათ მხარეზე იყო), ამიტომ ოსმალეთის ჯარს მეთვალყურედ მოყვებოდა ორი გერმანელი ოფიცერი მხლებლებით. ეს გერმანელები ქართველებს დაუყონებლივ ალექსანდროპოლში უნდა გაეგზავნათ, რათა იქ მოეგვარებინათ ყველაფერი. აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენლის – ნაზარბეგოვისთვის ცალკე უნდა ეთქვათ ქართველ პოლიტიკოსებს, რომ ოსმალებისთვის არაოფიციალურად შეეწყოთ ხელი.

4. ჯარების ჩქარა გასვლა საქართველოს ტერიტორიიდან სასარგებლო იყო ქართველებისათვის: ისინი ნაკლები დარჩებოდნენ საქართველოში, ოსმალების სარდალი ვეჰიბ-ფაშა სიტყვას იძლეოდა, რომ სხვა ჯარს არ მოხსნიდა ფრონტებიდან.

5. სამხედრო საიდუმლოება მკაცრად უნდა დაცულიყო, პრესას და სეიმის დეპუტატებს სამხედრო საკითხებზე ხმამაღლა არ უნდა ესაუბრათ. ჩხენკელი გმობდა გაზეთების აგრესიულ ტონს ოსმალების და მითუმეტეს გერმანელების მიმართ. ის ურჩევდა ჟორდანიას, რომ თბილისში გამომავალ ქართულ და რუსულ გაზეთებში – „ბორბა“, „იზვესტია“ და „ერთობა“ – დაესვათ მთავრობის კაცი, ვინც ამას გააკონტროლებდა. ლანძღვა-გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენელნი ხელს უწყობდნენ ქართველებს, ჩხენკელის აზრით, ვერაგობა იყო და გერმანელებს, რომლებიც ამ პრესას კითხულობდნენ, გულს უტეხავდა საქართველოსთვის დახმარების გაწევაში. არ უნდა ელანძღათ არც ოსმალეთი, რადგან ეს გააძლიერებდა მათ აგრესიას.

6. ჩხენკელმა იცოდა, რომ გერმანიასაც თავისი ზრახვები ჰქონდა საქართველოსადმი, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტება იყო იმასთან შედარებით, რაც ქვეყანას რუსეთისა და ოსმალეთისაგან ელოდა. საგულისხმოა მისი სიტყვები: „ბორბას“ და „იზვესტიას“ უნდა ჩააგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, რომ ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებს პირველს შევურიგდეთ, ვინაიდან გერმანიამ თუ გვიხსნა, მხოლოდ თავის იმპერიალისტური მადის დასასაბუთებლად და არა რუსი ამხანაგების ლამაზ თვალისათვის“.

7. ომი შეუძლებელი იყო საქაართველოსთვის, მას არ უნდა ჩაედინა ის, რაც 31 მარტს, როდესაც სომეხი დეპუტატების და რუსი სამხედროების წაქეზებით ომში ჩაება ოსმალებთან და ტრაპიზონის კონფერენციის მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა. ამას ჩხენკელი აბრალებდა ჟორდანიას და შიშობდა, რომ რუსებსა, და განსაკუთრებით სომხებს, არ ეიძულებინა ისევ, ქართველები ომში ჩაბმულიყვნენ. თურქების გასვლა ჯულფისაკენ წინააღმდეგობის გარეშე უნდა მომხდრიყო, თუ პრესა, ან რუსის სამხედრო წრეები ამას არ დაეთანხმებოდნენ, ქართულ მხარეს სასტიკად უნდა დაეცვა ეს მიმართულება. ჩხენკელს ეფიქრებოდა ჟორდანიას პრინციპულობა და წერდა: „სპეციფიკური შენი ტაქტიკა დამღუპველია, ესე იგი კომპრომისი, ნახევარი ნაბიჯი წინ, ნახევარი უკან. ამან დაღუპა ჩვენი ტრაპეზუნდის პოზიცია, ერთი დღის მაგიერ ერთი კვირა ვიკამათეთ“.

8. ჩხენკელს არ განუხილავს დელეგაციის სომხურ და აზერბაიჯანულ ნაწილთან საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, ელოდებოდა ფონ-ლოსოვის მცდელობის შედეგს, მაგრამ, როგორც ქართველი დიპლომატი და მისი თანმხლები ქართველი დელეგატები ვარაუდობდნენ, მალე გერმანიაც დაეთანხმებოდა ოსმალეთს, რადგან ინგლისის შემოტევები გაძლიერდა და ამისთვის დამატებითი სამხედრო ძალა იყო საჭირო. მოკავშირეები ამას აზერბაიჯანში ხედავდნენ. „ჩვენი თათრები უკვე ადერბეიჯანის გამოყოფის მომხრე არიან, სომხებს გაწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ, თუ ომი გავბედეთ, – ეს აქსიომაა, ესე იგი აქტიურად გაერევიან ომში ჩვენს წინააღმდეგ ... ომში ისინი გადაჭრით ოსმალეთის მომხრე არიან, ვინაიდან მხოლოდ და მარტო ეს უზრუნველყოფს მათ რუსეთის ჩამობრუნებისაგან“, – ასე სჯიდა აკაკი ჩხენკელი და სამომავლო ნაბიჯების გათვლასაც ცდილობდა.

9. ქართულმა დელეგაციამ განუცხადა თურქებს და გერმანელებს, რომ პირველი ხელშეკრულების პროექტი, რაც უკვე გადმოგზავნილი ჰქონდათ ჟორდანიასთან, თუკი ის სისრულეში მოვიდოდა, მაშინ იქნებოდა სუბიექტი საერთაშორისო უფლებისა, ესე იგი ხელშეკრულება მთლიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან დაიდებოდა, რაც თურქებს არ აწყობდა, რადგან მათ სურდათ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, ოსმალურ ჯარში გაწვევა აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა, რითაც ამ ურთულეს ჟამს ფრონტს გააძლიერებდნენ. ფონ-ლოსოვი არწმუნებდა ქართველებს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობებს დაიცავდა ბერლინის ინსტრუქციის ძალით, ემხრობოდა ამიერკავკასიის მთლიანობას, ცდილობდა ოსმალთა მადის ალაგმვას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მუშაობა ამიერკავკასიის სახელით ინტენსიურად წარმოებდა და ჩხენკელის დელეგაციას იმედი რჩებოდა, რომ მოახდენდა თავის სასარგებლოდ საზღვრების რამდენადმე შესწორებას.

10. ჩხენკელის დაჟინებული მოთხოვნით, ძირითადი ამოცანა ახლა იყო ის, რომ უნდა

გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ მიზეზს გარეშე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ზავის შეკვრა ქართველებისთვის მისაღებ პირობებში. სომხები, რა თქმა უნდა, არ შეურიგდებოდნენ თურქების გეგმას და ომს გამართავენ თუგინდ „მთელ მსოფლიოსთან“, როგორც ამბობდნენ ხატისოვი და კაჩაზნუნი – დელეგაციის სომეხი წევრები. ამას გააკეთებდნენ, რადგან მათ შორეული იმედი მაინც რჩებოდათ ინგლისისა. „ჩვენ ვდგევართ უფსკრულის წინ: უნდა გადაწყდეს, გაყვება თუ არა ამ გზას ქართველებიც, როგორც ამას აქამდისინ ჩადიოდნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიით დამთვრალნი. მე ვამბობ: არას გზით, ვერ გაყვება, სანამ ინგლისელები მოვიდოდნენ ამიერკავკასიაში, რაც საეჭვოა, ჩვენ დავკარგავთ ყველაფერს, სიცოცხლესაც, დამოუკიდებლობას კი შეუძლია ჩვენი ხსნა“, – ირწმუნებოდა ჩხენკელი. თურქები თუ ნებით არა, ძალით გაივლიდნენ ამიერკავკასიას, დაიპყრობდნენ საქართველოს, ჩააყენებდნენ ჯარს სიმაგრეებში და ინგლისელებს არ მიუშვებდნენ მანამდის, სანამ არ ამოჟლეტდნენ ქართველობას. თუ ჟორდანია და ეროვნული საბჭოს სხვა ლიდერები დაადგებოდნენ 31 მარტის ტაქტიკას და ომში ჩაერთვებოდნენ, საქართველო დაღუპული იყო. ამის გამო, ის იწყებდა დიპლომატიურ მოქმედებას, რომ ქვეყანა გადაერჩინა;

11. ჩხენკელი თხოვდა ჟორდანიას, დაერწმუნებინა სომხები, არ აეღოთ იარაღი, მაშინ ის შეძლებდა გერმანელების კეთილგანწყობის მოპოვებას და სომხების დახსნას ხოცვა-ჟლეტისაგან, რადგან გერმანელები მათ აფასებენ ვაჭრული ნიჭის გამო. მათი ჩვენთან ყოფნა ერთ ფედერაციაში კი არ შეიძლება, რადგან ეს არც ოსმალებს სურთ, არც აზერბაიჯანლებს, გერმანელები კი მათ ვერ შეეწინააღმდეგებიან. ამასთანავე, სომხებს ტერიტორიული საზღვრები არ ჰქონდათ გამოკვეთილი, რაც კონფლიქტურ სიტუაციებს უქმნიდა მეზობლებთან, საქართველო კი, ამ კონფლიქტებში ვერ ჩაერეოდა.

12. საჭირო იყო ბათუმში მოლაპარაკების შეწყვეტა, რადგან თურქების პროექტი მიუღებელი იყო თბილისის დელეგაციისათვის, ამასთანავე, უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა.

13. ჩხენკელის წერილი ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმში სრულიად საიდუმლოდ უნდა წაეკითხათ, უნდა მიეღოთ წინასწარი თადარიგი, ჩხენკელი ყოვლად შეუძლებლად მიიჩევდა ამ საგანზე საოლქო კომიტეტში ან ფრაქციაში ლაპარაკს. ის თამამ წინადადებას აძლევდა სოციალ-დემოკრატების ლიდერსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს: „თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ, თუ არ შეგიძლიათ, უკეთესია გადადგომა, მაგრამ ამ შემთხვეაში ერი დაიღუპება. თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. საჭიროა ამ წუთშივე გათვალისწინება ყველა ამისა, საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.

14. აფხაზებს, განსაკუთრებით ოსმალეთში მცხოვრებ მუჰაჯირებს, აქეზებდენ ოსმალები დამოუკიდებლობისკენ და იდგა საფრთხე მათ მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა. ეს ხდებოდა კულისებს მიღმა, ბათუმის კონფერენციაზე კი, ჩხენკელის თქმით, სოხუმის ოლქზე თურქების მხრიდან დავა არ იყო, ის მიიღებდა იმავე უფლებას, რასაც საქართველო, იქნებოდა კავკასიის ფედერაციის ერთი ნაწილი, ჩხენკე-

ლის აზრით, როცა მთიელები სახელმწიფოს შექმნიდნენ, საქართველოს შემოუერთდებოდნენ, იმჟამად კი, საჭირო იყო ამიერკავკასიის ფარგლებში სოხუმის ოლქის დარჩენა, რადგან ზავი მხოლოდ მასთან იკვროდა. არ უნდა მიეცათ აფხაზთა თურქოფილური ნაწილისათვის რაიმე პროვოკაციის საშუალება. ის აძლევდა წინადადებას ჟორდანიას, რომ ბათუმში გაეგზავნათ აფხაზეთ-სამურზაყანოს გლეხთა დელეგაცია, მათთან შეხვედრის შემდეგ ბათუმის ზავის ხელშეკრულებაში შეიტანდა ორ მუხლს: 1) რომ „მოჰაჯირი აბხაზები დაბრუნდებოდნენ სრულიად თავისუფლათ"; 2) რომ „აბხაზეთ-სამურზაყანო გახდებოდა სრულუფლებიანი წევრი ამიერკავკასიის და შემდეგ კავკასიის ფედერაციისა".

15. განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა უნდა შენარჩუნებულიყო აზერბაიჯანთან, დამოუკიდებლობის შემდეგ ის გახდებოდა საქართველოს კიდევ უფრო დიდი მეგობარი. უნდა დახმარებოდნენ ბაქოს, რომელიც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ფარგლებში იყო (სცა, ფონდი – 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფურც. 5-8).

ჩხენკელს მიაჩნდა, რომ ეს წერილი იყო მისი ერთ-ერთი გამამართლებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა დარჩენოდა ეროვნულ საბჭოს, რასაც იმ შემთხვევაში გამოიყენებდა, თუ მისი მიმართვის ადრესატები არ დაიჯერებდნენ მის რეკომენდაციებს და საქართველოს ბედს უკუღმა წაიყვანდნენ. 15 მაისის ეს წერილი, რომელსაც ხელს მასთან ერთად ნიკო ნიკოლაძე აწერდა, იქცა ნამდვილ ულტიმატუმად ამდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტისათვის, მათ მიიღეს ის და 1918 წლის 26 მაიის საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

**საქართველოს ევროპული ორიენტაციის საკითხი აკაკი ჩხენკელის პოლიტიკურ ნააზრევსა და დიპლომატიურ მოღვაწეობაში**

აკაკი ჩხენკელი იყო დამფუძნებელი კრების წევრი, მუდამ ამაყობდა ამ სახელმწიფო ინსტიტუტით, გამოხატავდა სიამაყეს იმით, რომ პოსტიმპერიული ქვეყნებიდან პირველი პარლამენტი სწორედ საქართველომ მოიწვია და ეს გაკეთდა სამართლიანად ჩატარებული არჩევნების შედეგად. დამოუკიდებელ საქართველოში ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდეგ კი საქართველოს ევროპაში ელჩად გამწესებულმა ქართველმა მოღვაწემ ყველაფერი გააკეთა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებისა და მის ევროპულ სტრუქტურებში ჩართვის კუთხით.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის შემდეგ, ევროპელი პოლიტიკოსები და დიპლომატები ხშირად ახსენებდნენ და აყვედრიდნენ ჩხენკელს წარსულში მის გერმანულ ორიენტაციას, არადა, სწორედ მან დაინახა გერმანიის გადამწყვეტი როლი ოსმალური ექსპანსიისაგან საქართველოს ხსნაში, ამის გამო წერდა 1918 წლის მაისის ბოლოს, გერმანიაში ქართული დელეგაციის გამგზავრების წინ: „მე დღეს ბერლინს მივემგზავრები, რათა ხელი შევუწყო 28 მაისს ფოთში დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომლის მიხედვითაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გერმანიის იმპერიისგან მფარველობის გარანტია მიიღო. ამასთან ერთად, ჩემს წმინდა მოვალეობას წარმოადგენს გერმანულ პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ინტერესების დაცვა. საქართველოს შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირ კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპასთან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს თავისი ძალების განვითარებას".

ეროვნული იდენტობა, როგორც ინტეგრალური ნიშანი, უმაღლესი ფორმით დამოუკი-

დებელი ეროვნული სახელმწიფოს იდეაში ვლინდება. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებით ეს იდეა განხორციელდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული „ახალი მსოფლიო წესრიგის" შექმნის პროექტში ქართულ სახელწიფოს თავისი ადგილი და როლი უნდა ეპოვა. ნაციონალური იდენტობის, ეროვნული თვითგამორკვევის პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო სრული იზოლაცია მოდერნიზებული რუსული იმპერიისაგან, ქვეყანას უნდა აეღო ევროპული ორიენტაცია, რაც უპირობოდ ითვალისწინებდა ახალი სახელმწიფო ისტიტუტების ჩამოყალიბებას, ყველა სფეროს მოდერნიზაციას, ფართო რეფორმისტულ მოძრაობაში ეთნოისტორიული და კულტურული ტრადიციების არა მარტო წინ წამოწევას, არამედ განვითარებასა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და ევროპული ორიენტაცია პირველი რესპუბლიკის იდეოლოგთა ეპისტოლურ თუ თეორიულ ნაშრომებში ეროვნული იდენტობის მთავარ გამოხატულებად გაიაზრებოდა. ორივე ამ მიმართულებას, კამათს პოლიტიკური ორიენტაციისა თუ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეაზე, დიდი ადგილი ეთმობა ამ პერიოდის ეპისტოლურ ტექსტებში. ესაა პოლიტიკოსთა და იმ დიპლომატთა მიმოწერები, რომლებიც პოსტიმპერიულ ახალ სახელმწიფოებში წარმოადგენდნენ რესპუბლიკის წარგზავნილებს და ზოგჯერ თეორიულად უშვებდნენ რუსული დემოკრატიის გამარჯვების შესაძლებლობას და მასთან კავშირზე გათვლილ მომავალ სახელმწიფო მოწყობას, რაც მიუღებელი იყო იმ ჯგუფისთვის, რომელსაც ეკუთვნოდა ქართველ სოციალ დემოკრატთა მემარჯვენე ფრთა. ეს ჯგუფი იბრძოდა საქართველოს სრული სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და მისი ჩართვისათვის ევროპული ქვეყნების ერთობაში, ერთა ლიგასა და ევროპის ქვეყნების სამხედრო კავშირებში საქართველოს გაწევრიანებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა ა. ჩხენკელის მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა, მისი მიმოწერა საქართველოს წარმომადგენლებთან სხვადასხვა ქვეყანაში.

სოციალ-დემოკრატიული პარტია არ იყო ერთგვაროვანი: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი და გრიგოლ ლორთქიფანიძე მის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენდა, ირაკლი წერეთელი – მემარცხენეს, ცენტრისტული პოზიცია ეკავა ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს და სხვებს, რომელთა აზროვნება ხშირად მარცხნივ იხრებოდა, თუ გავითვალისწინებთ კლასობრივი და პარტიული ნიშნის წინ წამოწევას მათ აზროვნებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ჩვენ მიერ აღებული პრობლემის ანალიზისას უფრო მემარჯვენე და მემარცხენე პოზიცია იქნება საინტერესო: კერძოდ, როგორ უყურებდნენ ეს პოლიტიკური ჯგუფები ისეთ პრობლემას, როგორიცაა ნაციონალური იდენტობისა და ევროპულ ერთობაში საქართველოს ჩართვის საკითხი.

ნაციონალური იდენტობის მთავარი გამოხატულება – ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისათვის ისევე უალტერნატივო იყო, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური ქართული პარტიების ლიდერებისთვის. ურთულეს საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ამ ადამიანთა ინციატივით, კერძოდ, 1918 წლის 15 მაისს ბათუმის კონფერენციიდან პარტიის თავმჯდომარისადმი აკაკი ჩხენკელისა და ნიკო ნიკოლაძის ხელმოწერით გამოგზავნილი ვრცელი წერილი იყო მთავარი ბიძგის მიმცემი ამ გადაწყვეტილების დაუყონებლივი აღსრულებისათვის.

26 მაისს გამოქვეყნდა დამოუკიდებლობის აქტი, მომდევნო დღეებში დაიდო საზავო ხელშეკრულებები გერმანიასა და ოსმალეთთან და ორივე ეს პიროვნება ბერლინში გაემგზავრა სპეციალური დელეგაციის ფარგლებში. დელეგაციის წევრები (ჩხენკელი, ნიკოლაძე, ავალიშვილი, კედია) ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს და ყველგან ეძებდნენ საქართველოსთვის გამოსაყენებელ მომენტს. ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს უნდა ესარგებლა ევროპულ სახელმწიფოთა მხარდაჭერითა და დახმარებით, უნდა გამოეყენებინა ყველა ბერკეტი, დაეხმარებინა ყველა საჭირო პოლიტიკური ძალა, მათ შორის ევროპის სოციალისტური ორგანიზაციებიც დასახული ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ ყოველივეს ჭირდებოდა მტკიცე პოლიტიკური ნება, დამოუკიდებლობისა და დასავლეთისკენ გადაგმული მტკიცე ნაბიჯები, რაც ბევრ იმდროინდელ ქართველ პოლიტიკოსს აკლდა. ცნობილი დიპლომატი და პოლიტიკოსი ზურაბ ავალიშვილი დამოუკიდებლობის დაკარგვის მრავალ მიზეზთა შორის ასახელებდა მმართველი პარტიის სოციალ-დემოკრატიულ დიქტატურას, პარტიული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე წინ დაყენებას .

ამ ფაქტს და მისგან მომდინარე საშიშროებას თვით საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც ხედავდნენ. ამ ვითარებას კარგად ასახავს ბერლინიდან ნოე რამიშვილისადმი ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი წერილები. ის ენდობოდა ნოე რამიშვილს,მიაჩნდა საქართველოს ხელისუფლებაში ყველაზე თამამ და ძლიერ პოლიტიკოსად, თანამოაზრედ და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლად, ამიტომ უზიარებდა თავის ეჭვებსა და აზრებს. ყველა, ვისზეც მიუთითებდა, როგორც არაპრინციპულ და პრორუსულ პოლიტიკოსზე, მის წერილებში დასახელებული არაა, მაგრამ ვხვდებით, რომ ასეთი პიროვნებები ამ დროს სახელმწიფოს სათავეში იყვნენ და შესაძლო იყო მათ დაებრკოლებინათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინსვლა. მოვიტანთ ერთ-ერთი წერილის ფრაგმენტს:

„29. IX.18, ბერლინი

პირადათ საიდუმლოთ.

ძვირფასო ნოე

შენი წერილი მივიღე. მე აქ მინდა შევეხო მხოლოდ ერთ დიდ საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს ყველა სხვა საკითხებთან. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი პოზიცია მის მიმართ. უნდა გამოვტყდე, არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელნიც რაღაც რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, ზოგს შეიძლება არცა სურს ეს. ასეთი ფსიხოლოგიური მიდრეკილება მთავარი მიზეზია ჩვენი უძლურებისა. ჩვენს შორის ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ ნათლათ, თუ რა მოუვიდა რუსეთს, თორემ მასთან ხელახლა გაერთიანება თუგინდ რომ შესაძლებელი იყოს ეს, სასტიკ პროტესტს უნდა იწვევდეს მათ არსებაში... საქართველოს შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირი კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპასთან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ყველა თავისი ძალების განვითარებას... ამბობენ, პატარა სახელმწიფოს არსებობა ძნელიაო, ეს მართალია, მაგრამ შესაძლებელი კი არის. ასე წარმოიდგინე, ჩვენ იმდენად არ გველის გარედან შიში, რამდენათ შიგნით. ჩვენ თვითონ ძაბუნი ვართ,

არ გვიღვივის ეროვნული თავისუფლების ცეცხლი გულში, არ გვასულდგმულებს მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი, რომელიც ერთადერთი საფუძველია ჩვენი ინდივიდუალურობის ყოველმხრივ დაწინაურებისა. ჩვენ ვართ ზარმაცნიც იმავე დროს, სისტემატურათ თავჩაქინდრული მუშაობა, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩვენ არ გვეხერხება. გარწმუნებ, ჩემო უძვირფასესო ამხანაგო, ჩემში არ ლაპარაკობს პირადული მომენტის ერთი ნატამალიც, მე მზად ვარ ყველაფერი დავთმო, არ მინდა არავითარი თანამდებობა, მამუშავეთ როგორც შავი მუშა, ოღონდ იდეა დამოუკიდებლობისა აღდგეს ჩვენში. ჩვენი მუშაობა უიდეოა, რუსეთის დარღვევასთან დავკარგეთ უნარი ენერგიული მუშაობისა ჩვენს ხალხში. რუსოფილური მიდრეკილება ჩვენი ერისა ემყარება ინერციას, ჩვენს პარტიას მაინც მართებს განთავისუფლდეს ამ ინერციისაგან, ჩაერიოს ხალხში თავისებურათ-ახლებურათ, ჩაუნერგოს მას ეროვნული გრძნობა, პასუხისმგებლობის შეგნება, ისა რომ , ის ახლა თვითონაა თავის ბედ-იღბალის გამომჭედი...

შენ გაწევს, ნოე, დიდი პასუხისმგებლობა, იმავე დროს შენი მხრით... განმტკიცება პარტიაში და იქედან ერში დამოუკიდებლობის ღრმა რწმენისა, სხვა დანარჩენი... დიდის ჭაპანწყვეტით თავისთავათ მოვა.

შენი აკ. ჩხენკელი “ ( სცა, ფონდი 1831, აღწ.2, სქმე 83, ფ. 1-3).

აკაკი ჩხენკელი მტკიცედ იდგა დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის ნიადაგზე და სხვებსაც ამას თხოვდა, განსაკუთრებით აღიზიანებდა ის დიპლომატები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდნენ ბოლომდე და და საქართველოს მომავლის გააზრებაში არ გამორიცხავდნენ კვლავ რუსეთისკენ მიბრუნების ფაქტორს. ერთი ასეთთაგანი იყო კიევში დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, სოციალ-დემოკრატი ბიქტორ თევზაია. აი, რას წერდა მას ჩხენკელი 1919 წლის 30 იანვარს ბერნიდან: „რა თქმა უნდა, ყველას შეიძლება ჰქონდეს თვალსაზრისი, მაგრამ, უეჭველია ერთი: ჩვენი ნაბიჯები დამოუკიდებლობისადმი არ არის ახლა ტაქტიკური, ჩვენ პრინციპიალურათ ვუჭერთ მხარს დამოუკიდებლობას და არც ვაპირებთ ამ გზიდან გადახვევას. თქვენი აზრი – საქართველოს კარჩაკეტილად ცხოვრება არ შეუძლიაო, – შემცდარია ჯერ კიდევ იმ მხრივ, რომ ჩვენ რუსეთის საზღვრებში ვიყავით სწორეთ კარჩაკეტილი და მოწყვეტილი დასავლეთ ევროპისაგან, ოსმალეთზე ლაპარაკიც მეტია, მეტია აგრეთვე რუსეთზე ლაპარაკიც. სავალალო და სამარცხვინო იქნებოდა ჩვენი პარტიისათვის, არ ესარგებლა დღევანდელი ფრიად მოხდენილი მომენტით და არ მოეპოვებინა ერისათვის სრული დამოუკიდებლობა, რომ ამით მას გაეხსნას საშუალება სრულუფლებიან წევრად შევიდეს საერთაშორისო ოჯახში, რაიც მას გაუხსნის სწორ გზას დასავლეთ ევროპასთან, მთელს მსოფლიოსთან და მით საქართველო შეუდგება მის ყოველმხრივ აღორძინებას“ (სცა, ფ, 1831, აღწ. 2, საქმე 87,ფ.3).

მისი საყვედური მიემართებოდა იმ დიპლომატებს, რომლებიც უცხო ქვეყანასთან ურთიერთობისას პარტიულ დოგმებს ერთგულებდნენ ხოლმე და სახელმწიფოებრივ ინტერესებს უგულვებელყოფდნენ. „თქვენ დაგავიწყდათ, რომ სახელმწიფომ გამოგგზავნათ და არა პარტიამ“, ხშირად შეახსენებდა მათ მთავარ მოვალეობას – ქართული სახელმწიფოებრიობის სამსახურში ერთგულებას.

ევროპის ქვეყნებთან მეტი კონტაქტი, იქ პოლიტიკოსების გაგზავნა და საქართვე-

ლოს პრობლემებზე ინფორმირება იყო მისი მთავარი მოთხოვნა, ევროპასთან კავშირი ითხოვდა ევროპულ ფასეულობათა ერთგულებას, ამიტომ ამახვილებდა ყურადღებას აგრარული და სამთამადნო კანონების სოციალისტურ და ევროპელთათვის მიუღებელ ხასიათზე, ურჩევდა ხელისუფლებას მის დახვეწა-შეცვლას .

აკაკი ჩხენკელი მაღლა იდგა პარტიულ ინტერესებზე, მას არ მოსწონდა მართვის დიქტატორული სტილი, მიაჩნდა, რომ ყველა ნიჭიერ ადამიანს უნდა მისცემოდა ასპარეზი სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკურ არენაზე. ზოგჯერ, თანაპარტიელებზე მაღლა აყენებდა სხვა პარტიების წარმომადგენლებს, იცავდა მათ ინტერესებს.

თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მოკლე დროში საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის აღმშენებლობას, მოესწრო არაერთი დემოკრატიული ინსტიტუციის ფორმირება, სათავე დაედო სახელმწიფოებრივ წესრიგსა და სხვა, ამ საქმეში, აკაკი ჩხენკელთან ერთად, მთავრობის პირველი პრემიერის – ნოე რამიშვილის დიდი ღვაწლიც იყო. რამიშვილის თვალსაზრისი ეროვნული იდენტობისა და ევროპულ ერთობაში საქართველოს მომავალი ადგილის შესახებ საინტერესოდაა გამოთქმული მის ბოლო ნაშრომში – „დემოკრატიული სოციალიზმი“. წიგნი გამოვიდა პარიზში, 1931 წელს, ავტორის გარდაცვალების წლისთავზე.

წიგნში საუბარია ეროვნული თავისუფლებისა და ევროკავშირის („პანევროპული კავშირის“) შექმნის, პატარა სახელმწიფოების პრობლემების გადაჭრისა და საერთო ევროპული ბაზრის შესახებ:

„თავისუფალი ერი თავისუფალი კაცობრიობის ფარგლებში, – წერდა იგი, – აი, რას ეტრფის სოციალ დემოკრატია. ამიტომ არის, რომ ის დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ყოველივე ცდას, რომელიც ამ დიდი მიზნის მიღწევას ემსახურება. ერთი ასეთი ნაბიჯი იქნება ევროპის სახელმწიფოთა შეთანხმება ე. წ. პანევროპის დასაარსებლად...“

„მოსპეთ ეკონომიკური ნაციონალიზმი, თანდათანობით გააუქმეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის სადამოჟნო (სატამოჟნო, საბაჟო, – დ. ჭ.) კედლები და პანევროპაც სინამდვილედ გადაიქცევა. ამით ეკონომიკური ცხოვრების გასაჯანსაღებლად პირველი ნაბიჯი გადადგმული იქნება. მაგრამ ეკონომიკის ხელოვნური არტახებისაგან განთავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს ეროვნულ სახელმწიფოთა დამხობას და მათი ბუმბერაზ სახელმწიფოთა მიერ ჩაყლაპვას. უკანასკნელნი წარსულს ეკუთვნიან და არა მომავალს... დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული თავისუფლება კაცობრიობის განვითარების ქვაკუთხედია. თავისუფალი კაცობრიობა მხოლოდ თავისუფალ ერთა შეკავშირებით წარმოიშობა“ (რამიშვილი, 1931).

ავტორს პანევროპულ, იგივე ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება, ევროპულ ბაზარზე გასვლა ქვეყნის საუკეთესო მომავლის ნაწილად მიაჩნდა. ამ აზროვნებაში უცხო არაფერი იყო: ქართული დემოკრატია და სახელისუფლო ძალა დამოუკიდებლობის წლებშივე აქტიურად იღვწოდა ერთა ლიგის წევრობისათვის, ევროპულ ბაზარზე გასასვლელად. ლიგის წევრობა, თუკი მას საქართველო მიაღწევდა, იქნებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიც და ევროპულ სამხედრო სისტემაში ჩართვის საშუალებაც. სამწუხაროდ, ამ მიზნის განუხორციელობლობამ ხელი შეუწყო რუსეთს საქართველოს ხელახლა დაპყრობაში.

**აკაკი ჩხენკელი ქართულ პოლიტიკურ წრეებში არსებული პოლარიზაციის წინააღმდეგ, დაპირისპირებულ მხარეთა შემარიგებელი**

პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა კონფლიქტი, საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებას ახასიათებდა როგორც დამოუკიდებლობის წლებში, ასევე, ეს ვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ემიგრაციაშიც გრძელდებოდა.

როდესაც უცხოეთში საქართველოს წარმომადგენლებად შეარჩია კადრები, ჩხენკელი მხოლოდ მათ პროფესიონალიზმსა და პიროვნულ თვისებებს ითვალისწინებდა. ამ დროს მთავრობის ზოგიერთი წევრი მას არ ეთანხმებოდა, რადგან სხვა პარტიებისა და სოციალური წრის წარმოამდგენლებს არ ენდობოდნენ, თავადური წარმოშობის ადამიანები მათთვის „ბურჟუაზიული" აზროვნების ადამიანებად და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მტრებად აღიქმებოდა. ამაზე ნიშანდობლივია ჩხენკელის ერთი წერილი საქართველოს მთავრობისადმი, სადაც ის წერს: „მე დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც. ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა და ნიკომ ბერლინში. საზოგადოთ, მე ვამჩნევ, რომ თქვენ არც კი აჩენთ გარეთ ზურაბს, მაშინ, როდესაც ის ძალიან თავდაჭერილი, მტკიცე და მცოდნე მომლაპარაკებელიია, არც ერთ რუსეთიდან ჩამოსულ დელეგაციას არ ჰყავს მაგისთანა მრჩეველი. თქვენ კი არ სარგებლობთ. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება" (სცა, ფონდი 1831. აღწ. 2, საქმე 51, ფ. 9).

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართულ ლეგაციასა და ემიგრანტულ წრეებში ვითარება დაიძაბა. განხეთქილების საგნად იქცა აჯანყებისადმი პოლიტიკურ წრეებში გამოხატული ლიოიალობა, რაც ბევრს ქართველი ხალხის ღალატად მიაჩნდა, რადგან გარედან დახმარების გარეშე წინასწარ მარცხისთვის განწირულ აჯანყებას კატასტროფული შედეგების მოტანა შეეძლო ეროვნული ძალებისა და მთელი ქვეყნისათვის. ევროპის სახელმწიფოები ამ დახმარებაზე უარს ამბობდნენ, შიშველი ხელებით კი, როგორც აჯანყების მოწინააღმდეგეებს მიაჩნდათ, გამარჯვებას გულანთებული პატრიოტებიც ვერ შესძლებდნენ.

1924 წლის აჯანყებას მხარი მთავრობის ყოფილმა მეთაურმა ნოე ჟორდანიამ და ზოგიერთმა პოლიტიკოსმა დაუჭირა. მათ შეადგინეს აჯანყების გეგმა და სპეციალური წვრთნაც გაიარეს საფრანგეთის რესპუბლიკის 35-ე ქვეითთა პოლკში. 1924 წელს ამ ჯგუფის ნაწილი, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, საქართველოში დაბრუნდა. ჯუღელი იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რომ, ფაქტობრივად, მთავრობის მეთაურის პოზიციას გამოხატავდა. ის ჯერ გურიაში იმყოფებოდა, შემდეგ გადავიდა თბილისში, გახდა დამკომის სამხედრო კომისიის წევრი, სათავეში ჩაუდგა აჯანყების მომზადებას. 6 აგვისტოს ის ჩეკამ დააპატიმრა, საპატიმროში უჩვენეს აჯანყების გეგმა და აუხსნეს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა. სასოწარკვეთილმა ჯუღელმა თვითმკვლელობაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 28 აგვისტოს მან თანამებრძოლებს გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით დანებება ურჩია. მოვლენებზე მის მიმართვას გავლენის მოხდენა უკვე აღარ შეეძლო. 30 აგვისტოს ჯუღელი დახვრიტეს, იგივე ბედი ეწიათ ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს, ყოფილი დემოკრატიული მთავრობის სხვა წევრებს.

1924 წლის აჯანყებას არ ემხრობოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი და ცნობილი დიპლომატი აკაკი ჩხენკელიც. მას და მის თანამოაზრეებს საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლთა მარცხი გარდაუვლად მიაჩნდათ და დიდ შეცდომად თვლიდნენ ქართველი პატრიოტების ამ საქმეში წაქეზებას.

ცნობილი მეცნიერი – კიტა ჩხენკელი იყო აკაკი ჩხენკელის ძმა. ის 1920 წელს ჩაირიცხა გერმანიაში, ჰალეს უნივერსიტეტში, ფილოსოფიის სპეციალობით. შემდგომი მუშაობა ჰამბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა. მეცნიერული ინტერესების გარდა, ის თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო და გერმანიაში ცხოვრების პერიოდში ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში ჩართვამაც ბევრჯერ მოუწია, მითუმეტეს, მის ძმას, რომელთანაც განსაკუთრებული სითბო და სიყვარული აკავშირებდა, შემარიგებელი როლი ჰქონდა, პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა გამო დაპირისპირებულ ქართულ ემიგრანტულ წრეებში. კონფლიქტის ინსპირაციას, გარდა 1924 წლის აჯანყების თემისა, სხვა მიზეზიც ჰქონდა. ეს იყო ქართული ლეგაციის მეთაურის – ნოე ჟორდანიას გამორჩეული პარტიული მიდგომა მოვლენებისა და პიროვნებებისადმი, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მრავალპარტიულ ემიგრანტულ წრეებში. ნოე ჟორდანიას ასეთი მიდგომა არც მის უახლოეს თანამებრძოლებს – აკაკი ჩხენკელსა და ნოე რამიშვილს მოსწონდათ, მაგრამ თავს იკავებდნენ უკმაყოფილების გამოხატვისაგან, რათა ემიგრაციაში ჩამოვარდნილი განხეთქილება არ გაეღრმავებინათ.

საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში დაცული კიტა ჩხენკელის წერილები, რომელიც ჰამბურგიდან აკაკი ჩხენკელს გამოუგზავნა, მოგვითხრობს გერმანიის ქართულ სათვისტომოში პარტიების ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე, ქართულ ემიგრაციაში ეროვნული საქმიანობის აქტიურობაზე, ნოე ჟორდანიასადმი პოლიტემიგრანტთა გარკვეული ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებაზე. წერილები საინტერესოა ბევრი სხვა თვალსაზრისითაც: აქ ჩანს ქართული ემიგრაციის მიერ საერთაშორისო კავშირების დამყარების მცდელობა, ქართული ეროვნული საკითხისადმი დევნილ პოლიტიკოსთა სხვადასხვა მიდგომა, საქართველოსა და კავკასიის საკითხის პრეზენტაბელურობა ამდროინდელი ევროპული პოლიტიკის ფონზე. წერილები 1933 წელს, ქართული ლეგაციის უფლებამოსილების შეწყვეტის დროსაა დაწერილი. მაგრამ ლეგაციის უფლებამოსილების შეწყვეტამდე სამსახურებრივი უფლებამოსილება (უფრო სწორად, ხელფასი) ნოე ჟორდანიამ ვლადიმერ ახმეტელს შეუწყვიტა. მიზეზი იყო ის, რასაც შემდეგ 1933 წლის წერილებში ხაზს უსვამდა კიტა ჩხენკელი: მოვლენებისადმი ჟორდანიას ვიწროპარტიული და კლასობრივი ცნობიერებით მიდგომა. ზუსტად რომ ვაჩვენოთ, თუ რა შინაარსისა იყო ჟორდანია-ახმეტელის ეს კონფლიქტი, მოვიტანთ 1932 წელს ერთმანეთისადმი გაგზავნილ მათ წერილებს (შენიშვნა: ეს წერილებიც ჩხენკელის არქივმა შემოინახა):

19 აპრილი 1932, ნოე ჟორდანია პარიზიდან ბერლინში წერს საქართველოს წარმომადგენლობის აქაურ ხელმძღვანელს – ვლადიმერ ახმეტელს

„ძვირფასო ლადო,

ეს წერილი კარგა ხანია უნდა მომეწერა, მაგრამ მოუცლელობამ შემიშალა ხელი და ახლა გწერ. ეს ერთი ხანია მესმოდა, რომ შენ ოპოზიციაში ხარ, მაგრამ არ მჯეროდა და არც ვიცოდი – რაგვარ ოპოზიციაში. მას შემდეგ, რაც ჩემი თვალით ვნახე შენი განცხადება შესახებ მხა-

რის დაჭერისა წერეთლის ჯგუფის კანდიდატის საღირაშვილის სასარგებლოდ, დავრწმუნდი, რომ ხმები ყოფილა მართალი. გამოირკვა, რომ მხარს უჭერ და ამაგრებ იმ მიმართულებას, რომელიც ებრძვის მთელ ჩვენ ნაციონალურ ხაზს. ამავე დროს ვიცი ისიც, რომ ბერლინში მხარს უჭერენ მემარჯვენე ელემენტებს, რომელნიც ებრძვიან მთავრობასა და ერის ფრონტს. იქამდისაც კი მისულხარ, რომ კოლონიის არჩევნებში შავი მიგიცია სოციალ-დემოკრატიის კანდიდატისათვის და თეთრი ფაშისტისათვის. ახლა მე აღარ ვიცი რანაირათ უნდა აიხსნას ეს ორი გარემოება, რანაირად შეიძლება ერთი და იმავე დროს ემხრობოდე წერეთლის ჯგუფს და კერესელიძესას, ეს რაღაც გაუგებრობაა თუ მოფიქრებული ტაქტიკა – გაამაგრო ყველა ფრთა, ვინც კი ჩვენ გვებრძვის. ამის პასუხს მოველი.

ამ წერილსა და შეკითხვას არ მოგწერდი, რომ არ იყო ჩემი წარმომადგენელი ბერლინში. ხოლო მთავრობის წარმომადგენელს არავითარი უფლება არა აქვს ამაგროს ის ხალხი, ვინც ანგრევს მთავრობის მუშაობას, მთელ პოლიტიკურ ბაზას – ერთი მხრით სოც. დემოკრატიულ გენერალურ დაწესებულებად[თ], მათ ავტორიტეტს, მათ პოლიტიკურ და პარტიულ ხაზს, მეორე მხრით მთელ გაერთიანებულ ფრონტს, მასში შემავალ პარტიებს და ორგანიზაციებს. ასეთი პირის ნდობა მე ვერ მექნება და ვერც მივანდობ ჩემ წარმომადგენლობას. რასაკვირველია, მე სრულებით არ ვარ წინააღმდეგი თითეული პირის აზრისა და მოქმედების თავისუფლების, ეს მისი სვინიდისის საქმეა. მაგრამ როცა მისი სვინდისი ვერ ეტევა მისი თანამდებობის ჩარჩოში, ვალდებულია ეს განაცხადოს და თანამდებობა დასტოვოს.

აი, ამ ორ საკითხზე მოველი განცხადებასა და პასუხს.

სალამი და კარგათ ყოფნა

ნ. ჟორდანია. []

ჟორდანიას ამ წერილმა, ბუნებრივია, აღაშფოთა გერმანიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, განსაკუთრებით სიტყვა „ფაშისტმა“, რომელიც გიორგი კერესელიძეს მიემართებოდა. აქვე, საჭიროდ ვთვლი, მკითხველს კერესელიძეების მოკლე ბიოგრაფია შევახსენო.

ძმები – ლეო და გიორგი კერესელიძეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, ახალგაზრდობიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მათი ერთი ძმა – იასონი 1923 წლის მაისში სხვა სამხედროებთან ერთად ბოლშევიკებმა დახვრიტეს. ლეო მათეს ძე კერესელიძე (1885-1944) იყო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი. საქართველოდან წასვლის შემდეგ ლეო კერესელიძე ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჩამოაყალიბა მემარჯვენე-ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ (1924), რომლის მთავარი მდივანი თვითონვე იყო.

გიორგი კერესელიძე – (1885-1960) – რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ იმპერიის მთავრობამ დააპატიმრა დუშეთის საქმის მონაწილე სოციალ–ფედერალისტებთან ერთად. ძმებ კერესელიძეებს ედავებოდნენ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციას. დაპატიმრებულების ადვოკატებმა კონსულტაცია სთხოვეს საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტს, ბელგიელ მეცნიერ ერნესტ ნისს. მან განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოში 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა, ამიტომ ქვეყნის უკანონო დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული ქართველთა ყველა ქმედება, პოლიტიკური აქტია და არა სისხლის სამართლის დანაშაული. სასამართლომ ძმები კერესელიძეები

გაამართლა. გიორგი ქიმიას სწავლობდა, მაგრამ ოჯახზე ზრუნვამ შეუშალა ხელი სწავლის დამთავრებაში. იყო 1910 წ. ჟენევაში პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებული „ქართველ სეპარატისთა პარტიის უცხოეთში მოქმედი ჯგუფი“-ს წევრი (შემდეგ გადაერქვა სახელი და „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, ანუ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ეწოდა). I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯგუფმა ბერლინში გადაინაცვლა გერმანიის პოლიტიკურ წრეებთან კავშირის დასამყარებლად. გიორგი კერესელიძე აქტიურად ჩაერთო კომიტეტის საქმიანობაში. იგი მთელი ომის განმავლობაში მუშაობდა ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში. ზრუნავდა ქართველ ტყვეებზე. ამავე დროს, იყო დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ბერლინში გამომავალი ტყვეებისთვის განკუთვნილი გაზეთისა „თავისუფალი საქართველო“. გიორგი დამოუკიდებლობის წლებში საქართველოში არ ჩამოსულა. 1918-1919 წლებში იგი თანამშრომლობდა საქართველოს საელჩოსთან ბერლინში. გიორგი კერესელიძის პუბლიკაციები მრავლად გვხვდება ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე. ასეთ ადამიანთან მჭიდრო ურთიერთობას ედავებოდნენ ახმეტელს, რომელიც ბერლინში საქართველოს პირველი ელჩი იყო და, რა თქმა უნდა, კერესელიძეებთან თანამშრომლობდა.

ცნობილია, რატომ იყო ეროვნულ-დემოკრატებისადმი უკიდურესად განწყობილი ჟორდანია. 1. ეს პარტია მისი პარტიისა და მთავრობის რადიკალური ოპოზიცია იყო; 2. ეროვნულ-დემოკრატები მეგობრობდნენ იტალიის ფაშისტური პარტიის დამაარსებელ მუსოლინისთან, ხოლო მუსოლინის მთელი ქმედება (1922-1925 წლებში) მიუღებელი იყო მემარცხენე ჟორდანიასთვის; 3. ეროვნულ-დემოკრატი გიორგი მაჩაბლის ნათესავი – მარინა მაჩაბელი, ცოლად ჰყავდა იტალიის ყოფილ ელჩს თბილისში – ფრანზონის, რომელიც მუდამ აკრიტიკებდა ჟორდანიას ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნოე ჟორდანიასთვის „უმნიშვნელო წვრილმანი“ არ უნდა ყოფილიყო.

წერილს ადრესატმა იმავდროულად უპასუხა, დაიცვა მისი პრინციპული მოსაზრებები, ამასთან, არ მორიდებია მთავრობის მეთაურის შეხედულებებზე საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას. ახმეტელმა ურჩია ჟორდანიას, მისი პასუხი ევგენი გეგეჭკორისა და სხვა პირებისთვისაც წაეკითხა, რათა ყველას გაეგო მათი დავის არსი.

ახმეტელაშვილს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის საფუძვლად მიაჩნდა „ერთობა“, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია. მისი აზრით, პოლიტიკურ ლიდერს მისი ხალხი არ უნდა დაეხარისხებინა და ყველას მიმართ მიუკერძოებელი უნდა დარჩენილიყო. ისედაც დაპირისპირებულ ჯგუფებში კიდევ უფრო დიდი გაუგებრობა არ უნდა შეექმნა. „პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში, საჭიროა ზნეობის, მორალის დაცვა და სრული წრფელობის გამოჩენა“ – წერდა იგი. გამოცდილ დიპლომატს, საუკეთესო ტრადიციების მქონე ქართულ ოჯახში აღზრდილ ახმეტელს, ვერ გაეგო – რატომ არ უნდა ჩაერთო საერთო საქმეში ისეთი ნიჭისა და უნარების მქონე სამშობლოს უერთგულესი ადამიანებიი, როგორებიც ძმები კერესელიძეები იყვნენ. ის რომ კერესელიძეები საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციას, – ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდნენ, მისთვის არ ყოფილა გადამწყვეტი არგუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევ-

რი იყო, მას, როგორც მისი წერილიდან ჩანს, არასდროს დაუყვია თანამებრძოლები პარტიული ნიშნით.

თუ რა განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ერთი პარტიის ლიდერებს, რა ღრმა პოლიტიკური კრიზისი იყო ქართულ ემიგრაციაში, კარგად ჩანს ახმეტელის ჟორდანიასთან გაგზავნილი საკმაოდ ვრცელი წერილით.

ამ მიმოწერის შემდეგ, ჟორდანიამ ბერლინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ხელფასი შეუწყვიტა, რამაც, რასაკვირველია, კიდევ მეტად დაძაბა მათი ურთიერთობა. ამ დაძაბულობის შენელებაში აკაკი ჩხენკელის ჩართვას შეეცადა მისი ძმა – კიტა ჩხენკელი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ძმას ბერლინში არსებული ვითარება. როგორც წერილებიდან ჩანს, კიტა ჩხენკელი ახმეტელაშვილს უჭერდა მხარს, მის სიმართლეში იყო დარწმუნებული, რადგან უფრო ახლოს და დიდი ხანი იცნობდა ამ ადამიანს.

კიტა ჩხენკელის პირველ წერილში, განხილულია გერმანიის ქართულ ემიგრაციაში შექმნილი მდგომარეობა. ლაპარაკია იმ კრებაზე, რომელიც „შვარცმა" (ვლადიმერ ახმეტელაშვილის ფსევდონიმი) მოიწვია, კიტა ამცნობს ძმას შვარცის მიერ კრებაზე გაკეთებული მოხსენების შინაარსს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წერილის ავტორიც და ადრესატიც ფრთხილობენ და შეფარულად მსჯელობენ, კიტა ძმის მდგომარეობასაც უფრთხილდება, რომელიც ასევე ახმეტელაშვილის მხარეზე უნდა ყოფილიყო (თუ გავითვალისწინებთ აკაკი ჩხენკელის მთელ ადრინდელ გულისწყრომას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ამგვარ მიდგომებზე (ავალიშვილის, ნიკოლაძის და სხვათა მიმართ).

წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიის ემიგრაციის კრებას დასწრებია 34 დელეგატი (ყველა მამაკაცი), ყრილობის თავმჯდომარე ყოფილა შალვა ქიქოძე, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი. მთავარ საკითხად მომხსენებელს – გამოუტანია ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებისა და მომავალში გასატარებელი პოლიტიკის თემა. მოხსენება იყო კრიტიკული და უარყოფითად ახასიათებდა ყოფილი ლეგაციის მუშაობას, მის როლს ემიგრაციული ძალების გაერთიანების საქმეში.

„ჩვენი გადმოხვეწილი მთავრობის, როგორც ერთი უმაღლესი ორგანოს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროიდან, მიზანი და თანაც მოვალეობა იყო ამ ეროვნული ემიგრაცირისათვის თავი მოეყარა, ის ამ მთავარი იდეის გარშემო შეეკავშირებია და აემოქმედებია. და კიდევ, რაც მთავარია, ჩვენს მთავრობას უნდა გაემაგრებია სულით და სიმხნევით ემიგრაციის მთლიანობა".

ახმეტელისა და კიტა ჩხენკელის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი 1933 წლის ზაფხულშია დაწერილი. ამ დროს საქართველოს ლეგაცია საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა, რაც მეტ თავისუფლებას აძლევდა ემიგრაციის უკმაყოფილო წევრებს – ჩამოეშორებინათ ჟორდანია ეროვნული საქმეებისათვის, დაეწყოთ ბრძოლა ემიგრაციის გაერთიანებისათვის და სააამისოდ შეექმნათ „ნაციონალური კომიტეტი". ამ კომიტეტის შექმნა, როგორც კიტა ჩხენკელის წერილიდან ჩანს, ახმეტელის ფუნქციის გასაძლიერებლადაც მოხდა. გერმანიის ახალ პოლიტიკურ წრეებთან ის კარგად ნახულობდა საერთო ენას, ამიტომ საჭირო იყო ეს ახალი ორგანიზაცია მას გვერდით დადგომოდა.

წერილიდან, რომელსაც კიტა ძმას – აკაკი ჩხენკელს წერდა, ჩანს, გერმანიის ქართულ ემიგრაციაში მთავრობის ყოფილი წევრებისადმი, კერძოდ კი მისი მეთაურისადმი, როგორი უნდობლობა და მტრული განწყობილება იყო. წერილის ავტორი კონსპირაციას კვლავ

იცავდა, ახმეტელს, ამჯერად, „კახელის“ სახელით მოიხსენიებდა და აზუსტებდა, რომ ის ბერლინიდან მასთან, ჰამბურგში იმყოფებოდა. კიტა ჩხენკელი და ახმეტელიც თვლიდნენ, რომ გერმანიაში შეცვლილი პოლიტიკური ვითარება შეიძლებოდა ქართველებს სათანადოდ გამოეყენებინათ. ახმეტელი საამისოდ აკაკი ჩხენკელისგან თანადგომას ითხოვდა. „მდგომარეობა ძალზე შეიცვალა, ამ ქვეყანას ეძლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულ საქმისათვის. საჭიროა ამ პოლიტიკურ კონსტალაციის გამოყენება, საჭიროა საქმის ხელმძღვანელობა და პატრონობა, თანაც საჭიროა მტკიცე კავშირი, ერთმანეთთან შეთანხმებული მუშაობა.

და აი, „კახელს“ მიაჩნია უცილობელ საჭიროებად, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი იქონიოს შენთან, როგორც კოლეგასთან. ის მოწადინებულია თავის მოქმედების სრული ინფორმაცია მოგაწოდოს“, – ვკითხულობთ წერილში.

„რაც შეგეხება შენ, წერდა კიტა ჩხენკელი აკაკის, – შენი პიროვნება და ოფიციალური მდგომარეობა აქაურ ემიგრაციისათვის მისაღები და ავტორიტეტულია. ამასთან ერთათ თვით აქაურ ოფიციალურ და პოლიტიკურ წრეებშიდაც თამამათ შეიძლება გახსენება შენი პიროვნების და ეს თუ სარგებლობას არა, ზიანს არავითარ შემთხვევაში არ მოუტანს ჩვენს საქმეს“.

ზემოთ მოტანილ წერილში ჩანს, რომ გერმანელები ამ დროს ქართველებს აფასებენ ანტირუსული პოზიციის გამო, ზოგადად მოკავშირეებად თვლიან, ოღონდ არ მოსწონთ, რომ ყოფილი მთავრობის მეთაურებს კავშირები აქვთ (თუ წარსულში ჰქონდათ) „პ-სთან და ინ-სთან“. ვინ იგულისხმება ამ ინიციალებში, არ ჩანს, მაგრამ გერმანიის ახალი მთავრობა რომ ქართველების ამ პოზიციას მიუღებლად თვლიდა, ეს ცხადია.

შესწავლილი მასალები, სამწუხაროდ, ცხადყოფს, მოვლენათა მონაწილე ქართველების დაპირისპირებას, ურთიერთ ქიშპობასა და სიძულვილს, რაც ყოველთვის აზიანებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჩანს, რომ ყველგან და ყოველთვის აკაკი ჩხენკელი ჩატეხილი ხიდების აღმდგენად, გათიშული ბანაკების შემაერთებლად მიაჩნდათ, მასთან ყველა სოციალური წოდებისა და პარტიული კუთვნილების ადამიანი ნახულობდა საერთო ენას, მისთვის მთავარი ღირებულებები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ევროპული გზის გაჭრა, ეროვნული იდეის გარშემო ქართველი ერის კონსოლიდაცია იყო. ამ ნიშნით აკაკი ჩხენკელი თავის დიდ ნიჭთან და ღვაწლთან ერთად ქართულ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს.

**დასახელებული წყაროები და ლიტერატურა:**


**ანი (ნოე ჟორდანია), 1908**, –ანი (ნოე ჟორდანია). „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი", ელექტრომბეჭდავი კილაძისა, ქუთაისი, 1908.

**ანჩინი (აკაკი ჩხენკელი), 1915**, – „ ერი და ჩვენ", ქუთაისი, 1915.

**გამახარია 2005: 495**, – ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, (I ს. – 1921), თბილისი, 2005;

**დარჩიაშვილი 2001:324**, – ვლადიმერ დარჩიაშვილი. რჩეული. პუბლიცისტიკა, თეორიული კვლევები, ესეები, პირადი წერილები, გამომცემლობა „ლამპარი", თბილისი, 2001.

**ჟორდანია 1912; 4-9**, – ნოე ჟორდანია. „ძველი და ახალი"!, ქუთაისი, 1912.

**რამიშვილი 1931**, – ნოე რამიშვილი. დემოკრატიული სოციალიზმი, უნივერსალი, 2013 [1931].

**საითიძე, 2002, #2, გვ.76**, –გელა საითიძე. აკაკი ჩხენკელის პირველი გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები". 2002, #2, გვ 76.

**სცსა, ფონდი –13, აღწ. 27, საქმე 2709**, საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა), ფონდი 13, აღწერა 27, , საქმე 2709, მიმოწერა ოხრანკასთან IV სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

**სცა, ფონდი – 1861, აღწერა 2, საქმე 23, ფურც. 5-8**, – საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწ.2, საქმე 23, ფ. 5-8.

სცა, ფონდი 1831, აღწ. 2, სხვადასხვა საქმეები, საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა), ფონდი 1831, აღწერა 2., საქმე 51, 88, 246, 252 და სხვ.

**ჩხენკელი, 2000: 26**, – აკაკი ჩხენკელი. „ერი თუ კაცობრიობა"(ბ. ბატონის წიგნის გამო), თბილისი, 2000. .

**ჩხენკელი 2000:17**, – აკაკი ჩხენკელი. ერი და ჩვენ, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2000

**ჭუმბურიძე 2018:17**, – დოდო ჭუმბურიძე. აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2018.

**ჯორჯაძე, 1911:246**, – არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი, წიგნი I, ტფილისი, 1911 წელი.

**ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია**

# აკაკი ჩხენკელი და აფხაზეთი – პირველი ნაბიჯები დიდ პოლიტიკაში. დოკუმენტები

XIX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან აფხაზეთში, რომელიც სოხუმის სამხედრო განყოფილებად გარდაიქმნა, სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა ჩამოყალიბდა. იგი განპირობებული იყო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებითა და რუსული მმართველობის შემოღებით (1864 წ.), სახალხო აჯანყებითა (1866 წ.) და მუჰაჯირობით (1867 წ.), მოახლობული საგლეხო რეფორმისთვის მზადებით. აღნიშნული რეალობის შესაბამის ადმინისტრაციულ ცვლილებებთან ერთად, რუსულმა ხელისუფლებამ საეკლესიო რეფორმაც განახორციელა.

წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების (1868-1869 წწ.) შემდეგ, იმპერატორის 1869 წლის 30 მაისის განკარგულებითა და უწმინდესი სინოდის იმავე წლის 6 ივნისის ბრძანებით აფხაზეთის ეპარქია სამართავად იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს (ქიქოძე) გადაეცა **(წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი.** კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ. თბ., 2007, გვ. 200-2004, 210-220, 239-245, 248-253, 256-258). შემოღებულ იქნა აფხაზეთის მთავარხუცესის (კეთილმოწესის) თანამდებობა. ამ თანამდებობაზე სამურზაყანოს მთავარხუცესი და იმავდროულად ოქუმის ხარების ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი დავით მაჭავარიანი დაინიშნა. ორივე გამონთავისუფლებული თანამდებობა კი მღვდელმა იოანე ჭიჭინაძემ დაიკავა.

ეპისკოპოს გაბრიელის 1869 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ოქუმის ხარების ეკლესიის მეორე მღვდლად თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ეკლესიის დიაკონი და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი იოანე პეტრეს ძე ჩხენკელი დაინიშნა. იოანე, ასევე მისი მეუღლე ირინე ბესარიონის ასული გიორგაძე მღვდლების ოჯახებში გაიზარდნენ და იმ დროისათვის კარგი განათლება ჰქონდათ მიღებული. 1880 წლის 4 თებერვლიდან იოანე ჩხენკელი სამურზაყანოს მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებელია. ეპისკოპოს გაბრიელის განკარგულებით, ამ თანამდებობაზე ის იმავე წლის 2 აპრილს დამტკიცდა. 1874 წლის 19 მაისს დაბა ოქუმში დამკვიდრებულ ჩხენკელების ოჯახს მესამე შვილი – აკაკი შეეძინა.

მოხსენების მიზანია ადრე სრულიად უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ისეთი ისტორიული დოკუმენტების მიმოხილვა და შემდგომში გამოქვეყნება, რომლებიც ასახავენ იოანე ჩხენკელის, მისი ოჯახის, პირველ რიგში, ახალგაზრდა აკაკის აფხაზეთში მოღვაწეობის პირველ ეტაპს. ქრონოლოგიურად იგი მოიცავს XIX – XX საუკუნეების მიჯნას, როდესაც აფხაზეთში მიმდინარეობდა ნამდვილი ბრძოლა იმპერიული ასიმილატორული პოლიტიკის, სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის წინააღმდეგ. აკაკი ჩხენკელი ამ ბრძოლისა და წინააღმდეგობის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ეს თემა, რომელიც დღემდე უაღრესად აქტუალურია, გაშუქებულია დოდო ჭუმბურიძის მონოგრაფიაში **(დოდო ჭუმბურიძე.** აკაკი ჩხენკელი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი“. თბ., 2018, გვ. 56-76**).** მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

წარმოდგენილი დოკუმენტები გვაწვდიან ინფორმაციას იოანე ჩხენკელის, მისი ოჯახის წევრების – მეუღლისა და შვილების შესახებ. ოქუმის ხარების ეკლესიის 1884 წლის უწყისიდან/ведомость (დოკ.№3) ვიგებთ, რომ იოანე ჩხენკელი 44 წლისაა, მისი მეუღლეა ირინე ბესარიონის ასული; მათ ჰყავთ ექვსი შვილი. უფროსი მიხეილი 14 წლისაა და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს; 10 წლის აკაკი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეა; შვიდი წლის ლუკა ოქუმის სკოლაში სწავლობს. 12 წლის ქალიშვილი ნეონინა სოხუ-

მის ქალთა პროგიმნაზიაში ირიცხება; ანა ხუთი წლისაა, მარიამი – ორის. მსგავს უწყისებს, ნამსახურობის ნუსხებს ეკლესიებში ყოველწლიურად ავსებდნენ და წარმოადგენენ უტყუარ და უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს.

ჩხენკელების ინტელიგენტური ოჯახი დიდ ყურადღებას აქცევდა შვილების განათლებას, რაც მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მრავალშვილიან ოჯახს კი ამის შესაძლებლობა არ გააჩნდა. ქვეყნდება 1881 წლის 18 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტი – იოანე ჩხენკელის, როგორც მრავალშვილიანი და ეკონომიკურ სიდუხჭირეში მყოფი მამის მიერ კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საქმეთა მმართველისთვის გენერალ ს. ნ. ტრუბეცკოისთვის გაგზავნილი თხოვნა (прошение) შვილების განათლების საქმეში ფინანსური დახმარების აღმოჩენის თაობაზე (დოკ.№2). თხოვნას თან ერთვის ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ხელით დაწერილი მოწმობა/свидетельство (დოკ. №1), რომელიც თავის დროზე იყო გამოქვეყნებული **(ჯემალ გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა. თბ., 2005, გვ. 495**).** მღვდელმთავარი ადასტურებდა, რომ იოანე ჩხენკელის ოჯახს, სიღარიბის გამო, არ შეუძლია შვილებს მისცეს ნორმალური განათლება. აღნიშნული მოწმობის გათვალისწინებით, ხაზინა ნამდვილად დაეხმარა ჩხენკელების ოჯახს ბავშვების სწავლების დაფინანსებაში, თუმცა ძირითადი ხარჯების გაწევა მაინც ოჯახს უხდებოდა.

ჩვენს წინაშეა ოქუმის ხარების ეკლესიის კრებულის ნამსახურობის ნუსხა (послужной список) 1888 წლისთვის (დოკ.№4). დოკუმენტის მიხედვით, იოანე 48, ხოლო ირინე (მეუღლე) 35 წლისაა. 18 წლის მიხეილი აგრძელებს სწავლას ქუთაისის კლასკურ გიმნაზიაში ხაზინის ხარჯზე; აკაკი კვლავაც სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელშია, მაგრამ მამის ხარჯზე; სამაგიეროდ 11 წლის ლუკა ხაზინის დაფინანსებით სწავლობს სოხუმის მთიელთა სკოლაში; 16 წლის ნეონინა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეა და მას მამა აფინანსებს; 8 წლის ანა დადის ოქუმის სკოლაში; მარიამი ხუთი წლისაა. ამ დროისთვის ჩხენკელებს მეშვიდე შვილიც ჰყავთ – ალექსანდრა. მისი ასაკი დოკუმენტში მითითებული არ არის, მაგრამ სავარაუდოდ ის ორი-სამი წლისაა.

საინტერესოა იგივე ნამსახურობის ნუსხა (послужной список) 1901 წლისთვის (დოკ.№5). 61 წლის იოანე ჩხენკელი უკვე არ არის სამურზაყანოს მთავარხუცესი, მაგრამ რჩება ოქუმის ხარების ეკლესიის წინამძღვრად. ნამსახურობის ნუსხის მიხედვით, მთავარხუცესის თანამდებობიდან მისი განთავისუფლება მოხდა XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შესაბამისი გადაწყვეტილების საბაბად გამოყენებულ იქნა ბრალდება იოანეს მიერ მისი სამრევლოს ერთ-ერთი წევრის ჯამა ხუფენიას მეოთხე ქორწინების დაკანონების – ჯვრისწერის შესახებ. ნამდვილი მიზეზი კი უნდა ვეძიოთ იოანე ჩხენკელისა და მისი შვილების, განსაკუთრებით აკაკის ანტისამთავრობო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, რომელმაც ხელისუფალთა ყურადღება მიიქცია. სწორედ ამიტომ 1901 წ. ნამსახურობის ნუსხაში იოანე ჩხენკელს ჩაუწერეს, რომ მწყემსებრივ მოვალეობას ის რიგიანად არ ასრულებს (დოკ. N5). დიდი ალბათობით, იგულისხმება მრევლის ზემოაღნიშნული წევრის მეოთხე ქორწინებისას დაშვებული გადაცდომა. ამის გამო იოანეს წინააღმდეგ გამოძიება ჩატარდა (დოკ. N10).

1901 წლის ნამსახურობის ნუსხაში მხოლოდ ხუთი შვილია მითითებული. 30 წლის მიხეილი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტია და არის მამის კმაყოფაზე; 26 წლის აკაკი – ადვოკატია; ლუკა ხარკოვის ვეტერინალურ ინსტიტუტში სწავლობს მამის ხარჯზე; მერვე შვილი – პეტრე ანუ კიტა – მომავალში ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი – მხოლოდ შვიდი წლისაა. 21 წლის ანა ცხოვრობს მშობლებთან. ოჯახის წევრებს შორის მითითებული არ არის სამი გათხოვილი ქალიშვილი – ნეონინა, მარიამი და ალექსანდრა. ცნობილია, რომ ნეონინა გათხოვილი იყო ვლადიმერ კანდელაკზე კულაშიდან; აბაშელი ჭანტურიას მეუღლე, სავარაუდოდ, გახდა მარიამი; ალექსანდრას შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ადრეულ ასაკში გათხოვდა. ამრიგად, იოანე და ირინე ჩხენკელებმა რვა შვილი გაზარდეს – ოთხი ვაჟი და ოთხი ქალი: მიხეილი, აკაკი, ლუკა, პეტრე (კიტა), ნეონინა, ანა, მარია, ალექსანდრა.

ოქუმის ხარების ეკლესიის „კრებულის უწყისში“ (Клировая ведомость) 1901 წლისთვის აღწერილია იოანე ჩხენკელის დიდი დამსახურება ოქუმისა და მთლიანად სამურზაყანოს წინაშე. მისი შთაგონებით სამურზაყანოში მრავალი ახალი სამრევლო და სკოლა გაიხსნა. იოანე ჩხენკელი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ახალი ქვის ეკლესიების მშენებლობას ოქუმში, ცხირში, ასევე თვალყურს ადევნებდა ტაძრების მშენებლობასა და განახლებას წარჩეში, ჩხორთოლში, მეორე ოქუმში ანუ ღუმურიშში. 1880 წელთან შედარებით, როცა იოანე სამურზაყანოს მთავარხუცესად დაინიშნა, 1901 წლისთვის სამრევლოებისა და, შესაბამისად, მღვდლების რაოდენობა 16-დან 30-მდე გაიზარდა.

იოანე ჩხენკელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთლიანად სოხუმის ეპარქიის საქმიანობაბაშიც. 1887 წლიდან ის იყო საეპარქიო სამშენებლო კომისიის, 1891 წლიდან კი ღარიბ სასულიერო პირთა საეპარქიო სამზრუნველოს წევრი; 1892 წლიდან დაინიშნა სოხუმის ეპისკოპოს აგაფოდორის (პრეობრაჟენსკი) მიერ დაფუძნებული საეპარქიო-არქეოლოგიური კომისიის წევრად, რომელსაც აფხაზეთში უძველესი ტაძრების შესწავლა და აღდგენა ევალებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბ სასულიერო პირთა სამზრუნველოს, ასევე არქეოლოგიური კომისიის წევრი და ხაზინადარი გახლდათ სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდელი ბესარიონ ხელაიაც – წმინდა აღმსარებელი ამბროსი.

განსაკუთრებულია იოანე ჩხენკელის წვლილი განათლების სფეროში. წლების განმავლობაში იყო სამურზაყანოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი. სოხუმის საეპარქიო სასწავლო საბჭოს 1896 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით (თავმჯდომარე – სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მუდმივი წევრი და მდივანი – მღვდელი ბესარიონ ხელაია), ის დაინიშნა მუხურის, წარჩესა და ჩხორთოლის საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამგედ; იმავე წელს, იმავე საბჭოს დადგენილებით, იოანე ჩხენკელი სამურზაყანოს სამაზრო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება. ოქუმის ეკლესიის ეზოში მან საკუთარი სახსრებით ააშენა საკვირაო სკოლის შენობა, რომელიც შემდგომში ადგილობრივ სკოლას გადაეცა.

ცნობილია, რომ 1907 წლიდან დაახლოებით 1916 წლამდე ოქუმის ხარების ეკლესიის წინამძღვრად სამურზაყანოში კარგად ცნობილი მღვდელი – ხარიტონ შელია მსახურობდა. 1917 წლით დათარიღებული ერთ-ერთი აქ წარმოდგენილი დოკუმენტი – ცნობები სამრევლოს, ეკლესიის, კრებულისა და სკოლების შესახებ (დოკ. №6) მოწმობს, რომ იოანე ჩხენკელი კვლავ ოქუმის ხარების ეკლესიის წინამძღვარია, ფლობს 30 დესეტინა მიწას და ა. შ. იმ დროისათვის იოანე საკმაოდ ხანდაზმულია (თითქმის 80 წლისაა), მაგრამ დოკუმენტში შეცდომით აღნიშნულია, რომ ის 63 წლისაა. აქვე გამოქვეყნებული წინა წლების ნამსახურობის ნუსხებში მითითებული ასაკის გათვალისწინებით, შეუძლებელია 63 წელი რეალობას შეესაბამებოდეს.

წარმოდგენილ საარქივო დოკუმენტებში არის ბევრი სხვა საინტერესო ინფორმაცია ოქუმზე, მის მოსახლეობაზე, ოქუმის ხარების ეკლესიის კრებულის სხვა წევრებზე. მთლიანობაში გამოქვეყნებული დოკუმენტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმ სოციალურ და კულტურულ გარემოზე, რომელიც გავლენას ახდენდა აკაკი ჩხენკელის აღზრდაზე, ეროვნულ, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწედ მის ჩამოყალიბებაზე.

ყურადღებას იმსახურებს ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების გაზეთ „კვალის“ პირველ გვერდზე 1895 წლის 16 ივლისს გამოქვეყნებული იოანე ჩხენკელის წერილი „სამურზაყანოს ვითარება“ (დოკ. №7). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პუბლიკაცია „ალ. ენგურელის“ ფსევდონიმით განხორციელდა, ხელისუფლებამ მალევე შეიტყო მისი ავტორის ნამდვილი ვინაობა. მსგავსი წერილის ავტორობა საკმარისი გახდა იოანე ჩხენკელის აფხაზეთის ე. წ. ქართული პარტიის წევრად შერაცხვისთვისა და მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისთვის. წერილი ეხება სამურზაყანოში ქართულ ენაზე სწავლების ფაქტობრივ აკძალვას. ამ თვალსაზრისით ის ეხმიანება თანამედროვეობას, გალის რაიონში დღეს არსებულ ვითარებასაც.

თავის წერილში იოანე ჩხენკელი მიმოიხილავს განათლების კუთხით სამურზაყანოში არსებულ მძიმე ვითარებას, მკაცრად აკრიტიკებს რენეგატ ქართველს, 1888 წლიდან საბერიოს

მეორე წმინდა გიორგის, 1891 წლიდან კი ღუმურიშის (მეორე ოქუმის) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელს, ოქუმის სკოლის ზედამხედველს იოანე კავჟარაძეს. 1895 წლიდან მას ეკავა სოხუმის ოლქის მასშტაბით კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების ზედამხედველის თანამდებობაც; 1898 წლიდან სამურზაყანოს მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებელი და საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველია. სარგებლობდა რა სოხუმის ოკრუგის, მთლიანად ქუთაისის გუბერნიის საერო და საეკლესიო ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერით, იოანე კავჟარაძე ატარებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელიც ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვას ითვალისწინებდა. რენეგატ მღვდელს საკუთარი მრევლი დაუპირისპირდა. 1898 წლის 26 აგვისტოს სოფელ ღუმურიშის მცხოვრებთა კრებამ მიიღო მღვდელ ი. კავჟარაძისთვის სრული ბოიკოტის გამოცხადების გადაწყვეტილება. მას აფხაზეთის ქართული საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლებიც დაუპირისპირდნენ. მათ შორის იყვნენ მამა-შვილი იოანე და აკაკი ჩხენკელები.

ქვეყნდება აკაკი ჩხენკელის მიერ 1899-1900 წლებში კიევიდან თედო სახოკიას სახელზე გამოგზავნილი, მისი ხელით დაწერილი ოთხი ძალიან საინტერესო წერილი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წერილების ავტორი და ადრესატი XIX საუკუნის 90-იან წლებში ერთად ებრძოდნენ აფხაზეთის რუსიფიკაციის, ქართველთა დისკრიმინაციის რუსულ იმპერიულ პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, მათ ჰქონდათ უაღრესად თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, რაც წერილებიდანაც კარგად ჩანს.

პირველი წერილი 1899 წლის 21 ნოემბერს არის გამოგზავნილი (დოკ. №8) და წარმოადგენს პასუხს თედო სახოკიასაგან კიევში მიღებულ წერილზე. იგი თავიდან ბოლომდე ეხება ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად პირადად აკაკის მიერ მღვდელ ი. კავჟარაძის წინააღმდეგ მიღებულ და კიდევ გასატარებელ ზომებს. ავტორი სთხოვს თედო სახოკიას ოქუმში ჩასვლას, საქმის ვითარების ადგილზე გაცნობას. წერს, რომ „ეს საქმე ძლიერ დიდი მასალას იძლევა გაზეთისთვის“. წერილი მთავრდება სიტყვებით: „ნუ დაგავიწყდება, კავჟარაძე ერთად-ერთი მტერია ყოველი კარგი საქმისა სოხუმის ეპარხიაში. გინება მას არ უშველის, უნდა განძევებულ იქნას“. იქვე აკაკი ჩხენკელი აღნიშნავს: „ამბობენ, ლეონიდი ეხმარებაო იმ საძაგელს. საჭიროა მოლაპარაკება მასთან“.

დიდი ალბათობით, საუბარი უნდა იყოს ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძეზე. თუ ეს ვერსია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ადვილი მისახვედრია, მოგვიანებით როგორ აღმოჩნდა იოანე კავჟარაძე ავტოკეფალია გამოცხადებული ქართული ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს კანცელარიის გამგის მოადგილის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე იგი კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) გარდაცვალების შემდეგაც დარჩა და კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით წინასწარ პატიმრობაშიც კი იმყოფებოდა.

საკმაოდ ვრცელ მეორე წერილში, რომელიც 1900 წლის 29 იანვრით არის დათარიღებული (დოკ. №9), გაშუქებულია ი. კავჟარაძის წინააღმდეგ ოქუმის საზოგადოების მიერ შედგენილი და მაღალ ინსტანციებში გაგზავნილი საჩივრების შინაარსი, აღწერილია რენეგატი მღვდლის მიერ სამრევლოში ჩადენილი ბოროტმოქმედებები; დასახელებულია ამ ბოროტმოქმედებათა გამო დაზარალებული და მომჩივანი პირების სახელები და გვარები. დასასრულს, აკაკი ჩხენკელი წერს: „მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ჩემი სამუდამოდ ჩამოსვლამდის არ გაანთავისუფლო კავჟარაძე საჩივრებისაგან და მერმე მე ვიმოქმედებ“.

1900 წლის 10 მარტს აკაკი ჩხენკელი საპასუხო, რიგით მესამე წერილს უგზავნის თედო სახოკიას (დოკ. №10), დიდ მადლობას მოახსენებს მას წერილში მოთხრობილი საინტერესო ამბებისთვის. ეს ამბები, როგორ ჩანს, ისევ და ისევ იოანე კავჟარაძეს ეხებოდა. აკაკი ჩხენკელი წერს: „ოქუმიდან მთხოულობენ სინოდის სახელზედ ვრცელი საჩივარი დაგვიწერეო. მეც შევუდექი თხოვნის დაწერას, მაგრამ როდესაც შევიტყვე გამომძიებლის გამგზავრება, შევჩერდი. საჭიროა უკანასკნელი გამოძიების შედეგიც მოხსენებული იქნას თხოვნაში“. ამასთან დაკავშირებით აკაკი ჩხენკელი სთხოვს თედო სახოკიას დაწვრილებით შეატყობინოს დაწყებული გამოძიების შედეგები.

| | В 1880 г. февраля 4 назначен исправляющим должности благочиннаго Самурзаканских церквей. В том же году марта 1 утвержден в должности благочиннаго. В 1880 г. преля 2 за отличную и полезную службу все милостивеише награжден камелавкой, за все время прохождения благочиннической деятельности неустанным пастырским наставлением между прочим привлек с помощию местных священников жителей некоторых приходов выстроить на свои средства приличныя деревяния церкви; во втором же Окуме – каменную церковь; кроме того, последней пожертвована им Храмовыя икона, стоющая 125 рублей, Цхирской – также икону Храмовую, стоющую 10 рублей, второй Чубурисхинджский – также Храмовая икона, стоящая 18 руб.; и приобретен Иконостас; также ревностно старался и по открытию церковно-приходских школ, вследствие чего назначен заведивающим этими школами; также в виду разбросанности жительства прихожан Самурзаканских и отдаленности от них штатных церквей, вследствие чего лишены богослужения и требоиспольнения со стороны священников, – успел расположить жителей некоторых поселков к открытию новых приходов с построикою приличных храмов, приобретением Иконостасов так, что таковым старанием его число бывших штатов в 1880 г. в количестве 16, дошло в 1892 г., – когда Самурзаканское благочиние разделилось на благочинического округа, до 30 с лишком штатов. В 1885 г. марта 24 за отлично усердно и примерную службу преподано ему благословение Святейшаго Синода. В 1887 г. назначен Членом Строительской Комиссий Сухумской Епархий. В 1889 г. апреля 1 за отлично-усердную службу и ревностное отправление возложенных на него обязанностей Всемилостивейше награжден наперсным крестом. В 1891 г. июля 28 по журнальному постановлению Сухумскаго Епархиальнаго Попечительства о бедных духовнаго звания, утвержденному Преосвященнейшим Агафодором (14) епископом Сухумским, назначен сотрудником названнаго попечительства. В 1892 году октября назначен членом сотрудником Сухумской Епархиальной Церковно – Археологической Комиссий. | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1893 г. 24 годом (так в тексте – Дж. Г.) по учащенному пастырскому внушению и наставлению совместно с сими священниками расположил прихожан Окумской Благовещенской, Чхортольской, Царчинской, Цхирской и Речхинской церкви в постройке приличных каменных церквей, последней же деревяннай, и прихожан II Окумской Крестительской церкви к фундаментальному ремонту имеющейся уже у ных каменной церкви. В1888 г. по общественному приговору, утвержденному Преосвященнейшим Агафодором, епископом Сухумским, был назначен председателем по постройке каменной церкви в местечке Окуме, а в 1889 г. назначен по распоряжению Преосвященнейшаго Петра (15) епископа Сухумскаго таковым же председателем по постройке каменной церкви в сел. Цхири. В 1896 г. марта 10, по распоряжению Сухумскаго Епархиальнаго Совета, назначен заведывающим Мухурской, Чхортольской и Царчинской церковно-приходской школами; в том же году, по журнальному постонавлению названнаго выше Совета, утвержденному Его Преосвященством, назначен председателем открытаго ея в местечке Окуме уезднаго отделения училищнаго Совета.19 сентября 1897 года пожалована ему Высочайше учрежденная за труды по первой всеобщей переписи населения в 1897 г. – темно-бронзовая медаль для ношения на груди на ленте Государственных цветов, с выдачею ему свидетельства от министра внутренних дел. 1898 года назначен вторычно заведующим Мухурской и Царчинской и Чхортольской школами. Из материалов, разобранной старой деревянной церкви, выстроен с разрешения епископа в ограде церкви дом под воскресную школу на свой счет, на что издержано им семьдесят рублей (70 руб.). Дом этот потом по распоряжению архиерея уступлен местной школе и перенесен туда (свящ И. Чхенкели). Ставленную Священническую грамоту имеет. | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | От роду ему | 61 | | | | | |
| | В семействе жена – Ирина Виссарионовна | 48 | | | | | |
| | Дети – сыновья:<br>1. Михаил учится в Юрьевском (Киевском) университете на счет отца | 30 | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2. Акакий – частный поверенный по всем судебным установлениям. | 26 | | | | | |
| | 3. Лука – учится в Харковском Ветеринарном Институте на счет отца. От роду: | 23 | | | | | |
| | 4. Петр находится при родителях<br>5. Анна „---„ | 7<br>21 | | | | | |
| | Псаломщик того же прихода Самсон Николаев Маджганадзе (15ა) происходит из духовнаго звания сын священника Николая Маджганадзе; обучался в Мингрельском Духовном Училище; определен псаломщиком Агафодором епископом Сухумским 1892 года со 2 февраля в Черноморском округе посади Сочи к Пластунской приход. В 1893 г. 14 марта перемещен, по его личной просьбе, в Абхазии в Моквинской Успенской церкви Его Преосвященным Петром епископом Сухумским. В 1895 г. июля 12 перемещен по его личной просьбе в Самурзаканский 1-ой Отобаевской приход Его Преосвященным Арсений (16) епископом Сухумским. В 1898 г. 14 марта перемещен по его личной просьбе в Эшкето-Акваскинской приход тем же епископом Сухумским Арсением. В 1899 г. 18 марта перемещен псаломщиком к I Окумской Благовещенской церкви тем же епископом Арсением. Пожалована ему Высочайше учрежденная за труды по первой всеобщей переписи населения 1897 года темно-бронзовая медаль для ношения на груди на ленте Государственных цветов, с выдачею ему свидетельства от Министра внутренних дел 1898 года. | | Чтение, пение и устав церковный знает хорошо, свои обязанности исполняет прилично. | Очень хорошаго | Ни в каком родстве | Не имеется недвижимого имения у самаго. | Не был. |
| | От роду ему | 30 | | | | | |
| | В семействе жена его Елизавета Иесевна | 29 | | | | | |
| | Благочинный V Сухумскаго благочиннического округа священник Самисон Сванидзе | | | | | | |

ЦИА, ф.489, оп. 1, д. 63611, лл. 47-54.

კომენტარები:

(12)სამსონ სვანიძე – გალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი 1894 წლიდან და მეხუთე საეკლესიო ოლქის მთავარხუცესი 1917 წლის ბოლომდე; მხარს უჭერდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას; 1917 წლის სექტემბერში მონაწილეობდა პირველი საეკლესიო ყრილობის მუშაობაში. 1917 წლის 12 დეკემბერს თავმჯდომარეობდა სამურზაყანოს სამრევლოების კრებას, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ეპარქიის საკითხის გადაწყვეტამდე სოხუმის ეპისკოპოს სერგისთან (პეტროვი) კავშირის გაწყვეტისა და დროებით ჭყონდიდის ეპარქიის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ; ყრილობამ გააუქმა ძველი სამთავარსახუცესოები და შექმნა სამი საოლქო საბჭო. გალის საოლქო საბჭოს, რომლის შემადგენლობაში 16 სამრევლო შედიოდა, სამსონ სვანიძე ხელმძღვანელობდა. მისი შვილი – ბოლშევიკი ნიკოლოზ სვანიძე აფხაზეთში საქართველოს

დემოკრატიულ რესპუბლიკას ებრძოდა; ნ. სვანიძის შვილიშვილია თანამედროვე რუსი ჟურნალისტი ნიკოლოზ სვანიძე.

(13)ქცევა – მიწის ფართის საზომი ერთეული დასავლეთ საქართველოში; ერთი ქცევა უდრიდა დაახლოებით 3600 კვადრატულ მეტრს.

(14)აგაფოდორი (პრეობრაჟენსკი) – სოხუმის ეპისკოპოსი 1891-1893 წწ.

(15)პეტრე (დრუგოვი) – სოხუმის ეპისკოპოსი 1893-1895 წწ.

(15ა) შემდგომში სამსონ მაჯგანაძე ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლად მსახურობდა.

(16)არსენი (იზოტოვი) – სოხუმის ეპისკოპოსი 1895 – 1905 წწ.

---------------------------------------------------

## დოკუმენტი №6.

**1917 год. Приход** I Окумский, Сухумской Епархии Кутаисской губернии Сухумского округа благочинического V округа; штатная приходская церковь во имя Благовещения; приписных церквей нет (число их), в разстоянии от Тифлиса 363 верст, от благочиннаго – 15 верст.

I. Сведения о приходе.

| 1. | 2. | 3. | 4. | 5. | 6. | 7. | 8. | 9. | 10. | 11. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Селения, входящия в состав прихода, с обозначением в них приписных церквей. | Разстояние. | | НАСЕЛЕНИЕ. | | | | | | | Замечания. |
| | От штатной церкви. | От ближайшей штатной церкви. | Число домов православных жителей. | Мужск. пола. | Женск. пола. | Обоих полов. | Число крещений в год. | Число браков. | Число погребений | |
| Селение I Окум (приписных церквей нет) | 1-4 в. | 3 в. | (39342) 327 | 820 | 752 | 1572 | 37. | 17. | 22. | |

II. Сведения о церквах прихода.

| 12. | 13. | 14. | 15. | 16. | 17. | 18. | 19. | 20. | 21. | 22. | 23. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Перечень церквей, входящих в состав прихода, время простроения каждой (год или столетие) и в честь кого посвящена. | Каменная или деревянная. | Вместимость в квадр. аршинах | Прочна и годна ли зданием. | Достаточна ли ризницею и утварью. | Капитал церкви | Сколько в год продается свечей. | Сумма кошельковаго сбора. | Другие источники поступлений (сумма) | Общая сумма церк. доходов в год. | Сумма обложения на Епархиальныя нужды | Замечания. |
| I Окумская церковь построена 1896 году в честь Благовещения Пресвятой Богородицы. | Каменная | 360. | Прочна и годна | Бедна | 172 руб. 50 коп. | 2 ½ пуда | 14 руб. 75 коп. | Не было | 87 руб. 31 коп. | --- | |

## III. Сведения о причте.

| 24. | 25. | 26. | 27. | 28. | 29. | 30. | 31. | 32. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Имена и фамилии членов причта и церковных старост, их происхождение, образование и семейное положение, и какия кто занимает особыя должности. | Лета от роду. | Сколько лет в духовн. службе | Сколько лет на последней должности. | Кто и какое имеет недвиж. имущество | Последняя награда и в каком году дана | Как отмечен по поведению. | Отметка о судимости. | Замечания. |
| Священник Иоанн Петров Чхенкели происходит из духовнаго звания, Студент Тифлисской Духов. Семинарии, семейный. | 63 | 35 | 33 | 30 десятин земли | Наперстный крест выдаваемый из Епархии | Весьма хорошо | Под судом был | |
| Псаломщик Самсон Николаев Маджганадзе, происходит из духовнаго звания, из 4-х класного духов. училища, семейный | 31. | 10. | 10. | Никакое | Нет | Очень хорошаго. | Не был. | |
| Крестьянин Кваблух Климент Сагесов Микава, не грамотен. | 60. | 1. | 1. | Дом и пахотные землю | -- | Очень хорошаго | Не был. | |

## IV. Материальное обезпечение причта.

| 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Какой штатный состав причта. | Причтовые дома церковн. или обществ.); число их. | Кто из причта ими пользуется. | Земля причтовая; сколько десятин. | Капиталы причта. | Сумма казеннаго жалован. на весь причт | Средняя сумма за требоисправления в год на причт. | Руга (драма) в переводе на деньги (в год). | Другие источники содержания причта [в рублях, в год]. | Общая сумма годоваго содерж. всего причта [по ст. 37-41. | Сколько получит священник в год? | Сколько получит псаломщик. | Замечания. |
| Священник и псаломщик | Причтовые дома общественные их два | Священник и псаломщик | 25 д. | -- | 700 р. от Совета Общ. Возст. Пр. Хр. на Кавказе | 20 руб. | Ничего | Других источников содержания у причт нет. | 720 руб. | 615 руб. | 105 руб. | |

## V. Благотворительная и просветительная деятельность в приходе.

| 46 | | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Попечительство:<br>Председатель<br>Число членов<br>Недвижимыя имения<br>Капиталы<br>Годовой доход<br>Годовой расход<br>В том числе<br>На церковь:<br>На хор:<br>На школу:<br>На благотвор. нужды: | Попечительств нет в приходе | Имеется ли церк. хор | Сколько сказано поучений в год. | Сколько было в год воскресных вечерних бесед | Есть ли народная библиотека. | Есть ли народная читальня. | Продаются ли народу при церкви книги для чтения? На какую сумму продано в год. | Другия благотворит. и просветит. Учреждения при церкви. | Замечания:<br>Что нужно сделать в приходе для поднятия благотворит. и просветительной деятельности?<br>Нужно устроить дорогу; учредить попечительство и ввести религиозно-нравственные чтения – воскресныя. |
| | | Нет | Писанных поучений не произносилось | Не было | Нет | Нет | Нет | Нет | |

## VI. Сведения о школах.

| 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Список школ в приходе с обозначением министст. или церковн., грамоты, однокл., и проч. мужск, женск. или смешанныя. | Год учреждения школы | Число учащихся | Распределение их по вероисповеданиям | Кто состоит учителем, его образование. | Имеется ли собств. здание у церковн. школы. | Есть ли церковно-школьный хор. | Сколько на церковн. школу дается от казны в год. | Сколько на церковн. школу собирается местных средств | Сколько на нее отпускает в год церковь. | Нуждается ли церк. школа в преобразовании? |
| В приходе одна двухклассная школа Общества Возстановления Православнаго Христианства на Кавказе<br><br>1.Церковно приходская одноклассная, мужская<br>2. Министерская двухклассная мужская<br>3.Министерская одноклассная мужская<br>4. (сведений о двух последних школах не имеется) | 1880. | 53. | Православные | 1. Кн. Виссарион Кациев Эмухвари, окончил курс в Учит. Семинарии<br>2. Харитон Пахуриев Шелия, окончил курс в городском училище. | Имеет | Есть | Ничего. Содержится на средства Общ. В. П. Хр. на К.(17) | Ничего | Ничего | Нет. |

66. **Замечания.** Где нужно еще открыть церковныя школы? ---

67. карта прихода.

Каждая клеточка равна версте; в местностях, где мало правосл. приходов, клетку можно принимать за 5, 10, 25, 50 верст, что и следует оговорить

Знаки: ☐ = штатная церк., = приписн. церкв., † = часовня; (*) = ближайшия селения (поименовать);

**на карту нанести и ближайш. штатн. приходск. церкви**; м. шк. = школа министерская; ц-шк. = школа церковная.




68. **Замечания**.

Почтовый адрес Чрез Очемчири в Окум.

ЦИА, ф.489, оп. 1, д. 64645, лл. 23-24об.

კომენტარი:

(17)კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება (Общество Восстановления Православного Христианства на Кавказе)

------------------------------------------

**დოკუმენტი №7. სამურზაყანოს ვითარება**

მიუხედავად ბუნების აუარებელი სიმდიდრისა, დღეს სამურძაყანო სიღარიბე-სიღატაკეშია ჩავარდნილი. სამურძაყანოში არ მოიპოვება არც ერთი მისთანა შკოლა, რომ ცოტათი მაინც ასრულებდეს თავის დანიშნულებას. მართალია შკოლები, განსაკუთრებით სამრევლო, ბლომათ არის ჩვენში, მაგრამ განა ამათ შეიძლება შკოლები დაერქვას? შკოლები არის შემდეგ სოფლებში: 1) ილორში, რომელშიაც სწავლობს 8 შეგირდი; 2) გუდავაში – 10; 3) ბარღეფში – 5; 4) ხუმუშქურში – 15; 5) ჭუბურხინჯში – 13; 6) საბერიოში არის ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების შკოლა, რომელშიდაც სწავლობენ 50-მდის ყმაწვილები; 7) დიხაზურგაში ამნაირივე 40 შეგირდია; 8) ოქუმში – 86; 9) მიერხის(18) სამრევლო სკოლაში არიან 11 მოწაფე; 10) მუხურში – 24; 11) წარჩეში – 27; 12) ბედიაში – 8 და 13) ფახულანში – 20-მდის. გარდა ამისა, წარსული წლის დამლევს, როცა დეკანოზი მაჭავარიანი(19) სარევიზიოთ დაბრძანდებოდა სამურძაყანოში, აღუთქვეს სამრევლო შკოლის გახსნა შემდეგ სოფლებში: თამაკონში, პირველ ჭუბურხინჯში, ცხირში, გალში, შეშელეთში, ოტობაიაში, ჩხორთოლში, რეფში, მეორე ბედიაში და სხ. და სხ. „ყოჩაღ სამურძაყანოელებოეო“ – იტყვის მკითხველი – კარგათ ყოფილა თქვენი საქმე, ამ დროებით თქვენ გქონიათ 13 შკოლა, საცა სწავლობს სამასზე მეტი ყმაწვილი და მას რომ არ ჯერდებით, კიდევ თითქმის ყოველ სოფელში აპირებთ შკოლების გახსნასო“. მაგრამ ეს იყო მხოლოდ მაშინ, როცა დეკანოზი მაჭავარიანი დაბრძანდებოდა სარევიზიოთ. მასწავლებლებმა გაიგეს თუ არა დეკანოზის სარევიზიოთ გამომგზავრება, მაშინათვე შეუდგნენ შეგირდების მოგროვებას, მათ მოეშველენ ადგილობრივი მამასახლისნი და ძლივს, ზოგი ძალით და ზოგი მოტყუებით, შეაგროვეს ბავშვები; ასე რომ, იმედია, როცა რევიზორი წავიდოდა, ეს სიმრავლე შეგირდებისა გაქრებოდა. რაიცა შეეხება ახალ შკოლების გახსნას, ეს ხომ სულ ყინულზე შეიქნებოდა დაწერილი. აქაურ შკოლებზე რაც ერთზე ითქმის, მეორეზე, მესამეზე და მეცამეტეზედაც ის ითქმის. აი, მაგალითად, შედიხართ სამრევლო შკოლაში, რომლის ზალაში აქა-იქ მიკრუნცხულან ექვსიოდე შიშისაგან აკანკალებულნი ბავშვნი ორივე სქესისა. რევიზორი შედის ამალითურთ; შეგირდები ზეზე დგებიან და მასწავლებლის ლოტბარობით იწყებენ ლოცვით გალობას, მაგრამ ვერ ახერხებენ, ეშლებათ და იძულებულნი არიან შუაზე შეწყვიტონ. ეტყობათ, გალობის არა ესმით რა, არამც თუ შეგირდებს, არამედ მასწავლებელსაც კი. შემდეგ რევიზორი მიმართავს მასწავლებელს შემდეგი სიტყვით: აბა, რა იციან შენმა შეგირდებმა? მასწავლებელი მიუგებს – იციან მხოლოთ რუსულად წერა-კითხვა, ლოცვები, მოკლე ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, თვლა და სხ. აბა, წაიკითხე ბავშო «Отче наше» [„მამაო ჩვენო”]. ბავში დგება და კითხულობს შეუჩერებლათ, რაც ძალი და ღონე აქვს ჩქარა, უაზროთ; მისთვის არც წერტილი სუფევს, არც მძიმე, არც ნიშანი.

რევიზორი – აბა, რაც წაიკითხე, ამიხსენი შენი სიტყვით, მდაბიურათ, ჯერ რუსულათ და მერე ქართულათ;

ბავში პასუხის ნაცვლათ გაოცებული აქეთიქით იყურება, მერე გაშტერებული შეხედავს მასწავლებელს, თითქოს საყვედურით.

რევიზორი – აბა, მეგრულათ მაინც მითხარი, რას ნიშნავს «Отче наше».

ბავში არ იძლევა არავითარ პასუხს. რევიზორი ეკითხება მეორეს, მესამეს, მეოთხეს და

თითქმის ყველას, მაგრამ ყველანი უგებენ ისე, როგორც პირველი, ზეპირად და ახსნით კი არა იციან რა.

რევიზორი (მასწავლებელს). ასე მეხანიკურათ როგორ შეიძლება სწავლება? თუთიყუშურათ რომ გაიზეპიროს ბავშმა «Отче наше», ახსნით თუ არ იცის, რა გამოვიდა?!

- აბა, ჰკითხე, რა იციან ქართულათ?

- ქართულათ! გაკვირვებით ეკითხება მასწავლებელი. – ქართულათ არაფერი იციან, ბატონო.

- რევიზორი. წერა-კითხვა მაინც არ იციან?

- მასწავლებელი. არა, ბატონო! რევიზორს მწუხარების ნიშანი ეხატება სახეზე და მასწავლებელს საყვედურით ეუბნება: თქვენ არ გინდათ იშრომოთ, თვარა როგორ არ შეგეძლოთ ქართულ, მის სამშობლო ენაზე წერა-კითხვა გესწავლებიათ? უსათუოთ ასწავლეთ. როგორ იქნება ბავშმა თავის სამშობლო ენაზე წერა-კითხვა და ლოცვები არ იცოდეს?

აი, ასე უაზროთ, თუთიყუშურათ აზეპირებენ ბავშებს მათთვის გაუგებარ რუსულ სიტყვა – ფრაზებს აქაური შკოლის მასწავლებელნი, თუ კი შეიძლება ეს სახელი უწოდოთ ამ ვაჟბატონებს.

თუ არ ამას, მაშ რას უნდა მოველოდეთ სამურძაყანოის შკოლიდან, როდესაც შკოლების საქმე ჩაუგდიათ ხელში ყოვლად უვიც ვაჟბატონებს, რომელთაც არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ; მხოლოთ ოცდახუთიანების მეოხებით ხელთ უგდიათ ესრეთ წოდებული «право на учителя» („მასწავლებლობის უფლება" – ჯ. გ.) კუნჭულელ კუზიანების და მათ თანამშრომლების ფირმებში (თუ გსურთ გაიცნოთ კუზიანიძე და მისი ფირმა, იხილე წერილი კუნჭულეთიდან (20) – „ივერია" №6, 1894 წ.); თუ არ ამას, მაშ რას უნდა მოველოდეთ იმ ვაჟბატონებისაგან, რომელთა ცხოვრების მიზანს შეადგენს მსუქანი, მაღლა მხტუნავი ცხენი, სპილოს ძვლით მორთული უნაგირი, კოხტად შეკერილი ჩერქესკა, ოქრო-მკედით მოქარგული წუღა-მესტები, ოქროში დაფერილი ქამარ-ხანჯალი, ლივერი, ლეკური, იქით-აქეთ ქორწილებში, ტირილში, აღაპებში სეირნობა და მუქთა დროს ტარება. აი, მათი იდეალი, მიზანი ცხოვრებისა. არანაკლებ სამწუხარო და სავალალოა ის მოვლენა, რომ დღეს სამურძაყანოს შკოლებიდან განდევნილია, უარყოფილია ქართული ენა, მაშინ როდესაც ამ ენაზე უნდა იყოს უთავრესი ყურადღება მიქცეული საზოგადოთ სამრევლო და სასოფლო შკოლებში და მით უფრო სამეგრელო-სამურძაყანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარ ნაყოფს არ მოგვიტანს სამრევლო შკოლები.

სამურძაყანო-სამეგრელოს სამრევლო შკოლებში სწავლობენ ღარიბ-გლეხ-თავად-აზნაურთა შვილები, რომელთაც სიღარიბისა გამო ათასში ერთსაც არ შეუძლია გააგრძელოს სწავლა არამც თუ მაღალ-საშუალ სასწავლებელში, არამედ დაბალ სასწავლებელშიაც კი და ძალაუნებურათ უნდა დაკმაყოფილდეს სამრევლო შკოლებით. ამ შკოლებში რჩებიან ერთი წლიდან ოთხ-ხუთ წლამდის, რომლის განმავლობაში არამც თუ ისეთი უხეირო მასწავლებლების ხელში და ისეთი ურიგო სწავლით, როგორიც სუფევს დღეს სამურძაყანოში, არამედ რიგიან სწავლებითაც კი ვერ შეისწავლის ამ მოკლე ხანში რუსულ ენას, რომ ცხოვრებაში ცოტათი მაინც რამეში გამოადგეს. თუ ორიოდე სიტყვა-ფრაზები და უხეირო წერა-კითხვა ისწავლა ბავშმა, ისიც გამოსვლისთანავე ავიწყდება და ასე ფუჭათ, უსარგებლოთ იკარგება ხუთი წლის შრომა, ხარჯი და მასთან ამდენი ხნის განმავლობაში ერთი ხელი მუშაც აკლდება უამისოდაც გაღარიბებულ ოჯახს. სულ სხვა იქნებოდა ქართულ ენას უპირატესობას რომ აძლევდენ სამრევლო შკოლებში;

სამი-ოთხი წლის განმავლობაში გვარიან მეცადინეობასთან ბავშს შეუძლია შვენიერათ შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა-ლაპარაკი, რის მნიშვნელობა და სარგებლობა ყველასთვის ცხადია და, ვგონებ, არავითარი განმარტება არ ჭირდება.

აი, ამნაირათ შკოლების მდგომარეობამ გამოიწვია ის სიძულვილი, ზიზღი, შეხედულება, მტრობა, როგორიც სუფევს დღეს მკითხველებისადმი ჩვენს მხარეში. შკოლებისადმი სიძულვილმა ზოგიერთ სოფლებში იმ წერტილამდის მიაღწია, რომ გაბრაზებული საზოგადოება და თავის შრომით, მწარე ოფლით გუშინდელ გაშენებულ შვენიერ სახლს დღეს ცეცხლს უკიდებს და ნიავქარს აძლევს.

ზემოხსენებულ შკოლებს არ ეკუთვნის საბერიოს შკოლა და ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლები. ზემოხსენებულ შკოლაში გაცილებით უკეთ მიდის წერა-კითხვის საქმე რუსულ ენაზე. მიზეზი გახლავთ, რასაკვრველია, მასწავლებლების მხნეთ, ბეჯითათ, გულმოდგინეთ მეცადინეობა, ისინი ქართული ენის მეშვეობით ავითარებენ. საუბედუროთ, ოქუმის შკოლაზე დღეს არ ითქმის იგივე. ამ შკოლის ზედამხედველათ (наблюдатель) მამა კავჟარაძეა. ის ქართული ენის სწავლებას უკრძალავს აქაურ მასწავლებელთ, თუმცა უკანასკნელთ სულით და გულით სურთ და მზათ არიან იტვირთონ შრომა და ქართული ასწავლონ ყმაწვილებს. გვიკვირს და ვერ მივმხვდარვართ, რას ნიშნავს ასეთი საქციელი! თუ ჩვენი ყველასაგან ცნობილი აშორდიას (21) აზრს მიემხვრეთ და მის კვალს დაადექით, აშორდიასვე მიმდევარი (последователь) გახდით, ამ შემთხვევაში გვიბრძანეთ, საჭიროა გამოგვიცხადეთ მაინც, მამაო, და თუ აშორდიას შეგირდი არ ბრძანდებით, მამაო, ასე რათ დევნით ქართულ ენას სამურზაყანოში? შეიძლება ბრძანოთ: „მთავრობისაგან აკრძალული გვაქვსო“, მაგრამ ეგ ხომ ცილისწამებაა, მთავრობას თავის დღეში არ აუკრძალავს სამშობლო ენაზე სწავლება (22). ერთი, ხომ გახსოვსთ, რა სიტყვებით მოგმართათ დეკანოზმა მაჭავარიანმა. მეორეთ, ესეც რომ არ იყოს, ნეტავ რას ნიშნავს, მამაო, მთავრობისაგან ყოველ სკოლა-ეკლესიებში რუსულ-ქართულად დასტამბული ლოცვები? ნუთუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლოცვები რუსულათ და ქართულათაც ასწავლეთ შკოლებშიო. აბა რანაირათ ასწავლით ქართულ ლოცვებს, თუ წერ-კითხვა არ ასწავლეთ. გარდა ამისა, მთავრობას თავის დღეში არ აუკრძალავს ქართულის სწავლება სამურძაყანოის შკოლებში და არც იკადრებდა ამას. შეიძლება ქართული ვალდებულ ენათ არ მიაჩნდა; მაგრამ ნუთუ თქვენ და საზოგადოთ სასწავლებელნი ვალდებულნი არა ხართ წინაშე სვინდისისა და საზოგადოებისა, რომ იტვირთოთ ქართული ენის სწავლება?

ვგონებ, რომ, მამაო კავჟარაძევ, დრო არის დაუკვირდეთ, რა უნდა იყოთ და რას უნდა შვრებოდეთ?! დასასრულ არ შეგვიძლია, ერთი ორიოდე სიტყვა არ ვთქვა დაბა ოქუმის ქართულ სამკითხველოს შესახებ.

რამდენიმე წლის წინეთ განვიზრახეთ დაბა ოქუმში დაგვეარსებინა ქართული სამკითხველო, რის ნებართვას ბოლოს კიდეც ვეღირსეთ. მაგრამ რას გვიკეთებს მარტო ნებართვა, თუ კი ამ ნებართვას ვერ განვახორციელებთ? ამიტომ მივმართავთ პატივცემულ ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ვთხოვთ უმორჩილესათ, აღმოგვიჩინონ დახმარება ფულებით თუ წიგნებით და მით გაგვახორციელებინონ ეს კეთილი განზრახვა. იმედია, არავინ დაიშურებს თავის წვლილს ამ კეთილი საქმისთვის, მით უფრო, რომ დღეს სამურძაყანო განსაცდელშია, უკანასკნელ

მდგომარეობაშია და, თუ დროზე არ მივეშვე-
ლეთ, ლამის სულ გადარჯულდეს ეს მხარე.

შემოწირულობა მიიღება ამ ადრესით: Через Зугдид в местечко Окум. Ивану Гегия(23).

ალ. ენგურელი
გაზ. კვალი, 1895, 16 ივლისი

კომენტარები:

(18) წერილის გამოქვეყნებისას დაშვებულია უზუსტობა. სოფელი მიერხი სამურზაყანოში არ არსებობდა; უნდა იყოს რეჩხი, სადაც 1887 წლიდან არსებობდა საეპარქიო სასწავლო საბჭოს სკოლა.

(19) დეკანოზი დავით მაჭავარიანი (1820-1905). 1850 წლიდან მსახურობდა სამურზაყანოში, ოქუმში; იყო სამურზაყანოს მთავარხუცესი; 1869 წლიდან აფხაზეთის უფროს მთავარხუცესად დაინიშნა. 1878 წლიდან მის გამგებლობაში ბათუმის ოლქიც შემოდიოდა. 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარია. როგორც მისიონერს და პედაგოგს, საეპარქიო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარეს გარკვეული დამსახურება მიუძღვის აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და სწავლა-განათლების განვითარების საქმეში. აფხაზეთში მოღვაწეობის პირველ ეტაპზე დავით მაჭავარიანი შეიძლება დავახასიათოთ როგორც იმპერიის ერთგული, ზოგადქართულ ცნობიერებას მოკლებული წინააღმდეგობრივი ფიგურა, თუმცა აფხაზეთის ეპისკოპოსების ალექსანდრესა (ოქროპირიძე) და გაბრიელის (ქიქოძე) კეთილმა გავლენამ, ასევე რუსი მღვდელმთავრების უხეშმა ანტიქართულმა პოლიტიკამ სიცოცხლის ბოლო წლებში ის აფხაზეთის „ქართული პარტიის" წევრობამდე მიიყვანა.

(20) ფელეტონი „წერილი კუნჭულეთიდამ" გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიის" 1894 წლის 9 იანვრის ნომერში – № 6); ეძღვნება ყოველგვარი საზოგადოებრივისადმი სრულიად გულგრილ, ასოციალურ ადამიანებს – „კუზიანიძეებს", რომლებიც საკუთარი კეთილდღეობისთვის ნებისმიერ დანაშაულზე არიან წამსვლელები.

(21)აშორდია დათა – XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მეგრელებზე „ზრუნვის", ქართველი ერის გახლეჩის რუსულ-იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩამდგარი რენეგატი, რომლის საქმიანობამ იმთავითვე სრული კრახი განიცადა.

(22)1895 წლისთვის ანუ როდესაც იოანე ჩხენკელი ამ წერილს წერდა, ნამდვილად არ არსებობდა ოფიციალური გადაწყვეტილება სამურზაყანოში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ, თუმცა არაოფიციალურად ხელისუფლების მხრიდან ყველაფერი კეთდებოდა სამურზაყანოელთა ასიმილაცია-გარუსების მიზნით. პირველად 1896 წლის 19 იანვარს სოხუმის ეპისკოპოსმა არსენმა (იზოტოვი) მიიღო აფხაზეთ – სამურზაყანოში ქართული ენის სწავლების აკრძალვის გადაწყვეტილება. 1898 წლის 17 მარტს იგივე გადაწყვეტილება მიიღო საქართველო--იმერეთის სინოდალურმა კანტორამ. უფრო „ტოლერანტული" და „ლმობიერი" აღმოჩნდა უწმინდესი სინოდი, რომლის 1898 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით მეგრულ სამრევლოებში ღმრთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა შესრულებულიყო. საქართველოს საეგზარქოსომ და სოხუმის ეპარქიამ ეს გადაწყვეტილება სამურზაყანოზე არ გაავრცელეს იმ მოგონილი მოტივით, რომ სამურზაყანოე-

ლებს ხან აფხაზებს მიაკუთვნებდნენ, ხან კიდევ ცალკე „ეთნოსად“ აცხადებდნენ.

(23) ივანე გეგია (1860-1941) – განმანათლებელი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის „ქართული პარტიის“ აქტიური წევრი; დაიბადა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოქუმში. მშობლიურ სოფელში საკუთარი სახსრებით აგებულ შენობაში გახსნა უფასო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნებით შევსებაში საქართველოს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც“ ძალიან დაეხმარა. ივანე გეგია არჩეული იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის (1917 წლის 19-22 ნოემბერი) დელეგატად, სადაც ის სიტყვითაც გამოვიდა. მისი გამოსვლა მთლიანად ქართულ-აფხაზურ ისტორიულ და სამომავლო ურთიერთობებს ეძღვნებოდა; გამოთქვა აფხაზეთის საქართველოსთან გაერთიანების სურვილი.

-----------------------------------------------------------

**დოკუენტი №8. აკაკი ჩხენკელის მიერ კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის**

**გამოგზავნილი წერილი**

1899 წლის 21 ნოემბერი

ძმაო თედო,

ეს-ესაა შენი წერილი მივიღე და მეც საჭიროდ დავინახე მაშინვე მეპასუხნა. სალამისათვის მოგიძღვნი დიდი მადლობას. რაც შეეხება შენი საყვედურს სოხუმიდან შენ უნახავად წამოსვლის შესახებ, – უმართებულია. მე მსურდა შენი ნახვა, მაგრამ სადღაც გადიკარგე. მეგონა, გრიგოლთან(24) შემოხვიდოდი, ან ბაღში გამოისეირნებდი (შენ აკი იცოდი ჩემი ჩამოსვლა). შენი სახლი დღესაც არ ვიცი სად არის (25). კავჟარაძის შესახებ მამა-ჩემისგან არაფრის გაგება არ შეიძლება, რადგანაც ის არ ერევა მის საქმეში. ჩემზედ თუ მიგითითეს, მართლაც მე კარგად ვარ გაცნობილი კავჟარაძის საქმეებში. ამაზედ დაწვრილებით მოყოლა შეუძლებელია მოკლე წერილში და ასე საჩქაროდ. მეორე ოქუმის (ღუმურიშის) საზოგადოებას არ ქონდა და არც აქვს კანონიერად შედგენილი პრიგოვორი კავჟარაძის წინააღმდეგ. მას-კი ძლიერ სურდა შეეყენებია კანონიერი პრიგოვორი, მაგრამ მამასახლისმა, აგრეთვე ნაწილის უფროსმა (26) უარი განუცხადეს შემოწმობაზედ. ჩემსობას თხოვნაც გაუგზავნეს გუბერნატორს(27) ამის შესახებ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. საზოგადოებამ გააგზავნა აგერ ათამდე საჩივრები სასულიერო სხვადასხვა დაწესებულებებში, მხოლოდ თვითოეული თხოვნის ბოლოს აწერს ხელს მთელი საზოგადოება სათითაოდ. ამის გარდა, ჩემსობას ერთი მოკლე პრიგოვორიც შევადგინეთ, რომ უფრო ძალა მოგვეცა საზოგადოების ერთპირობისათვის. მე თვითონ დავწერე ეს პრიგოვორი შემთხვევით: საზოგადოებამ მთხოვა საჩქაროდ დამეწერა იგი და იქვე ხელი მოაწერეს. ეს პრიგოვორი აქვს მიბარებული ერთს თავადიშვილს მომჩივანთაგანს. ამასთანავე მე უგზავნი წერილს ივანე გეგიას, რომელშიაც ვთხოულობ, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ ნახოს ეგ თავადი და პრიგოვორი გამოაგზავნოს შენთან. ეს საქმე ძლიერ დიდ მასალას იძლევა გაზეთისათვის. მხოლოდ თუ გინდა რომ საგულისხმო წერილი დასწერო, საჭიროა დაწვრილებით გაეცნო ამ საქმეს. მე გიამბობ ერთ ეპიზოდს. 25 მარტს 30 პირმა (ღუმურიშის საზოგადოებისამ) გაუგზავნა გუბერნატორს თხოვნა ვითომდა საზოგადოების

მონდობილობით. ამ თხოვნაში ეს 30 პირი საზოდოების მაგიერ აქებს-ადიდებს კავჟარაძეს. ბოლოს იხსენიებს საჩივარს კავჟარაძის წინააღმდეგ და ითხოვს, რათა გადაყვანილ იქნან ადმინისტრატიული წესით ორი პირი: ასტამურ ემუხვარი და გერა ზუხუბია, როგორც მათი საყვარელი მოძღვრის შემწუხებელნი. ამ თხოვნის გამო მოხდა გამოძიება და აი რა აღმოჩნდა. თხოვნა დაუწერია მასწავლებელ თოლორაიას თვით კავჟარაძის კარნახით. ოცდაათი ხელის მომწერში სამმა სრულიად უარყო რაიმე მონაწილეობა ამ საქმეში; ორმა მათგანმა თვითონ იციან წერა და მათ მაგიერ სხვა აწერს, ერთი პირი-კი, სახელდობრ კუტატი ფარულუა სრულიად არ დაბადებულა სამურზაყანოში. რაც შეეხება თხოვნის შინაარს, ეს დანარჩენი 26 პირი აი რას მოგახსენებენ. თხოვნა დავწერეთ ჩვენ მაგიერ და საზოგადოება სრულიად არ გვიხსენებიაო, რადგანაც ჩვენ ვიცოდით ის (საზოგადოება) კიდევ წასრულ წლის ნოემბრიდან უჩივის მღვდელსო და ახლაც გამოძიება წარმოებს ამ საქმის შესახებო. ჩვენი სურვილი იყო მხოლოდ მღვდელი კავჟარაძე დარჩენილიყოვო ჩვენს სოფელში და გუბერნატორსაც ამას ვთხოვდითო. ემუხვარი და ზუხუბიას გადაყვანა ჩვენ პირველად გვესმისო. ერთი სიტყვით, მღვდელს ჩვენვის მოუწერინებია ხელი ისეთი ქაღალდზე, რომელიც ჩვენი სურვილს სრულიად არ ეთანხმებოდაო. როგორც ხედავ, კავჟარაძეს ჩაუდენია მიუტოვებელი დანაშაული – პადლოგი.

საზოგადოებამ ჩემსობას სთხოვა გუბერნატორს გამოძიება დაენიშნა. მხოლოდ პისმოვოდიტელი (28) მოსყიდულ იქნა (ნაწილის უფროსი იმ დროს ოქუმში არ იყო) და გამოძიება კავჟარაძის სასარგებლოდ იქნა გაგზავნილი. ერთი სიტყვით, ამ საქმეს შენ დაწვრილებით უნდა გაეცნო, ეს-კი შეგიძლია თუ წახვალ ორიოდე დღით ოქუმში. იცოდე არ ინანებ. სოხუმის ოლქში ისეთი მავნე პირი საზოგადოებისთვის, როგორც კავჟარაძეა, სწორედ რომ ღირსია შენი ყურადღებისა.

***

რაჟდენს ხვალ ვნახავ და მოკითხვას გადავცემ შენ მაგიერ... (ერთი სიტყვა გაუგებარია-ჯ. გ.) აგერ ერთი თვეა, რაც მთხოვა, თედო მოიკითხე ჩემმაგიერო. კავჟარაძის შესახებ უკეთესი იქნება პირადად მოელაპარაკო ზოგიერთ მომჩივნებს, რომელთაც ივანე გეგიასთან იპოვნი.

როდესაც მოვდიოდი, მე ვგრძნობდი რომ ჩემი დარჩენა ოქუმში ძლიერ საჭირო იყო. თუ შენ იკისრებ დროებით მაინც დაეხმარო საზოგადოებას მის გაჭივრებაში, უკეთესი შეუძლებელია (მე ვამბობ კავჟარაძის შესახებ).

ჩემი ადრესია «Рейтерская 24, кв. 10. Г. Кіев

***

მარტო გაზეთით ვერაფერს ვუშველით საქმეს. ამბობენ, ლეონიდი(29) ეხმარებაო იმ საძაგელს. საჭიროა მოლაპარაკება მასთან. ასე თუ ისე მომწერე უსათუოდ თუ როგორი ზომების მიღებას აპირებ კავჟარაძის შესახებ. ნუ დაგავიწყდება, კავჟარაძე ერთად-ერთი მტერია ყოველი კარგი საქმისა სოხუმის ეპარხიაში. გინება მას არას უშველის, უნდა განძევებული იქნას.

შენი ძ[მა] აკაკი ჩხენკელი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას ფონდი, ს. № 1771



აკაკი ჩხენკელის მიერ 1899 წლის 21 ნოემბერს კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილის პირველი გვერდი.

კომენტარები:

(24)უნდა იყოს აფხაზეთის „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი გრიგოლ კანდელაკი.

(25)თედო სახოკიას სახლი სოხუმში თანამედროვე ჭანბას ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა.

(26)სამურზაყანოს ნაწილის უფროსად 1898/1899 წელს პ. მ. სტაროსელსკი მსახურობდა, 1899-1900 წლებში ეს თანამდებობა კ. ს. არუთუნოვს ეკავა.

(27)ქუთაისის გუბერნატორად 1898 წლამდე მსახურობდა მ. ი. შალიკოვი, შემდგომში – თ. კ. გერშელმანი.

(28)“პისმოვოდიტელ“ – თანამდებობის პირი, რომელიც წარმართავდა კანცელარიის საქმიანობას, საქმისმწარმოებელი; სამურზაყანოში 1899 – 1900 წლებში აღნიშნულ თანამდებობაზე მსახურობდა პ. ვ. ვილჩევსკი.

(29)ლეონიდი – დიდი ალბათობით, იგულისხმება ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) – 1898 წლის 19 აპრილიდან გორის, 1900 წლის აგვისტოდან გორის, შემდგომში იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, თბილისის მიტროპოლიტი; 1918-1921 წლებში – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

-----------------------------------------------

**დოკუმენტი №9. აკაკი ჩხენკელის მიერ კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილი**

1900 წლის 29 იანვარი

ძ[მაო] თედო!

გილოცავ ახალ წელს და გისურვებ ყოველ სიკეთეს. როგორც შევიტყე რაჟდენისაგან (30) ჩემი წერილი შენ უკვე მიგიღია. მასთან რაჟდენმა გადმომცა, გამომეგზავნა შენთვის კავჟარაძის საქმის საბუთები. მე ვასრულებ შენს სურვილს, მხოლოდ სხვანაირად. ქაღალდები, რომელნიც ჩემს ხელში არიან, ძლიერ არეულნი არიან; ასე რომ მათი შემწეობით საქმის გაცნობა შენთვის შეუძლებელია. ამიტომ მე ვამჯობინე ისტორიულად გადმოქცე კავჟარაძის საჩივრების უმთავრესი მომენტები. შენთვის დღეს-დღეობით მეტი საჭიროც არ არის.

თავდაპირველად საჩივარი აღძრა სოფ. გალის (კავჟარაძის მრევლს ჰქვია მეორე ოქუმი ანუ ღუმურიში) მცხოვრებმა გლეხმა დუტუ ჭანტურიამ. საჩივარი ეგზარხოსის (31) სახელზედ იყო და გაეგზავნა ოჩამჩირედან 1898 წ. 28 აგვისტოს. ჭანტურიამ წამოაყენა კავჟარაძის წინააღმდეგ ორი დანაშაული: ა) ეკლესიის ფულების შეჭმა 500-600 მ. და ბ) ოქუმის მასწავლებელ ვლ. კანდელაკისაგან(32) (ჩვენი სიძეა) ქრთამის აღება 30-40 მან. მოწმეები, რასაკვირველია, დასახელებულ იყვნენ. საქმის ვითარება ამნაირად იყო, როდესაც მე წამოვედი რუსეთში. ჭანტურიას საჩივარზე გამოძიება მიენდო პირველად ბლაღოჩინ მარღანიას(33) იმ წლის ნოემბერს. აი, სწორედ ამ თვიდან იწყება საზოგადოების საჩივრები იმავე კავჟარაძის წინააღმდეგ. ნუ დაგავიწყდება, საზოგადოებას მუდამ-ჟამსაც სძულდა კავჟარაძე. როდესაც კავჟარაძე გადმოყვანილ იქნა (1891 წ.) სოფ. საბერიოდან ღუმურიშში,

საზოგადოებამ უარი განაცხადა მისი მიღება-ზე. თუ ის მაინც გადმოყვანილ იქნა ღუმურიშ-ში, ეს მამა-ჩემს უნდა მიეწეროს, როგორც მა-შინდელ ბლაღოჩინს. მაშასადამე, საკმარისი იყო ერთი ვინმესგან საჩივრის დაწყება, რომ საზოგადოება აბობოქრებულიყო. ნოემბერში-ვე მან გააგზავნა საჩივარი კანტორაში და მას აქეთ ის გაურბის როგორც ეკლესიას, აგრეთვე მღვდელს. სხვათა შორის, მარღანიას თანდას-წრებით გადაიცა საზოგადოებამ თავის თა-ვი ეკლესიის წინ, თუ ის ოდესმე აღიარებდა თავის მღვდლად კავჟარაძეს. საზოგადოების პირველი საჩივარი შესდგებოდა 14 მუხლი-საგან: ა) ბათვალა კუკავას შვილის უზიაროდ სიკვდილი, ბ) საგვირგვინო მოწმობისათვის გადაახდევია გლეხს დათუ ცაცუას 7 მან.; გ) დათუ ფაჩულიას მოუკვდა მამა უზიაროდ, დასაფლავების დროს მღვდელმა მოთხოვა 100 მან.; დ) გლ. ბახუ ზუხუბაიას გადაუჭრა სა-ეკლესიო მიწიდან ორი ქცევა საზოგადოების დაუკითხავათ, სასყიდლათ მიიღო 30 მან., 2 თავი შაქარი და ეკლესიისთვის შეაწირია ერ-თი ფუთი ყალბი სანთელი; ე) გლეხი გადა ნა-ნავას და მისი ქალიშვილის პელაგიას წირვის დათავების დროს დაარტყა ცხვირ-პირზედ ჯვარი და ზიარების აღება აღუკრძალია; ვ) გლეხ გვაჯინა ქვაჩახიას და ქვაჩალა წირღვა-ვას მოუკვდათ უზიაროდ შვილები (ორი); ზ) ათი წლის განმავლობაში კავჟარაძეს სახლე-ბი არ უკურთხია; ჰ) კავჟარაძე სარგებლობს საეკლესიო მიწებით თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ეს მუხლი უსაფუძვ-ლოა); თ) ოქუმის მოვაჭრეს დიმიტრი ჭოჭუას მოუკვდა ძმა ბატონებით, რომელიც დასაფ-ლავებულ იქნა ღუმურიშში. შემდეგ მიცვალე-ბული მოპარულ იქნა კავჟარაძის შემწეობით, რომელმაც მიიღო ქრთამად 30 მან. (ეს მუხ-ლი ძლიერ მაგარი საქმეა, მაგრამ მომჩივნებ-მა თავის სიბრიყვით ისე წაიყვანეს იგი, რომ პროკურორმა მოსპო საქმე; ი) მიხეილ კაკუბა-ვას შვილი მოუნათლა და მირონი არ წასცხო, დღესაც უმირონოდ არის ბავშვი; კ) კავჟარა-ძემ ღუმურიშის სამრევლო შკოლის მოწაფე-ებს დაადვა ღალად ორ-ორი ფუთი სიმიდი, უამისოდ ბავშვებს გამორიცხვას ემუქრებოდა; ლ) კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ გამოუგზავნა ერთდროულად ოქუმში ნამყოფ მასწავლებელ პეტრე კამკიას შვილს 75 მან. სასულიერო სასწავლებლისათ-ვის მოსამზადებლად, რის შემდეგ ეს ბავშვი სახელმწიფოდ უნდა გაზდილიყო ხსენებულ სასწავლებელში. ფული კავჟარაძემ მოინელა და ეს ბავშვი -კი დარჩა საწყლად; მ) ორჯერ შეადგინა საზოგადოებამ განაჩენი, რომ და-ნიშნულ ყოფილიყო ეკლესიის შემოსავლის მეთვალყურე. განაჩენები სადღაც გაქრენ და კავჟარაძე აკი განაგრძობს ფულების ჭამას; ნ) ოთხი წლის უკან აღდგომის მეორე დღეს კავ-ჟარაძემ მთელი საზოგადოების წინაშე აღი-არა, რომ სამრევლოში არ მოიძებნება ერთი კაცი, რომელსაც იგი აფასებდეს – „მე ყველა მძაგხართო“. რაც შეეხება მოუნათლავად და უზიარებლად სიკვდილს, ამ მხრივ კავჟარაძემ გამოიჩინა სრული უსინიდისობა: ატყობინე-ბენ მას არა ერთხელ, არამედ 3-ჯერ და 4-ჯერ, შემტყობინებელს კარში აგდებს, უშვერი სიტყ-ვით ლანძღავს და სხ. მარღანია ორ-ჯერ იყო ღუმურიშში ჭანტურიას საქმის გამოსაძიებ-ლად ორ-ორი კვირა. საზოგადოებას მოთმი-ნება დაეკარგა და ხელახლავ მიმართა საჩივ-რით [საქართველო-იმერეთის სინოდალურ] კანტორას. ეს საკმარისი არ შეიქნა და კიდევ გააგზავნა მესამეჯერ საჩივრები ეგზარხოსის და არსენის სახელზედ. საჩივრებს თფილის-ში თავის დროზედ ეძლეოდა მსვლელობა, მხოლოდ სოხუმის კანცელარიაში-კი აჩერებ-დენ. ბოლოს როგორც ჭანტურიას საჩივარი, აგრეთვე საზოგადოების მიენდო გამოსაძი-

ებლად ბლაღოჩინ სამსონ სვანიძეს. სვანიძე ორჯერ იყო ღუმურიშში ჩემი ჩამოსვლამდის 1899 წელს. როდესაც მე ჩამოვედი, საქმე ძლიერ დაქსაქული იყო, რის გამო საზოგადოება სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. მე დაუწერე საზოგადოებას ერთი დიდი თხოვნა ეგზარხოსის სახელზე, რომელშიდაც აწერილი იყო გამომძიებლების უკანონოდ ქცევა, არსენის მიდგომა და სხვა. საჩივარში (გაიგზავნა 1899 წ. 5 ივლის), გარდა 14 მუხლისა, მოყვანილი იყო 11 ახალი მუხლი: ა) გლეხი ბარდღუ კაკუბავას დედა მოკვდა უზიაროდ, იგივე ბედი ეწია ნარიქ ზუხუბაიას ცოლს; ბ) 3-4 წლის უკან ეკლესიის შესაკეთებლად მთავრობამ გადასდო 1000 მან., ამ ფულებიდან 100 მან. კავჟარაძემ მიითვისა და ბერძენი-შემკეთებელი დაუკმაყოფილებლად დარჩა; დ) სკოლის დასახურავად შემოაკლდათ 400 ფურცელი ყავარი, რომელიც ერთმა გლეხმა მისყიდა საზოგადოებას 1 ½ მანეთად, კავჟარაძემ-კი გადაახდევია საზოგადოებას 3 მან.; ე) კავჟარაძემ გადაახთევია პახვალა ზუხუბაიას ორი თითო-აბაზიანი სანთელში 2 მან.; ვ) მასწავლებელ პეტრე კამკიას ცოლს წესი არ აუგო; ზ) პირველი ოქუმის მცხოვრებ გლეხს ქვაბლუხ მიქავას დაჰპირდა თხოვნის დაწერას და ორი მანეთი გამოართვა მარკისათვის; არც თხოვნა დაუწერა და ფულიც-კი შეუჭამა; ჱ) გლეხ პეხუ ზუხუბაიას დაჰპირდა შვილის მომზადებას და გამოართვა წინდაწინ 120 მან., ბავშვი ადრე მოკვდა; საწყალი მამა დღესაც ემუდარება, ნახევარი მაინც დამიბრუნეო; თ) კავჟარაძის უპირობა იმაში გამოიხატება, რომ მასზედ უმართებსთ ფული ნიკოლა და ძვაძვალა ზუხუბაიებს, პირველის – 140 მან., მეორეს – 3 ½ მან., რომელზედაც მან განუცხადა „პროსტო ატკაზი“; ი) ქრისტეშობისთვის მარხვის პირველ დღეს კავჟარაძემ საზოგადოება გაასულელა და მარხვა აჭამა (წინ დღით განუცხადა სხნილი არისო) და ბოლოს ამას რომ არ დასჯერდა, ჯვარიც გადასწერა ერთს გლეხს; ადგილობრივ ბლაღოჩინმა [სამსონ სვანიძემ] რევიზიის დროს აღმოაჩინა დამპალი სიწმინდე; ლ) კავჟარაძის ლანძღვა-გინებას სამზღვარი არა აქვს: ერთს თავადიშვილს საზოგადოებაში მოუნათლავი დაუძახა, მეორეს – ბოზი და სხვა; მ) მომჩივნები დაიბარა, დაუწერა სინალულის თხოვნა და ძალას აყენებდა, ხელი მომიწერეთო; საჩივრების და დანოსების წერა მის ხელშია (მაგალითები იყო დასახელებული) და სხ. თხოვნა 8 ფურცელს შეიცავდა, ეს იმიტომ, რომ თვითოეული დანაშაული ვრცლად იყო აწერილი. საზოგადოება თხოვდა ეგზარხოსს ან დაგვიხურეთ სრულიად ეკლესია, ან ეს მღვდელი მოგვაშორეთო.

ამის გარდა დუტუ ჭანტურიამ იმავე რიცხვში გააგზავნა ეგზარხოსის სახელზედ ქაღალდი, სადაც თხოულობდა საქმის დაჩქარებას. გამომძიებელი სვანიძე ჩემსობას ორჯერ ჩამოვიდა ღუმურიშში, გამოძიება გაგრძელდა თითქმის ერთი თვე. მას ქონდა არსენისაგან „ინსტრუქციები“, რაც შეიძლება დახმარებოდა კავჟარაძეს და მასთან ბევრი რამ უკანონობა ჩაედინა. მე, რასაკვირველია, ყოველი ამას პასუხი გავეცი. გამომძიებელს მისცა საზოგადოებამ ათამდე განცხადება სხვადასხვა შინაარსისა. ამ განცხადებებში მოხსენებულია ყოველივე უსამართლობა, რომელიც გამომძიებელმა ჩაიდინა არსენის მინდობილობით. ბოლოს საზოგადოებამ სრულიად უარი განუცხადა სვანიძეს გამომძიებლობაზე. სვანიძე მაინც თავისას არ იშლიდა. საზოგადოებამ ორჯერ განუცხადა სვანიძეს მოგვშორდი, შენი არაფელი გვწამსო. ბოლოს გავაგზავნეთ ვრცელი საჩივარი კანტორის სახელზედ და უბრალო განცხადება არსენს. ეს იყო 22 სექტემბერს. კანტორას ვთხოვდით სვანიძეს ჩამოერთვას საქმე და სხვას (არა სოხუმის ეპარქიის) გადაეცეს გამოსაძიებლადო. საჭიროა აღვ-

ნიშნო ის გარემოება, რომ სვანიძე იძიებდა მხოლოდ წინანდელი საჩივრებს. ჩემი დაწერილი საჩივრები-კი სოხუმში ბრძანდებოდენ. ახლა როგორც ვატყობილობ, კანტორას გაუუქმებია მარღანიას და სვანიძის გამოძიება და საქმე არსენის თუ, არ ვიცი, ვისი ნებით ზედამხედველ ივანიცკისათვის (34) მიუნდვია.

ამის გარდა, კიდევ იყო რამდენიმე საჩივრები გაგზავნილი სხვადასხვა პირებისაგან, მათ რიცხვში დედაჩემმაც გააგზავნა საჩივარი ჩემი წერილის დაჭერის შესახებ. 30 კაცის საჩვარმა გუბერნატორთან დიდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე. ამის შესახებ მოგწერე წინათ და ახლა მოგიყვან ლისოვსკის (ნაწილის უფროსი-(35) სიტყვებს კავჟარაძის შესახებ, რომელნიც მიმართულნი არიან გუბერნატორთან: «Таким образом, становится очевидным, что пребывание св. Кавжарадзе в Гумуриши в качестве настоятеля церкви является крайне неудобным уже ввиду слишком резких видов, проявившагося между крестьянами антагонизма, постоянно развивающагося до невероятных размеров на почве интриг и партийной вражды, порождаемых и всячески поддерживаемых из личных безнравственных побуждений самим-же Кавжарадзе, равно ввиду тех соображений, что помянутыя отношения, установившияся между духовным пастырем и прихожанами немыслимы, прежде нежелательны и не могут быть допущены в интересах общественнаго порядка и спокойствия, а потому полагал бы приложенное прошение (прошение 30-ти лиц) оставить без последствий и независимо сего возбудить ходатайство о перемещении Кавжарадзе в административных видах из Самурзаканского Участка и Гумуришскаго прихода в иной по усмотрению Экзарха Грузии». გეგია მწერს, რომ ახლანდელი ნაწილის უფროსსაც დაეკითხა მთავრობა კავჟარაძის შესახებ; საზოგადოებამ წინანდებურად განაცხადა, რომ კავჟარაძე არ გვინდაო და ნაწილის უფროსმაც ლისოვსკისებური წარდგენა გაუკეთაო კავჟარაძეს. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ამ ორივე მოხსენების პირებს ვიშოვიდეთ გუბერნატორის კანცელიარიიდან და სასულიერო მთავრობას წარუდგენდეთ. ასე თუ ისე, ჩემო თედო, შენ გმართებს ახლა მოქმედება. საქმე იმაშია, რომ აგერ ოთხი თვეა, რაც არაფერი ამბავი არ მოსდის საზოგადოებას თავის საჩივრების შესახებ. როგორც მიხვდები, ეს საქმეები, ალბათ, არსენს აქვს ხელში და მსვლელობას არ აძლევს. საზოგადოებაზე, რასაკვირველია, ცუდ გავლენას იქონიებს საქმის ასე დაგვიანება. აუცილებელი საჭიროა რაც შეიძლება საჩქაროდ შეწუხებული თხოვნა გაეგზავნოს კანტორას და განმეორებულ იქნას, რაც განცხადებაში ითქვა 22 სეკტემბერს. ეს მით უმეტეს საჩქროდ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი, რომ ღუმურიშში დროებით ერთი უადგილო მღვდელი ასათიანი (36) ჩამოსახლებულა თურმე და ხალხს აგონებს კავჟარაძეს შეურიგდითო. მუხლების დასახელება თხოვნაში, ჩემის აზრით, არ არის საჭირო, მხოლოდ გამოთქვან მღდვლის უარყოფა, ახალი მღვდლის დანიშვნა, საქმის დაჩქარება და ახალი გამომძიებელის გამოგზავნა. თხოვნას წინანდებურად მთელი საზოგადოება მოაწერს ხელს. თუ ამ თხოვნამაც არაფერი ქნა, მაშინ სინოდში უნდა გაიგზავნოს ვრცელი საჩივარი. ამ უკანასკნელს მე დავწერ, რადგანაც საქმე დაწვრილებით ვიცი. თედო, იცოდე, თუ შენ მოკიდებ ამ საქმეს ხელს, თორემ ოჟუმში ვერავინ ვერაფერს მოახერხებს. როგორც იცი, კავჟარაძე ჯერეც არ არის დამტკიცებული ბლაღოჩინად და, მაშასადამე, ახლა უფრო ადვილია მისი წაქცევა. იმედი მაქვს, რომ არ იფიქრებ, ვითომ მე ჩემს თავმოყვარეობას ან მამა-ჩემისას ვიცავდე. გთხოვ ჩემი ხათრიზა ნურაფერს გააკეთებ. კავჟარაძე მავნეა საზოგადოებისთვის, დამიჯერე, ბერეხო-რაბინსკზე ვარესი

და უფრო ჭკვიანი. მე მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ჩემი სამუდამოდ ჩამოსვლამდის, არ განათავისუფლო კავჟარაძე საჩივრებისაგან და მერმე-კი მე ვიმოქმედებ. რომ გავიმარჯვებთ, ეს უეჭველია. რატომ? იმიტომ რომ კავჟარაძე დამნაშავეა ათას რამეში და თუ ერთი რამ დაუმტკიცდა, ისიც ეყოფა. თედო, უსათუოდ უნდა წახვიდე ოქუმში და ადგილობრივ უნდა გაეცნო საქმეს.

***

გთხოვ მიპასუხო და კავჟარაძის შესახებ უკანასკნელი ამბები დაწვრილებით შემატყობინო. ჩემი ადრესი: «Кiев, Крещатик № 56, кв. 3 Ак. Чхенкели».

***

ქაღალდის გაგზავნა აუცილებელი საჭიროა. უამისოდ ადვილად შესაძლებელია არსენიმ საქმე ჩაფუშოს და კავჟარაძე დასამტკიცებლად წარადგინოს(37), ყველაფერი მოსალოდნელია. ამბობენ, ლეონიდი ეხმარებაო.

აკაკი ჩხენკელი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას ფონდი, ს. № 1772.

კომენტარები:

(30)ალბათ, რაჟდენ კიღურაძე, აფხაზეთში ცნობილი რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე, 1916 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების გამგეობის წევრი.

(31)1898-1900 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო არქიეპისკოპოსი ფლაბიანე (გოროდეცკი).

(32)ვლადიმერ კანდელაკი – პედაგოგი კულაშიდან, აკაკი ჩხენკელის უფროსი დის – ნეონინას მეუღლე; ვლადიმერი და ნეონინა პედაგოგებად მსახურობდნენ ოქუმში, მოგვიანებით – ბაქოში. მათი უფროსი შვილი დავით კანდელაკი (1895-1938), რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, 1921-1930 წლებში საბჭოთა საქართველოს განათლების სახალხო კომისარია (მინისტრი). 1928 წლიდან ის ითავსებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობასაც (მასთან პრორექტორად მუშაობდა ნიკო მუსხელიშვილი). 1930 წლიდან დავით კანდელაკი საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნა, ასრულებდა შვედეთსა და გერმანიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობას. 1937 წელს დააპატიმრეს და 1938 წელს დახვრიტეს ტერორიზმის ცრუ ბრალდებით. დახვრიტეს ასევე მისი ძმები – გიგა და სანდრო კანდელაკები.

(33)დიმიტრი მარღანია ცნობილი აფხაზი პედაგოგი და სასულიერო მოღვაწე; ბაკლანოვკის სერგი როდონეჟელის ეკლესიის წინამძღვარი და 1894 წლიდან მთელი გუდაუთის უბნის მთავარხუცესი; 1898 წლიდან ოჩამჩირის აღდგომის ეკლესიის წინამძღვარი და მთელი კოდორის (ოჩამჩირის) უბნის მთავარხუცესი, 1908 წლიდან – დეკანოზი.

(34)ტარას ივანიცკი – ინგილოელი ქართვე-

ლი მღვდელი; 1898 წლის პირველი იანვრიდან კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობდა იმავე საბჭოს მიერ ცალკე გამოყოფილ აფხაზეთის სამისიონერო რაიონს.

(35)სტანისლავ ფლორიანოვიჩ ლისოვსკის 1898/99 წელს კოდორის (ოჩამჩირის) უბნის უფროსის თანამდებობა ეკავა; არც მანამდე, არც შემდგომში ის აფხაზეთში არ მსახურობდა.

(36)სამურზაყანოში, კერძოდ, დიხაზურგის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიაში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში მღვდლებად მსახურობდნენ პ. ასათიანი და ვ. ასათიანი. ასევე ბესლახუბის წმინდა ონოფრეს ეკლესიის მღვდელი გახლდათ მ. ასათიანი. წერილში მოხსენიებული პირი შეიძლება იყოს პენსიაზე გასული პავლე ასათიანი – დამსახურებული პედაგოგი და მღვდელი.

(37)სოხუმის ეპისკოპოს არსენს (იზოტოვი) სურდა იოანე კავჟარაძის სამურზაყანოს მთავარხუცესის თანამდებობაზე წარდგენა.

---------------------------------------

**დოკუმენტი №10. აკაკი ჩხენკელის მიერ კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილი**

1900 წ. 10 მარტი

ძ[მაო] თედო!

თუმცა ნაშუაღამევის ორი საათია, მაგრამ ვიჩქარი ახლა გიპასუხო, რადგანაც შეიძლება მერმე დრო ვერ ვიხელთო. შენი წერილი მივიღე და დიდ მადლობას გწირავ. ამბები, რაც მაშია მოთხრობილი, ძლიერ საინტერესოა, განსაკუთრებით ჩემთვის. დედა-ჩემისაგან მივიღე წერილი, საიდანაც ვტყობილობ – მამა-ჩემს უჩივლესო და გამომძიებელიც უკვე გაემგზავრაო. გთხოვ, შემატყობინო საჩქაროდ, ვინ უჩივის და ან რას უჩივის. ეს, ალბათ, კავჟარაძის ხრიკები იქნება. მასთან მოგიწერია რაჟდენისათვის – ივანოვი მღვდელი(38) წავიდა ღუმურიშში კავჟარაძის საქმის გამოსაძიებლადო. მე ამ გარემოებამ ძლიერ ჩამაფიქრა, ვაი თუ მომჩივნებმა და მოწმეებმა ვერ იმოქმედონ რიგიანად. იმედი მაქვს, რომ შენ საჭირო ზომებს მიიღებდი საქმის კარგად წასაყვანად. ოქუმიდან მთხოულობენ სინოდის სახელზედ ვრცელი საჩივარი დაგვიწერეო. მეც შეუდექი თხოვნის დაწერას, მაგრამ როდესაც შევიტყე გამომძიებლის გამგზავრება, შევჩერდი. საჭიროა უკანასკნელი გამოძიების შედეგიც მოხსენებული იქნეს თხოვნაში. ამიტომ გთხოვ, შემატყობინო დაწვრილებით, თუ როგორ წავიდა საქმე. როდესაც გამომძიებელი ჩამობრუნდება სოხუმში, შეეცადე ყველაფერის გაგებას და მოიწერე. ჯანდარმების თავზე დასხმა, ეს კიდევ ახალი ამბავია ჩემთვის. სჩანს, კავჟარაძე არაფერ საშუალებას არ სზოგავს, რომ თავის მტრები გააშავოს. ამას წინეთ მოსამსახურემ მითხრა დილა-საღამოს ერთი ვიღაცა საეჭვო კაცი გითვალთვალებს და, მე მგონი, ჯაშუში უნდა იყოსო. ადვილად შეიძლება, რომ კავჟარაძემ მეც არ დამტოვა უზრუნველად და კიევშიდაც გამოაქანა დასაბეზღებელი ქაღალდი. ეს არც გასაკვირველია, მან ეს ერთხელ კიდევაც ჩაიდინა 1896 წელში. ყოველ შემთხვევაში, მე ძლიერ მსურველი ვარ მთავრობამაც გაიგოს ჩვენი ვინაობა, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ მაგისთანა საზიზღარ ადამიანს, რაც უნდა იყო, უფრო შეიძულებს მთავრობა.

იმ ამბავმა, რომ ვანოს (ივანე გეგიას? – ჯ. გ.) მასწავლებლობის ადგილი მისცესო, ძლიერ გამეხარდა. მხოლოდ მიკვირს, რატომ დედაჩემი არ მწერს ამის შესახებ არაფერს. ასე რომ მე ცოტა არ იყვეს ვეჭვობ, ამიტომ გთხოვ დარწმუნებით შემატყობინო. თუ ძმა ხარ, წერილის მოწერას ნუ დაიზარებ. „პეტ. უწყ."(39) ვათვალიერებ, მაგრამ ჯერ არაფერია. უკანასკნელ დროს, რაღაც გაზეთმა აუხვია გზას. ეს უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ თ[ავადი] უხტომსკი (40) ჩინეთში გაემგზავრა და გაზეთი დროებით სხვის ხელში გადავიდა. ვაი თუ ამ გარემოებამ დაუშალოს შენს წერილს. გაკოცებ მაგრად.

Кiев, Крещатик 56, кв. 3. А. Чхенкели

შენი ძმა აკაკი ჩხენკელი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას ფონდი, ს. № 1773






Kiev, Крещатик 56, кв. 3.

აკაკი ჩხენკელის მიერ 1900 წლის 10 მარტს კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილი.

კომენტარები:

(38)ავრაამ ივანოვი (იოანიდისი) – ბერძენი სასულიერო მოღვაწე (1867-1930); როდესაც ის ოქუმში ჩამოვიდა, სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდლად და საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრად მსახურობდა; იყო სოხუმის ეპარქიის მეორე ოკრუგის (მოიცავდა სოხუმსა და სოხუმის რაიონს) მთავარხუცესი. 1897 წელს, როდესაც სოხუმის საკათედრო ტაძრის კანდელაკი და საეპარქიო სასწავლო საბჭოს წევრი ბესარიონ ხელაია ყაზანის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, თავისი სამსახურებრივი საქმეები მან დეკანოზ დავით მაჭავარიანს და მღვდელ ავრაამ ივანოვს გადააბარა. შემდგომში ავრაამ ივანოვი მსახურობდა სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის მღვდლად. 1923 წელს ეკურთხა „განმაახლებელთა" ეკლესიის სოხუმის ეპისკოპოსად, 1924 წელს – სოხუმისა და თბილისის ანუ სრულიად საქართველოს „განმაახლებელთა" მთავარეპისკოპოსად; 1927 წლიდან დაუბრუნდა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას და ქართული ეკლესიის იურისდიქციას.

(39)იგულისხმება შედარებით ლიბერალური მიმართულების გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი" („პეტერბურგის უწყებანი" – „პეტ. უწყ".). აკაკი ჩხენკელმა იცოდა, რომ ამ გაზეთში გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი იყო თედო სახოკიას წერილი აფხაზეთში, მათ შორის ოქუმში არსებული ვითარების შესახებ. პუბლიკაციამ ოდნავ დაიგვიანა. როგორც ზემოთ ითქვა, თედო სახოკიას წერილი აღნიშნული გაზეთის 1900 წლის 1 (14) ივლისის ნომერში გამოქვეყნდა.

(40)ესპერ ესპეროვიჩ უხტომსკი (1861-1921) – ცნობილი პუბლიცისტი, პოეტი, მთარგმნელი, ორიენტალისტი; რუსეთის უკანასკნელ იმპერატორ ნიკოლოზ მეორესთან დაახლოებული პირი, გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტის" (1914 წლიდან – „პეტროგრადსკიე ვედომოსტი") რედაქტორ-გამომცემელი; მისი საშუამავლო დიპლომატიური მისია რუსეთ-ჩინეთისა და რუსეთ-ტიბეტის საქმეებში არც ისე წარმატებული აღმოჩნდა.

-------------------------------------------------

**დოკუმენტი №11. აკაკი ჩხენკელის მიერ კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილი**

1900 წ. 29 მარტი

ძმაო თედო!

შენი წერილი გადმომცა რაჟდენმა გუშინ. დიდი მადლობას გიძღვნი, რომ შემატყობინე ფრიად საგულისხმო ამბავი კავჟარაძის შესახებ. ამასთანავე გრიგოლსაც უგზავნი საგანგებო წერილს, სადაც ნამეტნავად ვთხოულობ, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ აღძრას მან საქმე კავჟარაძის წინააღმდეგ. სრული იმედი მაქვს შენი, რომ მიიღებ შესაფერ ზომებს ამ საქმის დასაჩქარებლად. რაც შეეხება საზოგადოების საჩივარს, გთხოვ საჩქაროდ მაცნობო დაწვრილებითი შედეგი გამოძიებისა. მიიღე ყოველივე ზომები, რომ ივანოვმა წაგაკითხოს ძიების საბუთები. ეს ძლიერ საჭიროა საქმის განსაგრძობად. სასოწარკვე-

თილებას ვეძლევი, როდესაც ვტყობილობ ირინესაგან(41), რომ საზოგადოებას გზის მაჩვენებელი არავინ ყავსო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საზოგადოება გმინავს სიმწარისაგან და ისიც სრულიად უმართლოდ, თავისთავად მისახვედრია, თუ რა მოვალეობა გვაწევს ჩვენ კავჟარაძის უკანონო ყოფნად უპატიოსნე გაიძვერობის მოსასპობად. Нужно принять все меры, чтобы правительство узнало все его баснословныя проделки. Его интригам и доносам мы должны противопоставить путь легальности и законности. Необходимо, чтобы со стороны общества поступила жалоба в Синод, а для этого я должен знать, чем кончилось последнее производство. Ты же знаешь, что моя цель состоит, как-нибудь затянуть дело до моего окончательнаго приезда на Кавказ (а это последует не раньше будущаго года, – ты об этом не говори никаму). Важно, чтобы Контора не успела оправдать его, а то преосвященный (სოხუმის ეპ. არსენი – ჯ. გ.) постарается немедленно представить его на утверждение во временно-исправляемай им благочинической должности. Что же касается до твоих опасений на счет административного выселения, – могу успокоить тебя, что этого не может случиться. Губернатор лишен права своею властью выселять кого-нибудь; он может только в экстраординарных случаях войти с мотивированным ходатайством к Главноначальствующему, но такого случая он не может констатировать, если высшим государственным интересам не угрожает какая-нибудь особенная опасность. В основных законах предусмотрено только административное выселение на основании приговора, даннаго сельским обществом или городскими обывателями (где требуется большинство 2/3 голосов). В городах это правило применяется очень редко, да врядли пожертвует тобою большинство городских жителей. რა ჭკუაზე მომივიდა რუსულად წერა მე თვითონ არ ვიცი. გთხოვ, რაც შეიძლება ჩქარა მაცნობო ყოველივე ამბავი დაწვრილებით. საჭიროა, ვიმეორებ, სინოდმაც გაიგოს საზოგადოების სასოწარკვეთილება. მოგიკითხავ და გისურვებ ჯანმრთელობას. მაკრინეს(42) უთხარი ჩემმაგიერ, რატომ მარტო რაჟდენის წერილზე დააწერე მოკითხვა და ჩემი კი უყურადღებოდ დატოვეთქო. მე მგონი, ბინას ამ დღეებში გამოვიცვლი და წერილი რაჟდენის სახელზედ გამომიგზავნე.

***

ერთის მხრით, ძლიერ მაწუხებს ის გარემოება, რომ შენ სამზღვარ-გარეთ მიემგზავრები და საზოგადოების საქმეს ამით ზიანი ეძლევა...

შენი ძმა აკაკი ჩხენკელი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თედო სახოკიას ფონდი, ს. № 1774

კომენტარები:

(41) აკაკი ჩხენკელის დედა ირინე გიორგაძე.

(42) აკაკი ჩხენკელს, დიდი ალბათობით, მხედველობაში ჰყავს მომავალი მეუღლე მაკრინე თურქია.

1900 წ. 29 [illegible]

[illegible]

[illegible]!

[illegible]




აკაკი ჩხენკელის მიერ 1900 წლის 29 მარტს კიევიდან სოხუმში თედო სახოკიასთვის გამოგზავნილი წერილის პირველი და ბოლო გვერდები.

**ზურაბ ჯგუბურია**

## „ქართველი ვარ, სოხუმიდან!“

## აკაკი ჩხენკელის 150 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების შესახებ

**(საფრანგეთი, პარიზი – ლევილი)**

***„თავისუფლება ციდან ჩამოვარდნილი მანანა არ არის, ის თვითონ უნდა გამოგლიჯო მტერს ხელიდან, ამისათვის უნდა ემზადო, გაიმსჭვალო ურყევი ნებით. არ დაერიდო მსხვერპლს...ერთი სიტყვით, უნდა იბრძოლო. ერი, რომელიც თავისუფლებისათვის არ იბრძვის, არცაა ღირსი ამ სახელის ტარების...***

***საქართველოს შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირი კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპასთან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ყველა თავისი ძალების განვითარებას...“***

***აკაკი ჩხენკელი***

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის აკაკი ჩხენკელის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ვიზიტი შედგა ა.წ. 17-23 მაისს, საფრანგეთში – პარიზში, ლევილის ქართულ-ფრანგულ მემორიალურ მუზეუმში (ლევილის მემორიალურ სასაფლაოზე).

პარიზში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეების, კერძოდ, აფხაზეთის მკვიდრის, უდიდესი ქართველი პოლიტიკოსის, დიპლომატის და სახელმწიფო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის დაბადებიდან 150-წლის იუბილის აღნიშვნა მისი განსვენების ადგილას, ლევილში, მისი ერთადერთი მემკვიდრის თამარ (თამუ) ჩხენკელის და მისი დიდი ოჯახის (ძმების, დების) შთამომავლების მონაწილეობით.

ღონისძიების ორგანიზება დამევალა მე, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საგარეო ურთიერთობათა კოორდინატორს და ოქუმის მკვიდრს. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სამსახურის უფროსი ზურაბ ქეცბაია. მემორიალური დაფის დამზადებაში პროფესიული და მატერიალური დახმარება გასწია სამშენებლო კომპანია „ივერთმშენის“ დამფუძნებელმა და მისმა გენერალურმა დირექტორმა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერმა, უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა ედიშერ ოქუმელმა (ჯანჯულია).

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ლევილში ჩავიტანეთ თბილისში დამზადებული მემორიალური დაფა და აქვე დაბეჭდილი სამენოვანი (ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე, მთ. რედაქტორი ზ. ჯგუბურია) საიუბილეო ბიულეტენი „ქართველი ვარ, სოხუმიდან“, შედგენილი უნიკალური, მისი ოჯახის წევრების და შთამომავლების დღემდე გამოუქვეყნებელი 13 ერთეული ფოტოსურათის, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს ცალკეული საარქივო მასალების გამოყენებით.

ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობ-

დნენ საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები – საელჩოს უფროსი მრჩეველი თეა ქარჩავა, საელჩოს ატაშე კიაზო (ბაჩო) ქიტიაშვილი; ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები, ლევილის მამულის მაცხოვრებლები – პირველი ემიგრაციის წევრების შთამომავლები; აკაკი ჩხენკელის დიდი ოჯახის შთამომავლები – ანა ქეიშვილი და ელენე კვარაცხელია. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო აკაკი ჩხენკელის შვილიშვილთან – ქალბატონ თამარ (თამუ) ჩხენკელთან შეხვედრა და მისი დაუფარავი ემოციები აკაკი ჩხენკელის საფლავზე მემორიალური დაფის განთავსების მომენტში.

ქალბატონი თამარისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა აკაკი ჩხენკელის სამურზაყანოსთან, კერძოდ, მისი დაბადების და დაწყებითი განათლების მიღების ადგილთან – ოქუმთან კავშირი. სიამაყით იქნა აღნიშნული აკაკი ჩხენკელის განუსაზღვრელი ღვაწლი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესში და განსაკუთრებით მისი უდიდესი როლი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის მამულიშვილურ საქმეში. სწორედ მას ეკუთვნის რუსეთის სათათბიროში წარმოთქმული სიტყვები: „ქართველი ვარ, სოხუმიდან!“. ამით აკაკი ჩხენკელი ჯერ კიდევ იმპერიის პერიოდში უმაღლესი ტრიბუნიდან ხმამაღლა აფიქსირებდა, თუ ისტორიულად ვისი ძირძველი მიწაა აფხაზეთი.

დელეგაციამ ასევე პატივი მიაგო აფხაზეთის /საქართველო, ღირსეული შვილის, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პირველი რესპუბლიკის პერიოდში ავტონომიური აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის (1919 -1921 წ.წ.) დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის, ასევე გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსის, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ნოე ჟორდანიას ხსოვნას.

Zourab Jgoubouria

## «JE SUIS GÉORGIEN, DE SOUKHOUMI!»
## INFORMATION
## À L›OCCASION DU 150E ANNIVERSAIRE DE LA NAISSANCE D'AKAKI CHKHENKELI
## (FRANCE, PARIS-LEVILLE)

«La liberté n›est pas la manne du ciel,

Il faut l'arracher des mains de l'ennemi, il faut s'y préparer, animé d'une volonté inébranlable. Ne reculez pas devant le sacrifice..... en un mot, combattre. Une nation qui ne se bat pas pour la liberté n'est pas digne de ce nom.....

La Géorgie peut et il est plus judicieux pour elle d'avoir une connexion directe avec l'Europe occidentale, de cette façon elle peut plus facilement développer toutes ses forces... »

Akaki Chkhenkeli

La visite de la délégation du Conseil suprême de la République autonome d'Abkhazie, consacrée au 150e anniversaire d'Akaki Chkhenkeli, s'est déroulée du 17 au 23 mai, en France, à Paris, au musée commémoratif franco-géorgien de Leuville (au cimetière commémoratif de Leuville).

L'objectif de cette visite à Paris était de célébrer le 150e anniversaire de la naissance des figures de

l'émigration politique de la première République de Géorgie, en particulier celui d'Akaki Chkhenkeli, le résident d'Abkhazie, un grand homme politique, diplomate et homme d'État géorgien, sur le lieu de son repos, à Leuville, avec la participation de ses descendants de sa grande famille (frères, sœurs) et son unique héritière Tamar (Tamu) Chkhenkeli.

L'événement était organisé par Zurab Jguburia, député du Conseil suprême de la République autonome d'Abkhazie et coordinateur des relations extérieures. La délégation comprenait Zurab Ketsbaia, chef de cabinet du Conseil suprême de la République autonome d'Abkhazie. Une aide professionnelle et matérielle à la réalisation de la plaque commémorative a été apportée par Edisher Okumeli (Janjulia), fondateur et directeur général de la société de construction « Ivertmsheni », signataire de l'Acte d'indépendance de la Géorgie et ancien membre du Conseil suprême.

Pour commémorer cette date d'anniversaire, une plaque commémorative et un bulletin trilingue (en géorgien, français, anglais, réd.en chef – Z. Dzguburia) intitulé « Je suis Géorgien, de Soukhoumi » ont été produits à Tbilissi et portés à Leuville. Le bulletin comprenait treize photographies, uniques et non publiées jusqu'à présent, des archives des membres de sa famille et de ses descendants, ainsi que des documents d'archives sélectionnés du ministère des affaires étrangères.

L'événement a été suivi par les représentants de l'Ambassade de Géorgie en France : Tea Karchava – Premier Conseiller de l'ambassade, Kiazo (Bacho) Kitiashvili – attaché d'ambassade, représentants de la communauté géorgienne, résidents du Château de Leuville – descendants des membres de la première émigration, Ana Cheishvili et Elene Kvaratskhelia – descendantes de la grande famille d'Akaki Chkhenkeli. La rencontre avec Mme Tamar (Tamu) Chkhenkeli, petite-fille d'Akaki Chkhenkeli, et son émotion non dissimulée à l'installation de la plaque commémorative sur la tombe d'Akaki Chkhenkeli ont été des moments particulièrement émouvants. Mme Tamar Chkhenkeli a été agréablement surprise par le lien entre Akaki Chkhenkeli et le Samurzakano, en particulier son lieu de naissance et d'éducation primaire – Okumi. La contribution inestimable d'Akaki Chkhkenkeli au processus de création de la première république de Géorgie, et en particulier son rôle majeur dans l'intégration de l'Abkhazie à la Géorgie, ont été soulignés avec fierté. C'est à lui qu'appartiennent les mots prononcés à la diète russe : « Je suis Géorgien, de Soukhoumi », ce qui a proclamé haut et fort depuis la plus haute tribune, même à l'époque de l'Empire, l'appartenance de l'Abkhazie à sa terre d'origine.

La délégation a également honoré la mémoire de Dimitri (Arzakhan) Emukhvari, digne fils de la Géorgie/Abkhazie, personnalité politique et publique célèbre, président du gouvernement de l'Abkhazie autonome pendant la Première République (1919-1921), et de l'homme politique géorgien de renom Noé Jordania, chef d'État de la Première République de Géorgie.

# ფოტომასალა


150
აკაკი ჩხენკელი
Akaki Chkhenkeli
1874-2024
ქართველი ვარ, სოხუმიდან
Je suis Géorgien, de Soukhoumi


# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იკისრეს თავის საკუთარი საქმეების გამღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაარჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.




თბილისიდან ლევილში ჩატანილი მემორიალური დაფა




აკაკი ჩხენკელის საფლავი ლევილში


150
1874 - 2024
ქართველი ვარ, სოხუმიდან
Je suis Géorgien, de Soukhoumi
A.TCHENKELI
1874 - 1959
M.TCHENKELI
1881 - 1967
Ministre des affaires étrangères








აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ლევილის სასაფლაოზე





აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ლევილის სასაფლაოზე



აკაკი ჩხენკელი



1920 წლის 24 ივლისი − საქართველოს სახელმწიფო ბანკის გახსნაზე. მარცხნიდან მარჯვნივ სხედან − 1. აკაკი ჩხენკელი (დამფუძნებელი კრების უმრავლესობის ლიდერი, სახელმწიფო ბანკის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი) 2. გრიგოლ ლორთქიფანიძე (თავდაცვის მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე) 3. რაჟდენ არსენიძე (დამფუძნებელი კრების იურიდიული და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე) 4. იასონ ლორთქიფანიძე (სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველი) 5. ნოე რამიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრი) 6. ალექსანდრე ლომთათიძე (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე) 7. ნიკოლოზ ელიავა (დამფუძნებელი კრების წევრი) 10. პარმენ ჭიჭინაძე (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) 11. ივანე ჭავჭანიძე(დამფუძნებელი კრების წევრი); მარცხნიდან მარჯვნივ დგანან − 5. რაჟდენ დუმბაძე (სახელმწიფო ბანკის ყოფილი კომისარი) 7. გიორგი ჟურული (1918-19919 წლებში ფინანსთა და ვაჭრობა − მრეწველობის მინისტრი).



აკაკი ჩხენკელის მშობლები – ოქუმის ხარების ეკლესიის წინამძღვარი და სამურზაყანოს მთავარხუცესი დეკანოზი იოანე ჩხენკელი და ირინე გიორგაძე (მემორიალური ალბომი – აკაკი ჩხენკელი. 1874-1959. თბ., 2022).

აკაკი ჩხენკელი (ზის) და მისი ძმა მიხეილი კიევში (1894წ.) (მემორიალური ალბომი – აკაკი ჩხენკელი. 1874-1959. თბ., 2022).



აკაკი ჩხენკელის ძმა, ლუკა, ოჯახთან ერთად (მემორიალური ალბომი – აკაკი ჩხენკელი. 1874-1959. თბ., 2022).





აკაკი ჩხენკელის ძმა, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი კიტა ჩხენკელი (მემორიალური ალბომი – აკაკი ჩხენკელი· 1874-1959· თბ., 2022).

დავით კანდელაკი (1895-1938) – აკაკი ჩხენკელის დის ნეონინას ვაჟი. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მეცნიერი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).





აკაკი ჩხენკელის შვილი ალექსი ქალიშვილთან – თამართან ერთად (მემორიალური ალბომი – აკაკი ჩხენკელი. 1874-1959. თბ., 2022).

ჩხენკელების ოჯახის შთამომავლების
მიმოზა ჩხენკელის, ცისმარი სვირავასა და გიორგი ქანთარიას
ფოტოარქივიდან



აკაკი ჩხენკელის და მარიამი (ფუცუ) მეუღლესთან ერთად.



აკაკი ჩხენკელის შვილიშვილები გივი და თამარი.



მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრა (შურა) ჩხენკელი, აკაკი ჩხენკელის ძმის – ლუკას (უშკა) შვილიშვილები – გივი და მზევინარ სვირავები.



აკაკი ჩხენკელის პირადი ფინჯანი. 1919 წლიდან ინახებოდა რევაზ სვირავას ოჯახში.



აკაკი ჩხენკელის ძმა ლუკა (უშკა) ალექსი ჩხენკელთან ერთად




წარწერა სურათზე



ვალიკო ჩხენკელი – აკაკი ჩხენკელის ძმის ლუკას (უშკა)
შვილი ოჯახთან ერთად.



ნანული ჩხენკელი-ქანთარია



ნუნუ ვალიკოს ასული ჩხენკელი



გრიშა ჩხენკელი მეუღლესთან, ალექსანდრასთან ერთად.




**მიმოზა ჩხენკელი**

150

აკაკი ჩხენკელი

Akaki Chkhenkeli

1874 - 2024

ქართველი ვარ, სოხუმიდან

Je suis Géorgien, de Soukhoumi

9 789941 509452